პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ქართულ კონტექსტში - რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომა

ნინო სხირტლაძე

სადისერტაციო ნაშრომი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, დოქტორი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური

პროგრამა

ილიას სახელობის უნივერსიტეტი,

თბილისი, 2015 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ნინო სხირტლაძე

05.10.2015

აბსტრაქტი

იდენტობის ჩამოყალიბება მოზარდობისა და ადრეული ზრდასრულობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. იდენტობის ჩამოყალიბების ხუთ-განზომილებიანი რაოდენობრივი მოდელით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში დასავლური კონტექსტებისაგან განსხვავებულად მიმდინარეობს. დასავლურ კონტექსტში ადაპტურ იდენტობასთან დაკავშირებული ალტერნატივების ძიება ქართველ ახალგაზრდებში მაღალ კორელაციაშია ნაკლებად ადაპტურ მუდმივ ძიებასთან. კლასტერული ანალიზით მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა ეს პატერნი. თვისებრივ კვლევაში, რომელიც ფოკუს-ჯგუფების მეთოდოლოგიით განხორციელდა, შევისწავლე, თუ როგორ ზემოქმედებს ქართული კონტექსტი ახალგაზრდების იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იდენტობის ფორმირებაზე კონტექსტის ზეგავლენის კუთხით გამოიკვეთა სამი ძირითადი თემა: ოჯახური აღზრდის ავტორიტარული მიდგომები, ძლიერი სოციალური ნორმები და ქვეყნის სოციო-ეკონომიკური პირობები. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგებმა შეავსო ერთმანეთი და საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობა მომცა. ისინი ქართულ კონტექსტზეა მორგებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პიროვნული იდენტობა, იდენტობის განზომილებები, კონტექსტის გავლენა.

Abstract

Identity formation is one of the main developmental tasks of emerging adulthood. Based on quantitative data on a five-dimensional model of identity formation, we concluded that the identity formation process has some different features in Georgia than it does in many Western countries. Results yielded that adaptive identity process -exploration in breadth is highly correlated with less adaptive ruminative exploration. Cluster analysis, which produced six identity clusters, also supported this pattern. The qualitative study, using focus groups, examined how the Georgian cultural context influences young Georgians' identity formation in different life domains. It revealed three main themes in terms of contextual influences on identity formation: strong social norms, authoritative parenting approaches, and socio-economic conditions in the country. The results of quantitative and qualitative investigations complemented each other and enabled me to formulate some conclusions and recommendations, which are adapted to the Georgian context.

Key Words: personal identity, identity dimensions, contextual influences.

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო ჯავახიშვილს, რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევის პროცესში. მისი პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სადისერტაციო თემის მომზადება და დასრულება.

მადლობა მინდა ვუთხრა მაიამის უნივერსიტეტის პროფესორს სეტ შვარცს, რომელიც კვლევის პირველი ეტაპიდან მაძლევდა მნიშვნელოვან და ღირებულ რეკომენდაციებს.

ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორ კუნ ლაქსს ნაშრომის მომზადებისას თანამშრომლობისა და სწავლებისათვის იმ ერთი წლის მანძილზე, რომელიც ბელგიაში მასთან მუშაობისას გავატარე.

მადლობა შვეიცარიის აკადემიურ ქსელს კავკასიაში (ASCN), რომელის დახმარებით დაიწყო კვლევის განხორციელება და მოხერხდა შედეგების საერთაშორისო კონფერენციაზე პრეზენტაცია.

მადლობა მინდა ვუთხრა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში (2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი) ჩემი სადისერტაციო კვლევითი პროექტი დაფინანსდა და შესაძლებელი გახდა გამევლო მეთოდოლოგიური ტრენინგი და კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამეკეთებინა საერთაშორისო კონფერენციაზე.

სარჩევი

აბსტრაქტი ---------- 4

სარჩევი ---------- 5

შესავალი ---------- 9

1. ლიტერატურის მიმოხილვა ----------14

1.1 პიროვნული იდენტობის მოდელები ----------14

1.1.1 ერიკსონი ----------14

1.1.2 მარშა ----------18

1.1.3 მარშას შემდგომი მოდელები ----------27

1.2. პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება - კონტექსტის როლი ----------36

2. წინამდებარე კვლევა ----------48

2.1 კვლევა 1 -რაოდენობრივი ნაწილი ---------- 48

2.1.1 მეთოდი ---------- 48

2.1.2 შედეგები ---------- 55

2.2 კვლევა 2 -თვისებრივი ნაწილი ---------- 63

2.2.1 მეთოდი ---------- 63

2.2.2 შედეგები ---------- 63

2.3 შედეგების განხილვა, ინტერპრეტაცია ---------- 79

3. დასკვნა და რეკომენდაციები ---------- 102

4. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები ---------- 106

5. ბიბლიოგრაფია ---------- 108

6. ცხრილების ჩამონათვალი ---------- 124

7. გრაფიკების ჩამონათვალი ---------- 130

8. დანართები ---------- 132

შესავალი

იდენტობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესწავლილი კონსტრუქტია სოციალურ მეცნიერებებში (Brubaker & Cooper, 2000; Cote, 2006). მის შესახებ პუბლიკაციების რაოდენობა 1960 -იანი წლებიდან დაწყებული 2000-იანების ჩათვლით, ყოველწლიურად იზრდება. ამასთან, იდენტობის შესწავლა სხვადასხვა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში მიმდინარეობს და კვლევის შედეგებიც საკმაოდ დანაწევრებულია (Vignoles et al 2011).

იდენტობის მოდელები განსხვავდება ონტოლოგიური დაშვებით: იდენტობა შეიძლება გავიგოთ როგორც ფიქსირებული და ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი (ობიექტივიზმი) ან, როგორც ჩამოუყალიბებელი და სოციალურ კონსტრუქტებზე დამოკიდებული (სუბიექტივიზმი). იდენტობის სხვადასხვა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მოდელი ობიექტივიზმისკენ იხრება - მარშას სტატუსების მოდელი, კუშმანის „ცარიელი სელფის“ მოდელი, სტრაიკერის სტრუქტურული ინტერაქციონიზმი და ულრიხ ბეკის გვიანი მოდერნის კონცეფცია. იმ მოდელთა შორის, რომლებიც უფრო სუბიექტივიზმს ანიჭებს უპირატესობას, არის მაკადამსის ცხოვრების ისტორიის მიდგომა, გერგენის პოსტმოდერნული სელფის თეორია, გოფმანის ინტერპრეტაციული სიმბოლური ინტერაქციონიზმის მოდელი (Vignoles et al 2011). იდენტობის შესახებ თეორიები განსხვავდება იმის მიხედვითაც, თუ როგორ განიხილავენ იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს - როგორც აღმოჩენას (Waterman 2011), პიროვნულ

კონსტრუირებას (Berzonsky, 1990) თუ სოციალურ კონსტრუქტს (Stryker, 2007). განსხვავებულია მეთოდოლოგიური მიდგომებიც - იდენტობის შესასწავლად გამოიყენება როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები.

ფსიქოლოგიაში იდენტობის კვლევა აქცენტს აკეთებს ინდივიდზე - სწავლობს პიროვნების თვისებებს, მდგომარეობებსა და დისპოზიციებს იმისათვის, რომ დადგინდეს იდენტობის ქცევითი და სუბიექტური თავისებურებები. სოციოლოგიაში იდენტობის კვლევისას აქცენტი სოციალურ ფაქტორებზეა - იდენტობის შესწავლა ფოკუსირებულია სოციალური ინტერქაციების სფეროზე. იმისათვის, რომ განასხვაონ ეს ორი მიდგომა, სხვადასხვა ავტორები იყენებენ მეტაფორებს: „ჭის მეტაფორა“ გულისმობს, რომ იდენტობა ეხება „საკუთარი თავის პოვნას“ შინაგანი რესურსების შესაბამის სოციალურ როლებთან მორგების გზით; „სარკის მეტაფორა“ გულისხმობს, რომ იდენტობის აღმოჩენა უნდა მოხდეს სოციალურ პროცესებში: პიროვნების „მე“ (სელფი) ყალიბდება როგორც იმ სოციალური პროცესების სარკე, რომელშიც ის მონაწილეობს (Cote & Levine 2001).

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში ვცადეთ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა იდენტობის ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, გაგვეერთიანებინა ზემოთ აღწერილი ორი მოდელი. ერიკ ერიკსონი იდენტობის ჩამოყალიბებას განიხილავდა როგორც ნორმატიული განვითარების, გამოცდილების პიროვული ორგანიზაციისა და კულტურული გარემოს

პროდუქტს (Erikson, 1968). ახალგაზრდა ადამიანი ინტერაქციაშია თავის სოციალურ და კულტურულ გარემოსთან იმისათვის. რომ ჩამოყლიბდეს მისი თვითობა/სელფი, რომელიც მოიცავს ცხოვრების მიზნებსა და არჩევანს და მგრძნობიარე იქნება ინტერპრესონალური ურთიერთობებისა და სოციალური სტანდარტების მიმართ (Baumeister & Muraven, 1996). ერიკსონისთვის იდენტობა ეხება პიროვნების მიზნებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს, რომლებიც მას აქვს ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან მიმართებაში (მაგ. კარიერა, ურთიერთობები, და ა.შ).

იდენტობის მნიშვნელობა და ხასიათი შეიცვალა ერიკსონის შრომების შემდეგ. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ბევრი დასავლური ქვეყანა ინდუსტრიული ეკონომიკიდან ტექნოლოგიურ ეკონომიკაზე გადავიდა (Kalleberg, 2009), და გენდერული როლები შედარებით თანასწორი გახდა (მაგ. ქალებიც და მამაკაცებიც ერთნაირად მისდევენ პროფესიული კარიერის განვითარებას). ამ ცვილებების ერთ-ერთი შედეგია განათლების გახანგრძლივება, სამუშაოს ხშირი ცვლა და დაქორწინებისა და მშობლად გახდომის უფრო გვიანი ასაკი (Côté, 2000; Côté & Levine, 2014). წლები, რომელიც ფორმალური განათლების დასრულებასა და ზრდასრული პასუხისმგებლობების აღების ასაკს შორისაა, არის დრო, რომელსაც ახალგაზრები უთმობენ ცხოვრების სხვადასხვა ალტერნატივის შესწავლას (მაგ. კარიერის, რომანტიკული პარტნიორების). ბევრ დასავლურ ქვეყანაში ამ ეტაპს *საწყისი/ადრეული ზრდასრულობა (emerging adulthood)* (Arnett, 2000, 2007) უწოდეს. ამ პერიოდში იდენტობის ჩამოყალიბების ამოცანა კვლავ აქტუალურია

და გრძელდება (Côté & Levine, 2014). იმის გამო, რომ ზრდასრულობაში გადასვლა არასტრუქტურირებულია, დასავლური სოციო-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი ქმნის იდენტობის ძიების პირობებს და ამ პროცესს ახანგრძლივებს 29-30 წლამდე. თუმცა, შესაძლებელია რომ ძიების გახანგრძლივებული პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობდეს სხვა, არადასავლურ კონტექსტებში და ნაკლები ადაპტურობით ხასიათდებოდეს (Arnett, 2000).

მოცემული კვლევვის მიზანია პიროვნული იდენტობის სტრუქტურისა და მასზე კონტექსტის გავლენის თავისებურებების შესწავლა საქართველოში. ნაშრომი აერთიანებს ორ დამოუკიდებელ და ურთიერთდაკავშირებულ კვლევას, რომელთა მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ მიმდინარეობს პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბება საქართველოში? რა თავისებურებებით ხასიათდება ის, არის თუ არა უკვე შესწავლილისგან განსხვავებული პროცესები, ან, თუ პროცესები იგივეა, ხომ არ განსხვავდება მათი განვითარება? ამგვარი თავისებურებების აღმოჩენა გაამდიდრებს შესაბამის თეორიას.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც იდენტობის პროცესების შესწავლის ერთ-ერთი უახლესი მეთოდოლოგიით ვიკვლიე იდენტობის ჩამოყალიბება ქართველ 17 დან 29 წლამდე ახალგაზრდებში. ანალიზისათვის გამოვიყენე როგორც ცვლადზე, (variable-centered) ისე პიროვნებაზე ორიენტირებული (person-centered) მიდგომები.

2. რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული კონტექსტი პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე თვისებრივი, ფოკუს-ჯგუფების მეთოდოლოგია. თემატური ანალიზის მიდგომის გამოყენებით გამოვყავი ძირითადი ასპექტები, რომელიც აქტუალურია პიროვნება-კონტექსტის ურთიერთობის განხილვისას იდენტობის ჩამოყალიბების ჭრილში.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება პიროვნული იდენტობის შესახებ განვითარების ფსიქოლოგიაში არსებულ თეორიებსა და მოდელებს და პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე კონტექსტის გავლენის შესახებ კვლევების მიმოხილვას.

ნაშრომის მეორე ნაწილის პირველი თავი ეხება იდენტობის პროცესებზე ორიენტირებული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და შედეგების აღწერას. მეორე ნაწილის მეორე თავი კი ეთმობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და შედეგების აღწერას.

ნაშრომის მესამე ნაწილში მოცემულია ორივე კვლევის ინტერპრეტაცია და ანალიზი.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. პიროვნული იდენტობის მოდელები

1.1.1. ერიკსონი

ფსიქოლოგიაში იდენტობის კონსტრუქტის შესახებ მეცნიერული მსჯელობა სიღრმისეულად ერიკ ერიკსონმა დაიწყო. ერიკსონი იდენტობას განიხილავს როგორც ბიოლოგიური მოცემულობის, გამოცდილების პირადი ორგანიზაციისა და კულტურული გარემოს პროდუქტს. ინდივიდი, რომელიც ბავშვობიდან მოზარდობის ასაკში გადადის, ცდილობს უპასუხოს კითხვას "ვინ ვარ მე?". როგორც ერიკ ერიქსონი წერდა, "ადამიანური არსებობის სოციალურ ჯუნგლებში არ არსებობს ცოცხლად ყოფნის განცდა იდენტობის განცდის გარეშე" (Erickson, 1968). იდენტობის კრიზისის გადალახვა ერიკსონის მიხედვით ნაწილობრივ დამოკიდებულია ფსიქო-ბიოლოგიურ ფაქტორებზე, ნაწილობრივ ფსიქო-სოციალურზე. ის მიუთითებს, რომ ფსიქო-სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება გაახანგრძლივოს იდენტობის კრიზისის გადალახვა იქ, სადაც პიროვნების იდიოსინკრეტული მოცემულობა ითხოვს შესაბამისი მსოფლმხედველობის/იდეოლოგიისა და საქმიანობის შესაძლებლობების გახანგრძლივებული ძიებას ან იმ პირობებში, რომელშიც ისტორიული ცვლილება იწვევს ზრდასრული გადაწყვეტილებების მიღების გადავადებას. გარემოს ფაქტორებიდან იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ერიკსონის მიხედვით, გავლენას ახდენს მშობლების მხარდაჭერა; ამასთან ერთად ინდივიდისათვის

მნიშვნელოვანია სამყაროს კოჰერენტულობა/თანმიმდევრულობა -ანუ რამდენად მყარად და ძლიერად განიცდება საზოგადოებრივი სისტემა იმისათვის რომ ახალგაზრდა ადამიანმა შეძლოს საკუთარი იდენტობის „დადასტურება“ ან რამდენად რიგიდული და მყიფეა იმისათვის, რომ განახლება და ცვლილება დაუშვას. ერიკსონის მიხედვით იდენტობას სამი ასპექტი აქვს:

1) ინდივიდის კოჰერენტულობა და მისი ინტეგრაცია ჯგუფში;
2) მისი დროის წარმმართველი ხატები/წარმოდგენები და იდეოლოგია;
3) მისი ცხოვრების ისტორია და ისტორიული მომენტი (Erikson, 1975).

ამგვარად, ერიკსონი იდენტობის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კონტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ იდენტობის ფორმირება პიროვნების განვითარების უნივერსალური ამოცანაა, ის თუ როგორ განვითარდება ეს პროცესი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე.

შიდა პიროვნულ დონეზე, ერიკსონი იდენტობას განიხილავდა ერთი ბიპოლარული განზომილების სახით, რომლის ერთი ბოლო იდენტობის სინთეზს გამოხატავს, მეორე ბოლო კი იდენტობის აღრევას. იდენტობის სინთეზი არის ბავშვობისა და შემდგომი იდენტიფიკაციების გადამუშავება უფრო დიდ თვით-დეტერმინირებულ იდეალებად, მაშინ როდესაც იდენტობის აღრევა არის ფუნქციონირებადი იდეალების ფორმირების უუნარობა, რომელსაც ზრდასრული იდენტობა დაეყრდნობა (Schwartz 2001). ეს ახალი მთლიანობა არ

არის ძველი იდენტიფიკაციების უბრალო ჯამი, სინთეზირება და შეთანხმებულ მთლიანობად ქცევა იდენტობის საფეხურის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია.

ერიკსონის მიხედვით, იდენტობა გულისხმობს პიროვნული იგივეობრიობისა და უწყვეტობის სუბიექტურ განცდას, ობიექტურად დაკვირვებად თავისებურებას და ასევე სამყაროს შესახებ წარმოდგენის იგივეობრიობასა და უწყვეტობას. ახალგაზრდა ადამიანში ის აერთიანებს საკუთარი სხეულის განცდას, ტემპერამენტს, ნიჭსა და სუსტ მხარეებს, ინფანტილური მოდელებსა და შეძენილ იდეალებს იმ ღია შესაძლებლობებთან, რომელსაც მას შესაძლო როლები, საქმიანობის ალტერნატივები, შემოთავაზებული ღირებულებები, მასწავლებლები, მეგობრები და პირველი სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება სთავაზობს (Erikson 1975). ეგო იდენტობა წარმოადგენს შეკრულ მთლიანობას, რომელიც ინდივიდს წარმოაჩენს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანების წინაშე. კარიერა, რომანტიკული ურთიერთობები, რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგია არის მოზაიკის იმ შემადგენელ ნაწილთა შორის, რომლებიც ქმნის პიროვნების იდენტობას. რაც უფრო სრული და შეთანხმებულია ეს მოზაიკა, მით უფრო ახლოსაა პიროვნება იდენტობის სინთეზის პოლუსთან და დაშორებულია იდენტობის აღრევის პოლუსს.

ცხოვრების სხვდასხვა ეტაპზე ყველა ადამიანი შეიძლება მოვათავსოთ რომელიმე პოლუსთან ახლოს. ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის საკუთარი თავის შესახებ ცოდნა უნდა აჭარბებდეს დაბნეულობას.

იდენტობის აღრევა, ერიკსონის მიხედვით, ეს შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. ერთ-ერთი მახასიათებელია სირთულეები ახლო ინტიმურ ურთიერთობებში. ხშირად ასეთ დროს ახლო ურთიერთობა საკუთარი იდენტობის კონტურების აღმოჩენას ისახავს მიზნად, რაც ხელს უშლის რეალური სიახლოვის მიღწევას. მეორე გამოვლინება დროის პერსპექტივის განცდის თავისებურებაშია- ადამიანები ან ეწინააღმდეგებიან ცვლილებების არსებობას, რომელიც დროის აუცილებელი თანმდევია, ან აქვთ სიჩქარისა და გადაუდებლობის განცდა. იდენტობის აღრევა ზოგჯერ გამოიხატება შრომასთან მიმართებაში, კერძოდ სამუშაოსთვის მნიშვნელოვან ამოცანებზე კონცენტრაციის უუნარობასა და ასევე ცალმხრივ, გადაჭარბებულ თვით-დესტრუქციულ კონცენტრაციაში (მაგალითად გადაჭარბებულ კითხვაში). ნეგატიური იდენტობის არჩევა იდენტობის აღრევის კიდევ ერთი გამოხატულებაა -ამ დროს ინდივიდი ირჩევს სრულიად საპირისპიროს იმ ზრდასრული როლებისა, რომლებიც ალტერნატივების სახით არსებობს მოცემულ საზოგადოებაში (Erikson 1968).

მეორე მხრივ, იდენტობის სინთეზს მიღწეული პიროვნების არჩევანი და მოქმედებები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და არსებობს რაღაც ხარისხის გარკვეულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მან გადაწყვიტოს ან

გააკეთოს სხვდასხვა სიტუაციაში. ერიკსონმა გამოყო ოთხი ასპექტი, რომელშიც შეიძლება ეგო-იდენტობა გამოვლინდეს. პირველი, ეს არის ინდივიდუალური იდენტობის ცნობიერი განცდა, მეორე, პიროვნული ხასიათის უწყვეტობისაკენ არაცნობიერი სწრაფვის განცდაა, მესამე ეგო სინთეზის პროცესების კრიტერიუმი და ბოლოს შინაგანი სოლიდარობის განცდა იდენტობისა და ჯგუფის იდეალების მიმართ (Schwartz 2001).

1.1.2. მარშა

ერიკსონის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ემპირიულად გადამოწმებული პიროვნული იდენტობის მოდელი ჯეიმს მარშას ეკუთვნის. მარშა იდენტობას განიხილავს ორი პროცესის განზომილებაში *ძიება* და *არჩევანის გაკეთება*. ძიება ეხება სხვადასხვა როლის და ცხოვრების გეგმების გამოცდის პერიოდს მათ გააზრებასა და დალაგებას. ძიების პერიოდი ის დროა, როცა გვიანი მოზარდობის პერიოდში ინდივიდი აქტიურადაა ჩართული პიროვნული იდენტობისათვის მნიშვნელოვანი ალტერნატივების შერჩევაში. არჩევანის გაკეთება ეხება პიროვნული ინვესტიციის, ჩართულობის ხარისხს, რასაც ინდივიდი გამოხატავს ამა თუ იმ ალტერნატივის მიმართ, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეიძლება არსებობდეს. იმის მიხედვით, თუ რა ხარისხითაა გამოხატული თითოეულ ადამიანში ძიების თუ არჩევანის გაკეთების პროცესი, გამოიყოფა ოთხი იდენტობის სტატუსი.

სტატუსის ორ ჯგუფს არჩევანის გაკეთების მაღალი დონე ახასიათებს. ერთი ჯგუფი არჩევნამდე ძიების პროცესის შედეგად მივიდა, ამიტომ ამას *მიღწეული იდენტობის* სტატუსი (Achievement) ეწოდება. ეს ადამიანები სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენენ, რადგან ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მიზნები გააჩნიათ. ისინი ინარჩუნებენ მოქნილობას, მაგრამ გარეგანი გავლენებით და ზეწოლით ცხოვრების არჩეული გზიდან მათი გადაცდენა ძნელია. მაშინაც კი, როცა დაბრკოლებებს აწყდებიან, იგრძნობა, რომ გააგრძელებენ არჩეული მიმართულებით სიარულს, ვიდრე ეს გზა აშკარად არარეალისტური არ გახდება. მათ შეუძლიათ სხვათა გამოცდილების გაგება, შეუძლიათ მათი განსხვავებული აზრების გააზრება თავდაცვის პოზიციის გამოყენების გარეშე. ისეთი თვისებები, როგორიცაა „საკუთარ თავში ერთიანობა და უწყვეტობა“ (ერიკსონის დახასიათება), მათ საიმედო ადამიანებად ხდის.

არჩევნის მაღალი დონის მქონე მეორე ჯგუფი გადაწყვეტილებამდე სხვების გავლენის შედეგად მივიდა, ძიების პროცესის გარეშე, ამ სტატუსს *ნაადრევი იდენტობა (Foreclosure)* ეწოდება. ისინი ისევე ძლიერი და მიზანმიმართული ჩანან, როგორც მიღწეული იდენტობის მქონენი. თუმცა, მათ პოზიციას არამდგრადობა და სისუსტე ახასიათებს. მათ უჭირთ ალტერნატივების სერიოზულად გააზრება, ამიტომ, თავდაცვის პოზიციას იკავებენ და შეუსაბამო ინფორმაციას უარყოფენ ან ამახინჯებენ. თუ მათი შეხედულებები ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულს და სოციალური კონტექსტი მხარს უჭერს მათ ღირებულებებს, თავს კარგად

გრძნობენ. მაგრამ, იმ შემთხვევაში როდესაც ამ კონფორმული პოზიციისაგან განსხვავებულს ირჩევენ, საკუთარი თავისა და ოჯახისგან უარყოფის განცდა უჩნდებათ. ხშირად ნაადრევი იდენტობის მდგომარეობა შენარჩუნებულია „ჩვენ“ და „ისინი“ გამიჯვნით. ნაადრევი იდენტობის უსაფრთხოების საფასური არის შეზღუდული, თუმცა ზოგჯერ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი ცხოვრება.

დანარჩენ ორ სტატუსს ახასიათებს არჩევნის გაკეთების დაბალი დონე. *მორატორიუმის* (Moratorium) ჯგუფი იბრძვის არჩევნის გასაკეთებლად და ძიების პროცესშია ჩართული. ეს ადამიანები საკუთარი თავის განსაზღვრის პროცესში იმყოფებიან და ცოცხალი, საინტერესო, წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ გარშემომყოფთათვის დამღლელები არიან. ისინი ზოგჯერ ცდილობენ სხვების ჩართვას იდენტობის ფორმირების პროცესში, ზოგჯერ სხვებს მიაღებინებენ იმის რადიკალურად საპირისპირო პოზიციას, რომელსაც თავად იზიარებენ, რომ დროებითად მაინც გათავისუფლდნენ შინაგანი კონფლიქტისაგან. მორატორიუმის სტატუსის მქონე ადამიანები ხშირად უკიდურესად მგრძნობიარენი არიან. მათ საკუთარი ძიებით სხვების დაინტერესება და თუნდაც მოკლე ხნით, ქარიზმატულ ფიგურად თავის წარმოჩენა შეუძლიათ. არსებობენ სხვაგვარი მორატორიუმის სტატუსში მყოფი ადამიანებიც, რომლებიც დიდი ენერგიას ხარჯავენ ადრეული ავტორიტეტების იდენტიფიკაციების დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში და თანდათანობით ეფლობიან, ერთი შეხედვით, გადაუჭრელ დილემებში. საუკეთესო შემთხვევაში მორატორიუმის

სტატუსში მყოფი ადამიანები შესაბამის არჩევანს აკეთებენ და მიღწეული იდენტობის სტატუსში გადადიან; უფრო უიღბლო შემთხვევებში კი მათ ეს მერყეობა პარალიზებულს ხდის. მორატორიუმის ჯგუფი, სავარაუდოდ, იდენტობის მიღწევის შესავალი ეტაპია. მარშას შემდგომმა კვლევებმა ემპირიულად გამოავლინა ამ ორი ტიპის არსებობა (Crocetti, Rubini, & Meeus, 2008; Crocetti, Schwartz, Fermani & Meeus, 2010; Luyckx და სხვები, 2008)

დიფუზური (Diffusion) იდენტობის ჯგუფი არ ეძიებს და არც არჩევნის ხარისხი აქვს მაღალი. დიფუზიის ჯგუფი შედარებით მიმართულების გარეშეა, მათ არ აწუხებთ არჩევნის უქონლობა, ისინი ადვილად ექცევიან გარეგანი გავლენის ქვეშ. დიფუზია სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ყველა მათგანს საერთო აქვს ძიების პერიოდის არარსებობა ან ძალიან ხანმოკლე ძიება და ერთგულების უუნარობა. დიფუზიის ზოგიერთ შემთხვევებში ადამიანები ძალიან მოქნილი, მომხიბლავი და უსაზღვროდ ადაპტური არიან. ისინი ისეთები არიან, როგორსაც გახდის მათ აწმყოში არსებული გავლენები. მაგრამ, იმის გამო, რომ თვით-განსაზღვრის შინაგანი განცდა არ აქვთ, მუდმივად გარეთ ეძებენ იმის განსაზღვრას, ვინ არიან, ან ვინ იქნებიან. ყველაზე უარეს შემთხვევაში ისინი არიან დაკარგული და მარტოსული, სიცარიელისა და უაზრობის განცდებით სავსე. თუმცა, არსებობს ზედაპირულად „კარგად შეგუებული“ დიფუზიებიც, მათ სჭირდებათ განმსაზღვრელი კონტექსტი, რომ გარეგანად შეავსონ ის, რაც შინაგანად აკლიათ. დიფუზიის ორივე შემთხვევას აკლია იდენტიფიკაცია,

რომელსაც მხოლოდ ადრეული ბავშვობის ფიგურებთან აკეთებენ (Marcia & Kroger, 2011). ამ შემთხვევაშიც შემდგომმა ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურა ორგვარი დიფუზიის არსებობა (Luyckx, და სხვები, 2008).

მეტა-ანალიზის მეთოდოლოგიით ჩატარებულ კვლევების სერიაში (Martinussen & Kroger, 2013) შეისწავლეს გარეგანი კორელატები, რომელიც ცალკეული სტატუსებისთვისაა დამახასიათბელი. ნაადრევი იდენტობის შემთხვევაში ყველაზე დაბალია შფოთვის დონე. ამ შედეგის ამხსნელი მექანიზმი შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ ناادრევი იდენტობის შემთხვევაში ადამიანები, რომელთა ადაპტირებულობა გარკვეულწილად ზედაპირულია, არ ერთვებიან ძიების პროცესში, რომელიც აუცილებლად შეიცავს შფოთვას. ეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ მათ ახასიათებთ პასუხისმგებლობიდან გაქცევა რაც ასევე ამცირებს შფოთვას. ნაკლები შფოთვის გამომწვევი შეიძლება იყოს ისიც, რომ ნაადრევი იდენტობის შემთხვევაში სოციალურ ურთიერთობები უფრო ჰარმონიულია. ამასთან, კვლევები აჩვენებს, რომ ნაადრევი იდენტობის მქონე ადამიანები თავს არიდებენ სიტუაციებს, რომლებმაც შეიძლება მოითხოვოს იდენტობის გადახედვა. ამასთან მეტა ანალიზის მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ ნაადრევი იდენტობასა და მიღწეული იდენტობის სტატუსებს შორის შფოთვის დონის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება მხოლოდ ქალებში. რაც შეეხება დანარჩენ სტატუსებს, აღმოჩნდა, რომ ქალების შემთხვევაში, მიღწეულ იდენტობას ახასიათებს ნაკლები შფოთვა მორატორიუმსა და დიფუზურ

სტატუსებთან შედარებით. იგივე განსხვავება არ ჩანს მამაკაცებში (Lillevoll, Kroger, Martinussen, 2013). მეტა-ანალიტიკურ კვლევაში, რომელშიც შეისწავლეს ლოვინგერის ეგოს განვითარების საფეხურების კავშირი იდენტობის სტატუსებთან, აღმოჩნდა, რომ მიღწეული იდენტობის სტატუსი კავშირშია პოსტ-კონფორმისტული ეგოს განვითარების სტადიასთან. მკლევრების წინასწარი ჰიპოთეზის საპირისპიროდ, არ დადასტურდა კავშირი ნაადრევ იდენტობასა და კონფორმისტულ სტადიას შორის (Jesperssen, Kroger, Martinussen, 2013), თუმცა, ნაადრევი იდენტობის სტატუსი სხვა სტატუსებთან შედარებით ხასიათდება ავტორიტარულობის მაღალი დონით (Ryeng, Kroger, Martinussen, 2013). მიღწეული იდენტობისა და მორატორიუმის სტატუსი მეტად უკავშირდება პოსტ-კონვენციონალურ მორალურ სტადიას ვიდრე ნაადრევი და დიფუზური იდენტობის სტატუსები. ამასთან ნაადრევი იდენტობის სტატუსი სხვა სტატუსებთან შედარებით მეტად ხასიათდება პრე-კონვენციონალური და კონვენციონალური მორალური სტადიით (Jespersen, Kroger, Martinussen, 2013). მიღწეული იდენტობა ხასიათდება შინაგანი კონტროლის ლოკუსით, ნაადრევი და დიფუზური იდენტობა კი გარეგანი კონტროლის ლოკუსით. რაც შეეხება მორატორიუმის სტატუსს, მოლოდინის საპირისპიროდ, მეტა-ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა რომ მას დადებითი კორელაცია აქვს გარეგან კონტროლის ლოკუსთან. ამ შედეგის შესაძლო ახსნა შეიძლება იყოს მორატორიუმის სტადიის დინამიურობა- ადრეული მორატორიუმის ეტაპზე ინდივიდი მეტად დამოკიდებულია გარემოზე, მაშინ როდესაც მოგვიანებით ის აღწევს მეტ

თავდაჯერებულობას და აქცენტი მეტად გადააქვს შინაგან რესურსებზე(Lillevoll, Kroger, Martinussen, 2013).

თანმდევ თავისებურებებთან ერთად გამოვლენილია წინმსწრები განვითარების თავისებურებები რომლებიც უკავშირდება ამა თუ იმ იდენტობის სტატუსის ჩამოყალიბებას. მიჯაჭვულობა (attachment) განიმარტება როგორც უსაფრთხო ურთიერთობის განცდა (relationship security), რომელიც ემყარება მშობელი-შვილის ინტერაქციის ინტერნალიზაციას. განვითარების ტერმინებში უსაფრთხო მიჯაჭვულობა არის დანაშაულისა და სირცხვილის განცდისაგან თავისუფალი შემმეცნებელი ქცევის წინაპირობა. აღმოჩნდა, რომ მიღწეული და ნაადრევი იდენტობის სტატუსებს აქვთ ძლიერი დადებითი კორელაცია უსაფრთხო მიჯაჭვულობასთან, თუმცა არ დადასტურდა საპირისპირო დიფუზური იდენტობისა და მორატორიუმის შემთხვევაში.

თავისთავად იდენტობის სტატუსებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც წინმსწრები ცვლადი. ერიკსონის ეპიგენეტიკური პრინციპის თანახმად, ჩამოყალიბებული იდენტობა ქმნის ინტიმურობის ანუ განვითარებული ურთიერთობის უნარის საფუძველს. ლიტერატურაში აღწერენ ინტიმურობის ოთხ სტილს: 1) მიღწეული ინტიმურობა ახასიათებს ადამიანებს, რომლებსაც აქვს ახლო ურთიერთობები მეგობრებთან, ეს ურთიერთობა სიღრმითა და ღიაობით ხასიათდება და ასევე აქვს ექსკლუზიური პარტნიორული კავშირი. 2) პრე-ინტიმურობა ახასიათებს ადამიანებს რომლებსაც აქვს ღია და ღრმა ურთიერთობა

მეგობრებთან, თუმცა არ აქვს ექსკლუზიური პარტნიორული კავშირი. 3) ფსევდო-ინტიმურობის შემთხვევაში მეგობრებთან ურთიერთობა ზედაპირული და ნაკლებად გახსნილია, იგივე ეხება ექსკლუზიურ პარტნიორულ ურთიერთობას. 4)სტერეოტიპული ინტიმურობისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები მეგობრებთან ისეთივეა როგორც ფსევდო-ინტიმურობის შემთხვევაში, ექსკლუზიურ პარტნიორთან ურთიერთობა კი საერთოდ არ არის. 5) იზოლირებულ ტიპს აქვს ცოტა შემთხვევითი კავშირები და ჩვეულებრივ ერიდება სოციალურ სიტუაციებსა და კონტაქტებს (Orlofsky & Roades, 1993). კვლევები ადასტურებს, რომ მიღწეული იდენტობის სტატუსის შემთხვევაში მეტია მიღწეული ინტიმურობის სიხშირე, თუმცა აღინიშნება განსხვავება სქესის მიხედვით-ქალების უფრო მეტი რაოდენობა, მიუხედავად იდენტობის სტატუსისა აღწევს ინტიმურობის მაღალ ხარისხს (Marcia & Kroger, 2011).

ჯეიმს მარშას მოდელზე დაფუძნებული კვლევები კვლავ აქტუალურია და გრძელდება, თუმცა ასევე შეიქმნა სხვადასხვა თეორიები, რომლებიც მას ეფუძნება. თავის შემაჯამებელ სტატიაში პიროვნული იდენტობის სფეროს შესახებ შვარცი განიხილავს ექვს ასეთ მიდგომას (Schwartz, 2001): ბერზონსკის იდენტობის სტილის მოდელი ეხება გზას, რომელსაც ინდივიდი იყენებს პიროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისას და გამოყოფს იდენტობის სამ სტილს: ინფორმაციულს (information-oriented), ნორმატიულ (normative) და დიფუზურ-თავის ამრიდებელ სტილს (diffuse-avoidant).

უოტერმანის ევდამონური იდენტობის თეორია აქცენტს აკეთებს პიროვნებისა და მისი იმ აქტივობებისა და მიზნების შესაბამისობაზე, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნულ იდენტობას. ამ თეორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ცნებებია შინაგანი მოტივაცია და ევდამონური კეთილდღეობა (eudemonic well-being). კოტეს იდენტობის კაპიტალის მოდელი განიხილავს რესურსებს - უნარებს, ცოდნას, თვით-შეფასებას, პასუხისმგებლობის განცდას, რომლებიც ინდივიდს ეხმარება საკუთარი ადგილის განსაზღვრაში. გროტევანტის იდენტობის მოდელში ცენტრალურია ძიების პროცესის მნიშვნელობა. ძიება განიხილება როგორც ორი კომპონენტის ფუნქცია; ეს კომპონენტებია შესაძლებლობები (abilities) და ორიენტაციები (orientations). შესაძლებლობები გულისხმობს უნარებს, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარი და ა.შ. ორიენტაციები გულისხმობს დამოკიდებულებებს (რიგიდულობა, გაჭიანურება და სხვა), რომლებიც გამოხატავს ინდივიდის დაინტერესებას ჩაერთოს ძიების პროცესში. კერპელმანის იდენტობის კონტროლის მოდელი გარკვეულწილად განავრცობს გროტევანტის ძიების მოდელს. ამ მოდელში ძიების პროცესს წარმართავს ინდივიდსა და მის მიკროკონტექსტს შორის არსებული ინტერაქცია. იდენტობის ძიების პროცესი მიმდინარეობს ინდივიდისათვის მნიშვნელოვანი ადამიანების უკუკავშირთან შესაბამისობა-შეუსაბამობის გათვალისწინებით.

1.1.3 მარშას შემდგომი მოდელები

ბოლო ათწლეული მანძილზე გაჩნდა მარშას სტაუსტების მოდელზე დამყარებული ორი ახალი მოდელი. იდენტობის ორმაგი ციკლის მოდელს (Luyckx et al.), რომელსაც ეყრდნობა მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ. მეორე, მეეუსის და კროჩეტის მოდელი იდენტობის ჩამოყალიბებას სამი პროცესის სახით განიხილავს. გადაწყვეტილების მიღება/არჩევანის გაკეთება (commitment-making) გამოხატავს პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი ირჩევს იდენტობისათვის მნიშვნელოვან ალტერნატივას და ამასთან ერთად ახდენს მასთან იდენტიფიკაციას. სიღრმისეული ძიება/შესწავლა (exploration in depth) არის გაკეთებულ არჩევანზე რეფლექსიის პროცესი, ხოლო არჩევანის გადასინჯვა (reconsideration of commitment) ასახავს შედარებას არსებულ და შესაძლო გადაწყვეტილებებს შორის და ინდივიდის მცდელობას შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება იმის გამო, რომ ის აღარ აკმაყოფილებს. იდენტობის ჩამოყალიბების ეს სამი პროცესი პიროვნებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგიით დამუშავებისას ქმნის იდენტობის პროფილებს (Crocetti, Rubini, & Meeus, 2008; Crocetti, Schwartz, Fermani & Meeus, 2010). მარშას ანალიზის შედეგად გამოყოფილ იდენტობის სტატუსები კროჩეტი მეეუსის მეთოდოლოგიითაც გამოვლინდა, თუმცა მორატორიუმი გაიყო ორ სახეობად: მორატორიუმი, რომელსაც ახასიათებს არჩევანის გადასინჯვის პროცესის მაღალი დონე, და სიღრმისეული ძიებისა და არჩევანის დაბალი დონე და ძიებაში მყოფი

მორატორიუმი, რომელშიც სამივე პროცესი მაღალი დონით ხასიათდება(Crocetti, Schwartz, Fermani, Klimstra & Meeus, 2012) .

იდენტობის სტატუსების პროცესზე ორიენტირებული მოდელი

ლუქსმა და ავტორებმა მარშას მოდელში მოცემული იდენტობის ჩამოყალიბების ორი განზომილება-ძიება და არჩევანის გაკეთება დაყვეს ხუთ დამოუკიდებელ პროცესად (Luyckx et al. 2005; Luyckx et al. 2006; Luyckx et al. 2008): არჩევანის გაკეთება commitment-making), არჩევანთან იდენტიფიკაცია (identification with commitment), ალტერნატივების ძიება (exploration in breadth), სიღრმისეული ძიება (exploration in depth) და მუდმივი ძიება (ruminative exploration). ამ პროცესებიდან ოთხი შეიძლება დაჯგუფდეს იდენტობის ჩამოყალიბების ორ ციკლში: არჩევანის გაკეთება და არჩევანის შეფასება (Luyckx, Goossens, & Soenens, 2006). არჩევანის გაკეთებამდე ინდივიდი განიხილავს იდენტობის სხვადასხვა შესაძლებლობებს (ალტერნატივების ძიება) იმ დრომდე ვიდრე ჩამოყალიბდება რომელიმე მათგანის სასარგებლოდ (არჩევანის გაკეთება). ეს არჩევანის ფორმირების ციკლი მარშას (1966) თავდაპირველ მოდელ წარმოადგენს. არჩევანის შეფასების ციკლიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი პროცესი - სიღრმისეული ძიება და არჩევანთან იდენტიფიკაცია. არჩევანის გაკეთების შემდეგ ადამიანები იწყებენ მის შეფასებას. ამ დროს ისინი სიღრმისეულად აანალიზებენ/იკვლევენ გაკეთებულ არჩევანს (მაგალითად დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სხვა ადამინებთან საუბრის გზით გაკეთებულ არჩევანზე) და თუ ამ პროცესის შემდეგ ის

არჩევანით კმაყოფილია, ის მეტად დარწმუნებულია მასში და ახდენს ამ არჩევანთან იდენტიფიკაციას (Luyckx et al., 2013).

იდენტობის ფორმირების პროცესზე ორიენტირებული მოდელი იკვლიეს სხვადასხვა პიროვნულ მახასიათებლებთან და მდგომარეობებთან კავშირში. ერთ-ერთი მათგანია ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. თვით-დეტერმინაციის თეორიის მიხედვით, ადამიანებს სამი მთავარი ფსიქოლოგიური მოთხოვნილება აქვთ: ავტონომიის (autonomy), კომპეტენტურობისა (competency) და მიკუთვნებულობის (relatedness). ავტონომიის მოთხოვნილება ეხება საკუთარი ნებისა და ინიციატივის განცდას ფუნქციონირებისას; კომპეტენტურობა გულისხმობს ეფექტურობის განცდას გარემოსთან ურთიერთობისას; და მიკუთვნებულობა გულისხმობს სხვა ადამიანებთან აუთენტური კავშირის განცდას (Ryan, 1995). თვით-დეტერმინაციის თეორიის ჩარჩოში ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება პიროვნული ზრდისა და განვითრების აუცილებელი წინაპირობაა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იდენტობის ფორმირების პროცესები, კერძოდ ალტერნატივების ძიება, არჩევანის გაკეთება, სიღრმისეული ძიება და არჩევანთან იდენტიფიკაცია და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ერთმანეთს რეციპროკულად უკავშირდებიან ანუ გარკვეულად ხელს უწყობენ ერთმანეთს, თუმცა ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ეფექტი იდენტობის პროცესებზე უფრო ძლიერია, ვიდრე პირიქით (Luyckx, Vansteenkiste, Goossens, Duriez, 2009).

იდენტობის ფორმირების პროცესები უკავშირდება პიროვნების ძირითად ნიშნებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნევროტიციზმი და არჩევანთან იდენტიფიკაცია უარყოფით კავშირშია ერთმანეთთან, მაშინ როდესაც მსგავსი კავშირი არ არის არჩევანის გაკეთებასთან. რაც შეეხება ძიების პროცესებს, მხოლოდ მუდმივი ძიება აღმოჩნდა დადებით კავშირში ნევროტიციზმთან. ნევროტიციზმის მსგავსად, ექსტრავერსია და მისი ორი ასპექტი -აქტივობა და პოზიტიური ემოცია კავშირში იყო არჩევანთან იდენტიფიკაციასთან და არა არჩევანის გაკეთებასთან. ექსტრავერსია დადებით კავშირში აღმოჩნდა ალტერნატივების ძიებასა და სიღრმისეულ ძიებასთან და უარყოფით კავშირში მუდმივ ძიებასთან. ღიაობის ნიშანს ნაკლებად აქვს კავშირი არჩევანის განზომილებებთან, თუმცა ძიების პროცესების მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს. აღმოჩნდა რომ კეთილგანწყობა არ უკავშირდება არჩევანის განზომილებებს, თუმცა კავშირშია ალტერნატივების ძიებასთან, განსაკუთრებით ნდობის, ალტრუიზმის და სენსიტიურობის მახასიათებლებს, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ კეთილგანწყობილ ადამიანებს ძლიერი სოციალური მხარდაჭერა, რაც ქმნის მათ საიმედო საყრდენს უქმნის ძიების პროცესისათვის. კეთილგანწყობა, თუმცა მისი სხვა ასპექტები (პირდაპირობა, დამყოლობა, მოკრძალებულობა) კავშირშია მუდმივ ძიებასთან. გამოხატული მორიდებულობა და დამყოლობა კავშირშია პიროვნების დამოკიდებულ აშლილობასთან და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამოკიდებული პიროვნების მახასიათებლები ბიძგს აძლევს მუდმივ ძიებას. კეთილსინდისიერება დადებით კავშირში აღმოჩნდა არჩევანის ორივე განზომილებასთან და ასევე

ალტერნატივებისა და სიღრმისეულ ძიებასთან (Klimstra, Luyckx, Germeijs, Meeus, & Goossens, 2012)

კვლევის შედეგად დადგინდა კავშირი იდენტობის პროცესებსა და დაძლევის სტრატეგიებს შორის. არჩევანის გაკეთება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება და სიღრმისეული ძიება უკავშირდება პრობლემის გადაჭრასა და სოციალური მხარდაჭერის ძიებას, ხოლო მუდმივი ძიება უკავშირდება თავის არიდების სტრატეგიას. აქვე აღსანიშნავია, რომ ალტერნატივების ძიება ასევე პოზიტიურ კავშირშია თავის არიდებასთან, რაც მიანიშნებს ალტერნატივების ძიების ორმაგ ხასიათზე და შეიცავს როგორც ადაპტურ ისე არაადაპტურ მომენტებს. ლონგიტუდური კვლევითი სტრატეგიის გამოყენებით აღმოჩნდა ორმხრივი კავშირი დაძლევის სტრატეგიებსა და იდენტობის პროცესებს შორის. ალტერნატივების ძიება აღმოჩნდა პრობლემის მოგვარების პრედიქტორი, სიღრმისეული ძიება კი პრობლემის მოგვარებისა და სოციალური მხარდაჭერის ძიების, მუდმივი ძიება თავის არიდების. რაც შეეხება არჩევანის პროცესებს, აქ კავშირი ნაკლები სიძლიერის იყო, თუმცა არჩევანთან იდენტიფიკაცია ახდენდა თავის არიდების სტრატეგიის პრედიქციის შემცირებას, რაც აჩვენებს ამ პროცესის მნიშვნელობას ფსიქო-სოციალური ადაპტაციისათვის (Luyckx, Klimstra, Duriez, Schwartz, & Vanhalst, 2012).

ლონგიტიდური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თვითშეფასება ახდენს არჩევანის გაკეთების და არჩევანთან იდენტიფიკაციის პოზიტიურ პრედიქციას,

ხოლო მუდმივი ძიების უარყოფით პრედიქციას უფროსკლასელებში. უკვე სტუდენტობის სტადიაზე თვითშეფასებასა და იდენტობის პროცესებს შორის კავშირი რეციპროკულია; კერძოდ, უკვე იდენტობის პროცესები ახდენს თვით-შეფასების პრედიქციას-არჩევანთან იდენტიფიკაცია პოზიტიურად, ხოლო მუდმივი ძიება ნეგატიურად (Luyckx, Klimstra, Duriez, Van Petegem, Beyers, Teppers, Goossens, 2013).

კვლევები აჩვენებს რომ იდენტობის პროცესები, გარდა მუდმივი ძიებისა პოზიტიურ კავშირში არიან ფსიქო-სოციალურ ადაპტაციასთან; თუმცა ერთ-ერთი კვლევის შედეგად აღმოჩნდა რომ ალტერნატივების ძიების პროცესი და არჩევანის გაკეთება გარკვეულწილად კავშირში იყო ინტერნალიზებულ სიმპტომებთან, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა და ექსტერნალიზებულ სიმპტომებთან, როგორიცაა ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ აქტივობებში ჩართულობა (Ritchie et al, 2013). ალტერნატივების ძიების პროცესი მეტ-ნაკლებად შეიცავს დაძაბულობასა და შფოთვას; რაც შეეხება არჩევანის გაკეთებას, მისი პოზიტიური კავშირი სხვადასხვა სიმპტომებთან შეიძლება აიხსნას იმით, რომ არჩევანის გაკეთება მოიცავს შეუზღუდავ შესაძლო ალტერნატივებზე უარის თქმას ერთის სასარგებლოდ, რაც შეიძლება იწვევდეს უსიამოვნო განცდებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავისთავად არჩევანის გაკეთება არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი; მისი მნიშვნელობა პიროვნებისათვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაბამისობაშია ის მის მიზნებთან, ღირებულებთან და შეხედულებებთან.

მართლაც, შემდგომმა კვლევამ დაადასტურა რომ არჩევანის ხარისხი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არჩევანის გაკეთების კავშირს ადაპტურ ფსიქო-სოციალურ ფუნქციონირებასთან (Waterman, Schwartz, Hardy, Kim, Lee, Armenta, 2013).

აღმოჩნდა, რომ იდენტობის პროცესები კავშირშია ისეთ მახასიათებელთან როგორიცაა პიროვნული ზრდის ინიციატივა. პიროვნული ზრდის ინიციატივა მოიცავს ოთხ კომპონენტს: ცვლილებისათვის მზაობა (readiness for change) (ინდივიდის ღიაობა პიროვნული ცვლილებისათვის), დაგეგმვის უნარი (planfulness) გეგმის არსებობა ინდივიდის ზრდასთან დაკავშირებით), მიზანმიმართული ქცევა (intentional behavior) (მოქმედება რომელიც ზრდას იწვევს) და რესურსების გამოყენება (using resources) (დახმარების მიღება გარე რესურსებისაგან). აღმოჩნდა, რომ იდენტობის პროცესებთან მიმართებაში დაგეგმვის უნარი ყველაზე თანმიმდევრული პრედიქტორია - ის პოზიტიურ კავშირშია არჩევანის პროცესებთან და ალტერნატივებისა და სიღრმისეულ ძიებასთან და ნეგატიურ კავშირშია მუდმივ ძიებასთან. მუდმივი ძიება პოზიტიურად უკავშირდებოდა ცვლილებისადმი მზაობას მაგრამ ნეგატიურად დაგეგმვასა და მიზანმიმართულ ქცევას. აქვე აღმოჩნდა რომ ასაკი მნიშვნელოვანია ამ მიმართებებში, კერძოდ ალტერნატივების ძიება უკავშირდება დაგეგმვას მოზარდობის ასაკში, ხოლო უფრო გვიან ალტერნატივების ძიება კავშირშია ცვლილებისადმი მზაობასთან. ეს თავისებურება ეხმაურება კვლევის შედეგებს,

რომელიც აჩვენებს, რომ ალტერნატივების ძიების პროცესი ასაკის მატებასთან ერთად მეტად უკავშირდება ნეგატიური ფსიქოსოციალური ფუნქციონირების მახასიათებლებს. მედიაციურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ დაგეგმვის უნარი არჩევანთან იდენტიფიკაციისა (პოზიტიურად) და მუდმივი ძიების (ნეგატიურად) გავლით უკავშირდება ფსიქოლოგიური ადაპტაციის მახასიათებლებს.

ბოლო პერიოდის კვლევებში იდენტობის პროცესების შესწავლა მიმდინარეობს როგორც ცვლადზე ანუ ცალკეულ იდენტობის ცალკეულ განზომილებებზე ფოკუსირებული მიდგომით ისე პიროვნებაზე ფოკუსირებული მიდგომით რომელიც გულისხმობს იმ პატერნების შესწავლას რომელიც ცვლადების ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება (von Eye & Bergman, 2003). პიროვნებაზე ცენტრირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდოლოგიაა კლასტერული ანალიზი. იდენტობის ხუთ განზომილებაზე დაყრდნობით კლასტერული ანალიზის მეშვეობით გამოიყო იდენტობის სტატუსები (Luyckx et al., 2008; Schwartz et al., 2011). რამდენადაც კლასტერული ანალიზი მონაცემებით მართული მიდგომაა და ამიტომ უფრო გამართლებულია ვიდრე მედიანას გამოყენებით მიღებული იდენტობის სტატუსები (Steinley & Brusco, 2007). მიღწეული იდენტობის სტატუსი ხასიათდება მაღალი ქულებით იდენტობის ყველა პროცესზე გარდა მუდმივი ძიებისა. ნაადრევი იდენტობისათვის დამახასიათებელია მაღალი ქულები არჩევანის პროცესებზე და დაბალი ქულები ძიების პროცესებზე. მაძიებელი მორატორიუმის სტატუსი ხასიათდება მაღალი

ქულები სამივე ძიების პროცესზე, საშუალოდან მაღალ ქულამდე არჩევანის პროცესებზე. აღრეული დიფუზიის *(Troubled Diffusion)* სტატუსი ხასიათდება დაბალი ქულებით არჩევანის განზომილებებზე, მაღალი ქულით მუდმივ ძიებაზე და საშუალოდან მაღალ ქულამდე ალტერნატივების ძიებაზე. ამ მოდელის გამოყენებით გაჩნდა ორი ახალი კლასტერი: უდარდელი დიფუზია (Carefree diffusion), რომელიც ხასიათდება დაბალი ქულებით ხუთივე განზომილებაზე და გამოუდიფერენცირებელი (Undifferentiated) სტატუსი, რომელიც ხასიათდება საშუალო ქულებით ყველა განზომილებაზე. აღმოჩნდა, რომ მიღწეული იდენტობის სტატუსის მქონე ინდივიდები ყველაზე მაღალი იდენტობის სინთეზით ხასიათდებიან, მათ მოსდევს ნაადრევი იდენტობისა და მაძიებელი მორატორიუმის მქონე ჯგუფი და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს აღრეული დიფუზიისა და უდარდელი დიფუზიის მქონე სტატუსებს. რაც შეეხება ფსიქოსოციალური ადაპტაციის სხვა მახასიათებლებს, ამ შემთხვევაშიც ყველაზე კარგ მაჩვენებლებს ავლენენ მიღწეული იდენტობის სტატუსის მქონე პირები და ყველაზე უარესს დიფუზიის სტატუსის მქონე ინდივიდები. ნეგატიური ადაპტაციის მაჩვენებლებიც, როგორიცაა შფოთვა, დეპრესია, ანტისოციალური ქცევა იგივე კანონზომიერებით (ყველაზე ნაკლებად გამოხატულია მიღწეული იდენტობის სტატუსში და ყველაზე მეტად დიფუზურ სტატუსებში). თუმცა საინტერესო მომენტი იკვეთება ანტისოციალურ ქცევასთან დაკავშირებით, სადაც განსაკუთრებულად მაღალ მაჩვენებელი გამოავლინა უდარდელი დიფუზიის მქონე ჯგუფმა. ეს მიანიშნებს ამ ჯგუფის აწმყოზე ორიენტირებულ, ჰედონისტური

და საშიში ქცევისაკენ მიდრეკილებაზე. * ჩვენს მონაცემებში იდენტობის ნორმატიული სტილი ჰქონდა ამ ჯგუფს გამოხატული. მიღწეული იდენტობის სტატუსი ნაადრევი იდენტობის მსგავს მაჩვენებლებს ავლენს პოზიტიური ფუნქციონირების მახასიათებლებზე; აქ გამონაკლისია ცხოვრების აზრის განცდისაგან (sense of meaning), სადაც მიღწეული იდენტობის სტატუსს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს (Schwartz et al., 2011).

იდენტობის პროცესებზე ორიენტირებული მოდელის გამოყენებით პიროვნული იდენტობის ფორმირება შეისწავლეს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ბელგიაში (Luyckx et al., 2006, 2008), აშშ-ში (Schwartz et al., 2011), იტლიაში (Crocceti, Luyckx, Scrignaro, & Sica 2011), შვეიცარიასა და საფრანგეთში (Zimmermann, Lannegrand-Willems, Safont-Mottay, & Cannard, 2013), და ფილიპინებში (Pesigan, Luyckx, & Alampay, 2014). მოცემულ კვლევებში ძირითადი შედეგები ერთმანეთის მსგავსი აღმოჩნდა. თუმცა არსებობს მტკიცებულება იმისა რომ იდენტობის პროცესების მიმდინარეობა ყველგან ერთმანეთის მსგავსად არ ხდება და კონტექსტის თავისებურებები შესაძლოა მნიშვნელოვნად აისახოს მათში (Schwartz, Teo, & Mochizuki, 2011). მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ კონტექსტის როლს პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

1.2. პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება-კონტექსტის როლი

პიროვნებაში მიმდინარე იდენტობის პროცესების განხილვისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იდენტობის ჩამოყალიბება არ ხდება სტატიკურ გარემოში, სადაც არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული სოციალური სტრუქტურა, არ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური შეზღუდვები და ახალგაზრდის წინაშე ბევრი შესაძლებლობები და ალტერნატივებია.

ერიკსონი თვლიდა, რომ იდენტობის კრიზისის სიმწვავე უფრო მეტად დამოკიდებულია კონტექსტის ფაქტორებზე ვიდრე ბიოლოგიურზე. ცხადია, მოზარდობის ისეთი ბიოლოგიური ასპექტები, როგორიცაა ახალი მოთხოვნილებები, მომატებული ფიზიკური ძალა და ახალი კოგნიტური შესაძლებლობები (ფორმალური ოპერაციების სტადია, პიაჟეს მიხედვით, როდესაც შესაძლებელი ხდება მოვლენების სამომავლო პერსპექტივაში გაანალიზება) ართულებენ კრიზისს, მაგრამ ეს ერიკსონი მიხედვით ხდება მაშინ, როდესაც კულტურა ვერ ახერხებს „მეგზურობა“ გაუწიოს ინდივიდს ამ ახალი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის პროცესში. კარგად სტრუქტურირებული საზოგადოებებში არსებობს ამ გარდამავალი პერიოდის შესაბამისი შესაძლებლობა, როდესაც საზოგადოების უფროსი წევრები ეხმარებიან ახალგაზრდა ადამიანს ამ სტადიისათვის დამახასიათებელი დაძაბულობის გადალახვაში. ერიკსონს შემოაქვს ინსტიტუციონალიზებული მორატორიუმის ცნება, რომელიც აკავშირებს პიროვნული იდენტობის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ასპექტებს. ერიკსონის თანახმად, ზოგჯერ საზოგადოება ინდივიდს სთავაზობს მეტ-ნაკლებად სანქცირებულ გარდამავალ პერიოდს

ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის-ეს არის ინსტიტუციონალიზებული მორატორიუმი, როდესაც ხდება შინაგანი იდენტობის შედარებითი ჩამოყალიბება. ამ პერიოდში ინდივიდი მოსინჯავს იდენტობის სხვადასხვა შესაძლებლობებს - მოგზაურობის, სხვადასხვა სამუშაოს, სწავლის ან არაფრის კეთების ფორმით. საზოგადოებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად ახდენენ მორატორიუმის სტრუქტურირებას და რა ხარისხით მოითხოვენ კონფორმულობას ინდივიდისაგან უფროსების ნორმებისა და ღირებულებების მიმართ. თავისუფლების დიდ ხარისხსა და არჩევანის არსებობას აქვს თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, ის ხელს უწყობს პიროვნების დაჩქარებულ კოგნიტურ, ემოციურ და ეგო განვითარებას; თუმცა მეორე მხრივ, ინდივიდი შეიძლება აღმოჩნდეს „არასწორად“ გაკეთებული არჩევანის ტყვეობაში, ან მორატორიუმში არსებული შესაძლებლობები ისეთ არჩევანში „გაფლანგოს“, რომელსაც არ მოჰყვება კოგნიტური და ემოციური განვითარება (Erikson, 1968).

იდენტობის პროცესები, რომელიც წინამდებარე ქვეთავში განვიხილეთ აღწერს ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს სოციალურ კონტექსტში. კოტე და ლევინე გამოყოფენ რამდენიმე სოციოლოგიურ მახასიათებელსა და პროცესს, რომელიც მნიშვნელოვანია განვიხილოთ იდენტობის ჩამოყალიბების განხილვისას.

პირველი ეს არის საზოგადოების სტრუქტურა, მისი ნორმატიული ორგანიზაცია რომელიც მოცემულია კონტინუუმზე არასტრუქტურირებული (ანომიური) სრულიად სტრუქტურირებულისაკენ (ნომიური??).

არასტრუქტურირებული, ანომიური საზოგადოების პირობებში ინდივიდი საკუთარი თავის იმედად რჩება თვით-განსაზღვრის ანუ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. ამ პროცესს კოტე და ლევინე ინდივიდუალიზაციას უწოდებენ (Cote & Levine, 2002). თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს უხდებათ საკუთარი „სახლის“ აშენება, ნაცვლად იმისა, რომ უკვე აშენებულ სახლში დაიწყონ ცხოვრება. ეს არის უზარმაზარი ამოცანა, რომელიც ინდივიდისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს საკუთარი თავის განვითარებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით (Baumaister & Muraven, 1996). თავის უკიდურესი ფორმით არასტრუქტურირებული საზოგადოების მაგალითი თანამედროვე დასავლურ ქვეყნებშია, სადაც შეიქმნა პიროვნული იდენტობის თეორიების დიდი ნაწილი. შეიძლება ვთქვათ, რომ ანომიისაკენ ტენდენცია უნივერსალურია, თუმცა ის სხვადასხვა ხარისხით ვლინდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. თუ განვიხილავთ კულტურის ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა კულტურის სიმჭიდროვე-თავისუფლება, რომელიც ცალკეულ კულტურაში სოციალური ნორმების მოქმედების სიძლიერეს გამოხატავს, აღმოჩნდება რომ ერთი ქვეყნის აშშ-ს შიგნითაც კი, ის სხვადასხვა ხარისხითაა გამოვლენილი (Harrington & Gelfand, 2014). კულტურის სიმჭიდროვე თავისუფლება კონტექსტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია როდესაც პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას განვიხილავთ (Cote & Levine, 2002).

კულტურის ფაქტორებთან კონტექსტის განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს სოციო-ეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებმაც ასევე შესაძლოა შექმნას რესურსები და ბარიერები იდენტობის ჩამოყალიბებისას (Yoder, 2000).

იდენტობის ბარიერები შეიძლება არსებობდეს სოციო-ეკონომიკურ გარემოებებში, იქნება ეს ზოგადად საზოგადოება, ოჯახი თუ შრომითი პირობები რომელზეც ინდივიდს არ აქვს კონტროლი, თუმცა ისინი ზეგავლენას ახდენს მისი განვითარების მიმართულებაზე. ბარიერი შეიძლება ეხებოდეს პიროვნული იდენტობის სხვადასხვა სფეროს, იქნება ეს პროფესია, ურთიერთობები, რელიგია თუ სხვა. იოდერი გამოყოფს ბარიერების რამდენიმე სახეობას, მათ შორის გეოგრაფიულ იზოლაციას, სოციო-ეკონომიკურ სტატუსს, მშობლების დომინირებას, განათლების შესაძლებლობებს და რელიგიას. მსჯელობს რა მარშას იდენტობის თავდაპირველ მოდელთან მიმართებაში, ის მიუთითებს, რომ ბარიერები შეიძლება არსებობდეს როგორც ძიების პროცესში, ისე გადაწყვეტილების მიღებისას (Yoder, 2000).

იდენტობის ჩამოყალიბების პროცესების ფორმისა და შინაარსის გარდა სოციო-ისტორიულ-ეკონომიკური კონტექსტი გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირების როგორც ფსიქო სოციალური განვითარების ამოცანის ასაკობრივ ჭრილზე.

პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ტრადიციულად განიხილებოდა როგორც მოზარდობის სტადიის ამოცანა, თუმცა ბოლო ათწლეულებში გაჩნდა კონცეფცია საწყისი ზრდასრულობის შესახებ, რომელიც გარდამავალ სტადიას წარმოადგენს მოზარდობასა და ზრდასრულობას შორის და ამ სტადიაზე იდენტობის

ჩამოყალიბებას ცენტრალური ადგილი აქვს. თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პირობები ზეგავლენას ახდენს პიროვნების ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებებზე. ამერიკელი ფსიქოლოგის, ჯეფრი არნეტის მიხედვით, მოზარდობიდან ზრდასრულობის სტადიაზე გადასვლა მე-20-ე საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნეში განსაკუთრებულად გახანგრძლივებულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სწავლა, წინა პერიოდებთან შედარებით, უფრო დიდხანს გრძელდება, ოჯახი შედარებით გვიან იქმნება და მშობლის სტატუსს უფრო გვიან იღებენ, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. არნეტის მიხედვით, გაჩნდა განვითარების ახალი სტადია - საწყისი ზრდასრულობა. საწყისი ზრდასრულობა განსხვავებულია ერიკ ერიკსონის ადრეული (young) ზრდასრულობის სტადიისაგან ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებებით. ერიკსონის ადრეული ზრდასრულობის მთავარი ფსიქო-სოციალური კონფლიქტი სხვა ადამიანებთან ღრმა ურთიერთობების დამყარების უნარსა და იზოლაციას შორის არსებულ დაძაბულობას შორის მდგომარეობს, ხოლო არნეტის საწყისი ზრდასრულობის ერთ-ერთ ცენტრალურ ფსიქო-სოციალურ ამოცანად იდენტობის ჩამოყალიბება რჩება, რაც ერიკსონის განვითარების თეორიაში მოზარდობისთვისაა დამახასიათებელი. საწყისი ზრდასრულობის სტადია, არნეტის მიხედვით, გაჩნდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში ინდუსტრიულ ქვეყნებში. თუ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებისა და 21 -ს დასაწყისის რაოდენობრივ მაჩვენებლებს შევადარებთ მეოცე საუკუნის 60-იან წლებთან, აშშ-ს მაგალითზე ვნახავთ, რომ გაცილებით გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი და

გაცილებით მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც განათლების მიღებას საშუალო სკოლის შემდეგაც აგრძელებს. საწყისი ზრდასრულობა ხასიათდება შემდეგი ფსიქოლოგიური თავისებურებებით: 1) ეს არის იდენტობის ძიების სტადია, პერიოდი, როდესაც პიროვნება იღებს თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ურთიერთობებისა და სამუშაოს სფეროში; ეს გადაწყვეტილებები ითვალისწინებს მის ინტერესებსა და იმ შესაძლებლობებს, რომელსაც გარემო სთავაზობს; 2) განვითარებადი ზრდასრულობის ეტაპი ხასიათდება გამოკვეთილი არასტაბილობით, რადგან საკუთარი იდენტობის ძიებაში ინდივიდები ხშირად იცვლიან პარტნიორებს, სამუშაოს, განათლების მიმართულებას; 3) ეს არის საკუთარ თავზე ფოკუსირებული სტადია, რადგან ამ ეტაპზე პიროვნებას აქვს ცოტა პასუხისმგებლობა და მეტი შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები; 4) ეს არის შუალედური სტადია, როდესაც ინდივიდი არც მოზარდია და არც ზრდასრული; 5) ეს არის შესაძლებლობების სტადია, რადგან ჯერ კიდევ არ არის მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ცხოვრებამ შეიძლება სხვადასხვა მიმართულება შეიძინოს (Arnett 2011). არნეტის თავდაპირველი თეორია გაჩნდა ჩრდილო ამერიკელი სტუდენტების შესწავლის ბაზაზე (Arnett 2004). შეიძლება თუ არა ამ მოდელის განხილვა, როგორც უნივერსალურის? ზოგი ავტორი მიუთითებს, რომ საწყისი ზრდასრულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კულტურულ და სოციალურ ინსტიტუციებზე და არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად (Hendry & Kloep 2010). საწყისი ზრდასრულობის კონცეფციის

ავტორი ჯეფრი არნეტი საუბრობს განსხვავებებზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მსოფლიო მასშტაბით (Arnett 2011). მისი აზრით, საწყისი ზრდასრულობის სტადიის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური სტატუსი. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მაგალითად აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია, სამხრეთ კორეა) კონტექსტი აჩენს მეტ შესაძლებლობას ამ სტადიის გავრცელებისათვის, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, კულტურული განსხვავებები ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შიგნითაც აღინიშნება. მაგალითად, თუ ევროპაში ზრდასრულობის ერთ-ერთი ნიშანი ფინანსური დამოუკიდებლობაა, იაპონიაში ზრდასრულობის მნიშვნელოვან ინდიკატორად მშობლებზე ფინანსური ზრუნვა მიიჩნევა. განსხვავებულია სექსუალური ცხოვრებისადმი მიდგომაც; აზიურ ქვეყნებში კვლავ მიუღებელია ქორწინებამდე სექსუალური თანაცხოვრება პარტნიორთან. კულტურასთან ერთად, განვითარების თავისებურებაზე ზეგავლენას ახდენს სოციალური კლასი. მაღალი სოციალური კლასის შემთხვევაში ზრდასრული როლების მიღება ხდება უფრო გვიან, ვიდრე დაბალი სოციალური კლასის შემთხვევაში. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, დემოგრაფიული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საწყისი მოზარდობის სტადია თანდათან უფრო გავრცელებული ხდება, ცოტაა ცნობილი იმაზე, თუ რა ფსიქოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება ის.

დაოჯახების ასაკობრივ მაჩვენებლებთან ერთად უფრო აქცენტს აკეთებენ საშუალო სკოლის შემდეგ უმაღლესი განათლების გავრცელებაზე და მის სტრუქტურაზე. სტრუქტურაში იგულისხმება, მაგალითად, რამდენად შესაძლებელია რომ ამ პერიოდში ძიების პროცესში იყოს ჩართული, რამდენადაა შესაძლებელი სხვადასხვა სფერო მოსინჯოს, რამდენად დატვირთულია.

საწყისი ზრდასრულობის კონცეფცია ისევე როგორც იდენტობის სტატუსების მოდელი შეიქმნა აშშ-ში და კვლევები პიროვნული იდენტობის შესახებ ამ მოდელზე დაყრდნობით ძირითადად აშშ-სა და კანადაში ტარდებოდა. ბოლო 15 წელია პიროვნული იდენტობის შესახებ კვლევამ ევროპაში გადმოინაცვლა. ზემოთ განხილული ორი მოდელი მეეუსისა და ლუქსის ჰოლანდიასა და ბელგიაში შეიქმნა და მათი გამოყენებით კვლევებიც იქ აქტიურად მიმდინარეობს; რაც შეეხება დანარჩენ მსოფლიოს პიროვნული იდენტობის შესახებ კვლევები იქ ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია (Schwartz, Zamboanga, Meca, Ritchie, 2012).

იდენტობის კვლევის გაფართოვება განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში მათ შორის არადასავლურ კულტურებში შესაძლებელს გახდის არსებული იდენტობის მოდელების კროს-კულტურული შესაბამისობა დამტკიცდეს. პოსტ-საბჭოთა სივრცე განსაკუთრებულად შეუსწავლელია სოციალური მეცნიერებების კუთხით. სწრაფი სოციალური ცვლილებები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ქმნის განსაკუთრებულ შესაძლებლობებსა და წინააღმდეგობებს ინდივიდის ფსიქოსოციალური განვითარებისათვის, როგორიცაა წინა თაობებთან შედარებით

მეტი თავისუფლება მოგზაურობისა და სწავლისათვის და ამასთან ერთად მეტი გაურკვევლობა მომავალთან დაკავშირებით (Macek, Jezek, & Vazsonyi, 2013). საქართველო, როგორც გარდამავალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყანა, ხშირ შემთხვევაში ვერ სთავაზობს ახალგაზრდა ადამიანებს ცხოვრების დაგეგმვისათვის სტაბილურ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით პროფესიული განვითარებისათვის. ახალგაზრდა ადამიანები მუშაობას ან სკოლის დამთავრებისთანავე იწყებენ ან ბაკალავრის დიპლომის მიღებისთანავე. საკმაოდ ხშირად სფერო, რომელშიც ისინი მუშაობენ განსხვავდება მათ მიერ მიღებული განათლებისაგან, რადგან სამუშაოს შესაძლებლობები შეზღუდულია (Rudaz, 2012; Nicol, 2013; Pleines, 2014).

სოციო-ეკონომიკურ პირობებთან ერთად, კულტურული კონტექსტიც ქმნის გარემო სტრუქტურას რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის შესაძლებლობებზე (Phinney & Baldelomar, 2011). საქართველო განიხილება როგორც კოლექტივისტურო ტიპის კულტურა, რომელშიც ოჯახური ცხოვრების თავისებურებები გამოხატავს კოლექტივისტურ კულტურულ ელემენტებს; მაგალითად ახლო ნათესავების დიდი მნიშვნელობა ინდივიდის ცხობრებაში და მჭიდრო კავშირი მშობლებთან რომელიც ზრდასრულობაშიც გრძელდება (Nijaradze, 2001; Surmanidze, 2000, 2001; Tsuladze, 2003). ახალგაზრდა ადამიანები ცალკე არ გადადიან ზოგჯერ ქორწინების შემდეგაც. სტუდენტებიც ძირითადად მშობლებთან ცხოვრობენ. შემთხვევითი სექსუალური კონტაქტები და პარტნიორთან თანაცხოვრება მიუღებლად ითვლება, განსაკუთრებით ქალების

შემტხვევაში (Surmanidze & Tsuladze, 2008; Tsuladze, 2003). მშობლებისა და ნათესავების გავლენა ახალგაზრდა ადამინების ცხოვრებაზე საკმაოდ ძლიერია და შესაძლოა რომ ისინი ხელისშემშლელი ფაქტორების როლს ასრულებდნენ ალტერნატივების ძიებისას და ხელს უწყობდნენ არჩევანის გაკეთებას. (Beyers & Goossens, 2008; Bosma & Kunnen, 2001; Luyckx, Soenens, Vansteenkiste, Goosens, & Berzonsky, 2007).

სხვა არადასავლური კონტექსტების მსგავსად, საქართველოზე გავლენას ახდენს გლობალიზაცია, რომლის შედეგად ჩნდება გარკვეული დაძაბულობა/დაპირისიპირება პოსტ-საბჭოთა და დასავლურ კულტურულ ტენდენციებს შორის. ათწლეულების მანძილზე ინფორმაციული და კულტურული ურთიერთობა მსოფლიოს დიდ ნაწილთან საკმაოდ შეზღუდული იყო. ბოლო 20 წლის მანძილზე ღია საზღვრებისა და ახალი ტექნოლოგიების გავლენით ეს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. გლობლიზაციამ შეამცირა ნაციონალური საზღვრების მნიშვნელობა და ხელი შეუწყო ნაკლებად ტრადიციული და უფრო დასავლური ღირებულებების დამკვიდრებას (Jensen, Arnett, McKenzie, 2011). ეს ცვლილებები განსაკუთრებით ნათელია, თუ შევადარებთ საქართველოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ღირებულებით ორიენტაციებს. უფროსი თაობების წარმომადგენლები მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის შეკრულობას, ტრადიციების შენარჩუნებას და ავტორიტარული აღზრდის პრაქტიკას, მაშინ როდესაც ახალგაზრდა თაობისათვის მნიშვნელოვანია ავტონომია და მიზანზე ორიენტირებულობა (Sumbadze, 2012). თაობებს შორის ეს „ღირებულებების

განსვლა“ შეიძლება აისახოს პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებზეც და ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებებმა და ცხოვრების წესის ალტერნატივებმა შესაძლებელია გაზარდოს სტაბილური იდენტობის ჩამოყალიბების სირთულე. გარკვეული ავტორები (Arnett, 2002; Jensen, 2003) მიუთითებენ გაზრდილი გლობალიზაციის გავლენაზე იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. იქ სადაც, ტრადიციული იერარქიული კულტურა არსებობდა აქტიურად იჭრება დასავლური კულტურული გავლენები. განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობა აჩენს მრავალფეროვან და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო გზავნილებს/პირობებს პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის.

2. წინამდებარე კვლევა

იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ კვლევის უმეტესი ნაწილი ჩატარებულია ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (Schwartz, Zamboanga, Meca, & Ritchie, 2012). ამასთან, რიგი ავტორები მიუთითებენ, რომ არადასავლური კონტექსტების უგულებელოფა კვლევებში მიკერძოებულ მეცნიერული ცოდნის შექმნას იწვევს და მნიშვნელოვანია იდენტობის არადასავლურ სივრცეში შესწავლა (Arnett, 2008; Henrich, Heine, & Norenzayan, 2010). იდენტობის ჩამოყალიბებაზე კულტურის გავლენის შესასწავლა (Baumeister & Muraven, 1996) მოითხოვს მის კვლევას სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში. პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების შესწავლა საქართველოში დაეხმარება პიროვნება-კულტურული კონტექსტის ურთიერთქმედების როლის მნიშვნელობის გარკვევას ზრდასრულობის მიღწევისათვის განვითარების ამ ძირითადი ამოცანის დაძლევისას.

კულტურულ-კონტექსტუალური ფაქტორები, რომლითაც საქართველო განსხვავდება იმ კონტექსტებისაგან, სადაც იდენტობის შესწავლა მიმდინარეობდა, შესაძლებელია გავლენას ახდენდეს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებზე. მაგალითად, ალტერნატივების ძიება, რომელიც იდენტობის ჩამოყალიბების მთავარ მექანიზმად ითვლება, ინდივიდუალისტური ხედვიდან მომდინარეობს (Bosma & Kunnen, 2001). ძიების პროცესი გულისხმობს, რომ პიროვნებამ უნდა გადახედოს იმ ღირებულებებისა და შეხედულებების გარკვეულ ნაწილს,

რომლითაც ის გაიზარდა, რაც, შესაძლებელია, წინააღმდეგობაში მოვიდეს ტრადიციებისა და უფროსების პატივისცემის ღირებულებასთან. ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც არადასავლურ, კოლექტივისტურ კულტურებში (ჩინეთი, ტაილანდი და იაპონია) ჩატარდა, დებულებებმა, რომელიც ალტერნატივების ძიებას ზომავდა, ისეთი ფაქტორული სტრუქტურა შექმნა, რომ მისი ინტერპრეტაცია შეუძლებელი იყო არ შექმნა ფაქტორული სტრუქტურა, რომლის ინტერპრეტაცია იქნებოდა შესაძლებელი (Berman, Schwartz, Teo, & Mochizuki, 2011).

მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს იდენტობის პროცესები და სტატუსები ქართველ ახალგაზრდებში და ამ გზით, გაამდიდროს დასავლეთის ინდივიდუალისტურ ქვეყნებში შემუშავებული იდენტობის განვითარების მოდელი. ამგვარი კვლევა საქართველოში პირველად ტარდება. კვლევაში შევამოწმებ, ვითარდება თუ არა ლუქსისა და კოლეგების (2008) მოდელში მოცემული იდენტობის პროცესები საქართველოში იმგვარადვე, როგორც ეს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ხდება. მნიშვნელოვან მსგავსებებთან ერთად, მოსალოდნელია არსებობდეს განსხვავებებიც, რამდენადაც საქართველო განსხვავდება იმ კონტექსტებისაგან, სადაც იდენტობა არის შესწავლილი (Goossens & Phinney, 1996; Grotevant, 1987). კვლევაში ასევე შევისწავლი, თუ როგორ უკავშირდება იდენტობის პროცესები ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას და რამდენად ახლოსაა ეს კავშირები იდენტობის სტატუსების და მისი შემდგომი მოდელების შესაბამის მოსალოდნელ შედეგებთან. მაგალითად,

არჩევანის გაკეთება უნდა უკავშირდებოდეს ადაპტურ ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას და მუდმივი ძიება უნდა უკავშირდებოდეს არაადაპტურ ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას (შედარებისთვის Luyckx et al., 2008, ბელგიაში და Schwartz et al., 2011, აშშ-ში).

ერიკსონის თეორიაზე დაყრდობით, რომლის მიხედვით პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენს როგორც შინაგანი ფსიქოლოგიური პროცესების, ისე სოციო-კულტურული ფაქტორების პროდუქტს, ვვარაუდობთ, რომ ზემოთ განხილული ქართული კონტექსტის გარკვეული თავისებურებები შეიძლება ქმნიდნენ ბარიერს ალტერნატივების ძიებისას (Yoder, 2000). ალტერნატივების ძიება ფრუსტრაციისა და სტრესის გამომწვევი შეიძლება იყოს ისეთ პირობებში, სადაც ახალგაზრდა ადამიანი, ერთის მხრივ, განიცდის გარკვეულ ზეწოლას მიჰყვეს ტრადიციულ სოციო-კულტურულ ნორმებს, მეორეს მხრივ კი მის გარემოში არ არის საკმარისი სამუშაო შესაძლებლობები. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალტერნატივების ძიება ქართველ ახალგაზრდებში შეიძლება უკავშირდებოდეს ინტერნალიზებულ სიმპტომებს. ქართული კონტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ ნაადრევი იდენტობის სტატუსის მქონე ინდივიდები აჩვენებენ იგივე ადაპტაციის დონეს (ცხოვრებით კმაყოფილების, დეპრესიისა და შფოთვის გათვალისწინებით) როგორც მიღწეული იდენტობის სტატუსის მქონენი. ამასთან, მაძიებელი მორატორიუმის ჯგუფი შეიძლება ავლენდეს ადაპტაციის დაბალ დონეს მაღალი ალტერნატივების ძიების გამო. გარდა ამისა, ქართული

საზოგადოების გარდამავალი მდგომარეობა (რომელიც არ ქმნის სტაბილურ სტრუქტურას ინდივიდის არჩევანისა და ღირებულებების განსაზღვრისათვის), შეიძლება იწვევდეს აღრეული დიფუზიისა და უდარდელი დიფუზიის სტატუსების სიჭარბეს დასავლურ შედეგებთან შედარებით.

ამ მიზნების მისაღწევად ჩავატარე ანალიზის სამი ეტაპი: თავდაპირველად შევამოწმე იდენტობის განვითარების განზომილებების სკალის ფაქტორული ვალიდობა და სანდოობა. შემდეგ შევისწავლე იდენტობის განზომილებების კავშირი ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ადაპტურ და არაადაპტურ მახასიათებლებთან, როგორიცაა ცხოვრებით კმაყოფილება, დეპრესია და შფოთვა. ბოლოს, ჩავატარეთ კლასტერული ანალიზი, რომ იდენტობა ტიპოლოგიურ დონეზე შემესწავლა. წინა კვლევების შესაბამისად, მოსალოდნელი იყო ექვსი კლასტერის აღმოჩენა.

პიროვნული იდენტობის სტატუსზე ორიენტირებულ მოდელების მიმართ კრიტიკა ხშირად უკავშირდება იმას, რომ ისინი აღწერენ პიროვნების შიგნით მიმდინარე ფსიქოლოგიურ პროცესებს კონტექსტისაგან განცალკევებულად (მაგ. Van Hoof, 1999). იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე ორიენტირებული მოდელი სწავლობს შინდა პიროვნულ პროცესებს და არ ასახავს, თუ რა ზეგავლენას ახდენს კონტექსტი ამ პროცესებზე. ამ დანაკლისის შესავსებად და კონტექსტის გავლენის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად კვლევის მეორე ეტაპზე იდენტობის პროცესების მიმდინარეობაზე ქართველი ახალგაზრდების შეხედულება

თვისებრივი მეთოდოლოგიით შევისწავლეთ. ფოკუს ჯგუფებში, რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენელი სტუდენტები მონაწილეობდნენ, ძირითად საკვლევ კითხვას წარმოადგენდა ქართული კულტურული და სოციო-ეკონომიკური კონტექსტის გავლენა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებზე.

2.1 კვლევა 1

(რაოდენობრივი ნაწილი)

2.1.1 მეთოდი

მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 295 სტუდენტმა სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა ფაკულტეტიდან 17 დან 29 წლამდე. მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 22.3 (SD=3.2). მონაწილეთა შორის იყო 82.6% გოგონა და 17.4% ბიჭი. მონაწილეთა 15% იყო დაოჯახებული და 42% იყო დასაქმებული.

მონაწილეთა შერჩევა მოხდა უნივერსტეტის ბაზიდან ელ-ფოსტისა და სოციალური ქცელების მეშვეობით. ამის შემდეგ მათ შეავსეს ელექტრონული კითხვარი. გამოკითხვა მიმდინარეობდა ანონიმურად.

საზომები

პიროვნული იდენტობის კითხვარი. მონაწილეებმა შეავსეს იდნეტობის განვითარების სკალა (Luyckx და სხვები., 2008). იდენტობის განზომილებების კითხვარი ეხება იდენტობის ხუთ განზომილებას მომავალი მიზნებისა და ცხოვრების სტილის შესახებ: არჩევანის გაკეთება: (მაგ. „გადაწყვეტილი მაქვს, რა მიმართულებას გავყვები ცხოვრებაში“), არჩევანთან იდენტიფიკაცია (მაგ. „მაქვს განცდა, რომ ის მიმართულება რომელსაც მინდა გავყვე ცხოვრებაში ნამდვილად შემეფერება“), ალტერნატივების ძიება (მაგ. აქტიურად ვფიქრობ სხვადასხვა მიმართულებაზე, რომელსაც შეიძლება გავყვე ჩემს ცხოვრებაში“), სიღრმისეული

ძიება (მაგ. „ვფიქრობ მომავლის გეგმებზე, რომლებიც უკვე დავისახე“) და მუდმივი ძიება (მაგ. „ვყოყმანობ იმასთან დაკავშირებით, თუ რისი მიღწევა მინდა ცხოვრებაში“). კითხვარი ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს ორენოვანმა მკვლევრებმა. იგივე ორმა მკვლევარმა განიხილა და შეაჯერა განსხვევებები ორიგინალურ და უკუთარგმანით მიღებულ ვერსიას შორის საბოლოო ვერსიის შექმნამდე. ყველა დებულებაზე პასუხი მოცემული იყო 5-ნიშნულიან ლიკერტის ტიპის სკალაზე, 1 -დან *(სრულიად არ ვეთანხმები)* -მდე *(სრულიად ვეთანხმები*). კრონბახის ალფები მოცემულ შერჩევაზე იყო .84 ალტერნატივების ძიებისთვის, .56 სიღრმისეული ძიებისათვის, .89 არჩევანის გაკეთებისთვის, .87 არჩევანთან იდენტიფიკაციისათვის და .84 მუდმივი ძიებისათვის.

შფოთვა. სპილბერგერის შფოთვის სკალა (Spielberger, 1989; ქართული თარგმანი არუთინოვა, გრიგოლავა, ჭიჭინაძე, ბარათაშვილი, 1999) შედგება 20 დებულებისგან. დებულების მაგალითებია: „ კმაყოფილი და აუღელვებელი ადამიანი ვარ“. კრონბახის ალფა მოცემულ შერჩევაში იყო .71.

დეპრესიული სიმპტომები. ბეკის დეპრესიის კითხვარი (BDI-II; Beck, Steer, & Brown, 1996; ქართული თარგმანი არუთინოვი, გრიგოლავა, ბაძაღუა, ბარათაშვილი, 1999) შედგება 21 დებულებისაგან, რომელთაგან თითოეული ასახავს პოტენციურ დეპრესიის სიმპტომს. დებულებების მაგალითია: „დავკარგე ინტერესი ადამიანებისა და საგნების მიმართ.“ რესპონდეტები ირჩევენ ოთხი პასუხიდან ერთერთს 0 დან 3 -მდე, სადაც 0 გამოხატავს არ დათანხმებას, ხოლო

სამი სრულ დათანხმებას. კრონბახის ალფა მოცემულ შერჩევაზე იყო .85. ამასთან დეპრესიის კითხვარის ფაქტორული ვალიდობა მოცემულ შერჩევაზე შევამოწმე დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით. (χ^2= 267.273, df=189, RMSEA=.04, CFI=.92).

ცხოვრებით კმაყოფილება. ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (Diener 1985; ქართული თარგმანი წერეთელი და სხვ., 2012) შედგება ხუთი დებულებისაგან, რომელბიც გამოხატავს, თუ რამდენადაა მონაწილე კმაყოფილი საკუთარი ცხოვრებით. დებულებების მაგალითია: „კმაყოფილი ვარ საკუთარი ცხოვრებით". კრონბახის ალფა მოცემულ შერჩევაზე იყო .80. კითხვარის ქართულენოვანი ვერსიის ფაქტორული ვალიდობა მოცემულ შერჩევაზე შევამოწმე დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით. (χ^2= 7.183, df=5, RMSEA=.04, CFI=.99).

2.1.2 შედეგები

მონაცემების დამუშავება მოხდა სამ ეტაპად. პირველად შევამოწმე იდენტობის განვითარების სკალის ფაქტორული ვალიდობა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. შემდეგ გამოვთვალე კორელაცია იდენტობის განზომილებებსა და ფსიქოლოგიური ადაპტაციის ცვლადებს შორის და სტრუქტურული განტოლების გამოყენებით შევისწავლე კავშირი იდენტობის თითოეულ განზომილებასა და ადაპტაციის მახასიათებელს შორის. ბოლოს, კლასტერული ანალიზის გამოყენებით, იდენტობის განზომილებებზე დაყრდნობით შევისწავლე იდენტობის სტატუსები.

ფაქტორული ვალიდობა

იდენტობის განზომილებების ხუთ-ფაქტორიანი სტრუქტურა შევაფასეთ დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის გამოყენებით პროგრამა მპლასის დახმარებით (Muthén & Muthén, 2010). იმის გამო, რომ ცვლადების უმრავლესობას არ აღმოაჩნდა ნორმალური განაწილება შეფასებისათვის გამოვიყენე robust maximum likelihood estimation (MLR). მოდელის შესაბამისობის დასადგენად გამოვიყენე სტრუქტურული განტოლების სტრანდარტული მაჩვენებლები. შედარებითი შესაბამისობის ინდექსი (The Comparative Fit Index (CFI)) აფასებს საკვლევი მოდელის უპირატესობას ნოლოვან მოდელთან და მისი მნიშვნელობა რომელიც .95 (.90) ის ტოლია ან მეტია, მიანიშნებს მოდელის ადეკვატურ შესაბამისობაზე. The root mean square error of approximation (RMSEA) აფასებს, თუ რამდენად განსხვავდება მოდელში ნაგულისხმევი კოვარიაციის სტრუქტურა მონაცემებში რეალურად არსებული კოვარიაციის სტრუქტურისაგან და მისი მნიშვნელობა .05 (.08) ან უფრო ნაკლები მიუთითებს მოდელის ადეკვატურ შესაბამისობაზე (Kline, 2010). ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი საერთოდ არ დაემთხვა მონაცემებს. ამის შემდეგ შევამოწმე ექვსფაქტორიანი მოდელი, რომელშიც სიღრმისეული ძიების ერთი ფაქტორის ნაცვლად განხილულია ორი ფაქტორი (Zimmermann და სხვ., 2013). პირველი ფაქტორი (დებულებები 21 „ვფიქრობ მომავლის გეგმებზე, რომლებიც უკვე დავისახე“ და 22 „სხვა ადამიანებს ველაპარაკები ჩემი მომავლის გეგმების

შესახებ“), რომელსაც ვიწოდეთ რეფლექსიური სიღრმისეული ძიება, ეხება უკვე გაკეთებულ არჩევანზე რეფლექსიას. იმის გამო, რომ ეს ფაქტორი მხოლოდ ორ დებულებას მოიცავს კრონბახის ალფას ნაცვლად ვუთითებ მათ შორის კორელაციას (r = .26, (p < .001) (Pallant, 2011). მეორე ფაქტორი (დებულება 23 „ვფიქრობ იმაზე, ნამდვილად შემეფერება თუ არა ის მიზნები რომლებიც უკვე მაქვს“, დებულება 24 „ვცდილობ გავარკვიო, თუ რას ფიქრობენ სხვები იმ კონკრეტულ მიმართულებაზე, რომელსაც გადავწყვიტე გავყვე ცხოვრებაში“, დებულება 25 „ვფიქრობ, შეესაბამება თუ არა ჩემი სამომავლო გეგმები იმას, რაც ნამდვილად მინდა“) გამოხატავს ეჭვებს არსებულ არჩევანთან დაკავშირებით. ციმერმანისა და სხვების (2013) თანახმად, მეორე ფაქტორს შეიძლება ვუწოდოთ არჩევანის გადასინჯვა. ამ ფაქტორის კრონბახის ალფა მოცემულ შერჩევაში იყო .68. შედეგად მიღებულმა ექვს-ფაქტორიანმა მოდელმა (რომელიც მოიცავდა ერთ კოვარიაციას ალტერნატივების ძიების ფაქტორის ორ დებულებას შორის), მონაცემებთან საკმაოდ ადექვატური შესაბამისობა აჩვენა: $\chi^2(259) = 553.02$; CFI = .90; RMSEA = .06. სტანდარტიზირებული დებულებების დატვირთვა არჩევანის გაკეთების სკალაზე იყო .70-დან .86-მდე, ალტერნატივების ძიებისათვის .61-დან .83-მდე, მუდმივი ძიების .64-დან .79-მდე, არჩევანთან იდენტიფიკაციისათვის .68-დან .81-მდე, რეფლექსიური სიღრმისეული ძიებისათვის .30-დან .94-მდე და არჩევანის გადასინჯვისთვის .59-დან .74-მდე. ექვს-ფაქტორიანი მოდელი შევადარეთ ალტერნატიულ 4-ფაქტორიან მოდელებს. ექვს-ფაქტორიანმა მოდელმა

მნიშვნელოვნად უკეთესი შესაბამისობა აჩვენა. შედეგები შეჯამებულია ცხრილში 1.

კორელაციები და სტრუქტურული განტოლების მოდელი

ცხრილი 2 წარმოადგენს კორელაციებს იდენტობის ექვს განზომილებას შორის. არჩევანის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია ერთმანეთთან მაღალ დადებით კორელაციას აჩვენებს. რეფლექსიური ძიება და არჩევანის გადასინჯვა არ იყო კავშირში ერთმანეთთან და განსხვავებულად უკავშირდებოდა იდენტობის დანარჩენ განზომილებებს. რეფლექსიური სიღრმისეული ძიება პოზიტიურად კორელირებდა არჩევანის ორივე განზომილებასთან, ხოლო არჩევანის გადასინჯვა ნეგატიურ კავშირში იყო მათთან. არჩევანის გადასინჯვა პოზიტიურ კორელაციას აჩვენებს მუდმივ ძიებასთან, მაშინ როდესაც რეფლექსიური სიღრმისეული ძიება ნეგატიურად უკავშირდება მუდმივ ძიებას. ალტერნატივების ძიებამ არ გამოავლინა მნიშვნელოვანი კავშირი არჩევანის რომელიმე განზომილებასთან, თუმცა, ის პოზიტიურად იყო დაკავშირებული მუდმივ ძიებასა და არჩევანის გადასინჯვასთან.

ცხრილი 3 წარმოადგენს კორელაციებს იდენტობის განზომილებებსა და გარეგან ცვლადებს შორის. არჩევანის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია უარყოფით კორელაციაშია დეპრესიასა და შფოთვასთან და დადებით კორელაციაშია ცხოვრებით კმაყოფილებასთან. ალტერნატივების ძიება არ იყო კავშირში ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ხოლო არჩევანის გადასინჯვამ სუსტი უარყოფითი

კავშირი აჩვენა ცხოვრებით კმაყოფილებასთან. რეფლექსიური სიღრმისეული ძიება ნეგატიურ კორელაციაში იყო დეპრესიის სიმპტომებსა და შფოთვასთან. მუდმივი ძიება პოზიტიურ კავშირში იყო დეპრესიასა და შფოთვასთან და ნეგატიურ კავშირში იყო ცხოვრებით კმაყოფილებასთან.

იმისათვის, რომ შემემოწმებინა იდენტობის განზომილებების 6 ფაქტორიანი მოდელის პრედიქორული ძალა ადაპტაციის ცვლადების მიმართ, გამოვიყენე სტრუქტურული განტოლების მოდელი, სადაც იდენტობის თითოეული განზომილება (6 გამზომილება) განიხილება ლატენტურ ფაქტორად (ასაკი და სქესი კოვარიატებია), რომლებიც წინასწარმეტყველებენ ცხოვრებით კმაყოფილებას, დეპრესიასა და შფოთვას (ეს სამი ადაპტაციის ცვლადი მოდელში შედის როგორც დაკვირვებული ფაქტორები). მოდელს ჰქონდა ადეკვატური შესაბამისობის მაჩვენებლები (χ^2= 715.46, df=366, RMSEA=.06, CFI=.90). მიმართებათა სტანდარტიზირებული კოეფიციენტები მოცემულია ცხრილში 4. მხოლოდ მუდმივი ძიება უკავშირდებოდა დეპრესიისა და შფოთვის მაღალ დონეს. არჩევანთან იდენტიფიკაცია უკავშირდებოდა ცხოვრებით კმაყოფილების მაღალ დონეს. გოგონები ბიჭებთან შედარებით ცხოვრებით კმაყოფილების უფრო მაღალ ხარისხს და მეტ შფოთვას აჩვენებენ. ასაკი უარყოფით კორელაციაში იყო დეპრესიის სიმპტომებთან და პოზიტიურ კორელაციაში ცხოვრებით კმაყოფილებასთან.

შემდეგ, იმავე მოდელში შევიყვანეთ სქესი და ასაკი, როგორც მოდერატორი ცვლადები. დეპრესიული სიმპტომების, შფოთვისა და ცხოვრებით კმაყოფილების

პრედიქციისას 36-დან მხოლოდ ხუთი მნიშვნელოვანი ინტერაქცია გამოვლინდა. ასაკი აღმოჩნდა მოდერატორი მუდმივ ძიებასა და შფოთვას შორის (β = 0.02, p<.05). სქესი აღმოჩნდა მოდერატორი მუდმივ ძიებასა და დეპრესიის სიმპტომებს შორის (β = 0.14, p<.05), არჩევანთან იდენტიფიკაციასა და შფოთვას (β = 0.29, p<.01) და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის (β = 0.83, p<.05), და ალტერნატივების ძიებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის (β = 0.76, p<.05). დეტალები აღწერილია გრაფიკ 1-ში.

კლასტერული ანალიზი

იდენტობის ექვს განზომილებაზე ჩატარდა ორ-საფეხურიანი კლასტერული ანალიზი (Gore, 2000). ანალიზის ჩატარებამდე მონაცემებიდან ამოვიღე 8 ერთგანზომილებიანი (მნიშვნელობები როლებიც საშუალოზე 3 სტანდარტული გადახრით მეტი ან ნაკლები იყო) და მრავალგანზომილებიანი (ინდივიდები მაღალი მაჰალანობისის დისტანციის მნიშვნელობით) ცალკე მდგომი შემთხვევა (outlier). ერთმანეთს შევადარე 4-დან 8 კლასტერის შემცველამდე გადაწყვეტები. შევარჩიე ექვს-კლასტერიანი გადაწყვეტა არსებული კვლევისა (Luyckx et al., 2008; Schwartz et al., 2011) და ახსნის სიძლიერის (explanatory power) მიხედვით (რაც ნიშნავს, რომ კლასტერული გადაწყვეტა უნდა ხსნიდეს განზომილებებს შორის სხვაობის, სულ მცირე, 50%-ს). მეორე ეტაპზე კლასტერების საწყისი ცენტრები გამოვიყენე, როგორც არაშემთხვევითი ათვლის წერტილები კ საშუალოების კლასტერიზაციის გამეორების (iteration) პროცედურისათვის (*k*-means clustering

procedure). გრაფიკი 2 -ში წარმოდგენილია საბოლოო კლასტერული გადაწყვეტა. მიღებული კლასტერული გადაწყვეტა ხსნის არჩევანის გაკეთების 61%-ს, არჩევანტან იდენტიფიკაციის 60%-ს, ალტერნატივების ძიების 51%-ს, მუდმივი ძიების 60%-ს, რეფლექსიური სიღრმისეული ძიების 36%-ს და არჩევანის გადასინჯვის 50%-ს. რეფლექსიური სიღრმისეული ძიების მიერ ახსნილი სხვაობა 50% -ზე დაბალი იყო დანარჩენი კლასტერული გადაწყვეტების შემთხვევაშიც.

მიღწეული იდენტობის კლასტერი ხასიათდებოდა არჩევანის გაკეთების, არჩევანთან იდენტიფიკაციის და რეფლექსიური სიღრმისეულ ძიების მაღალი, მუდმივი ძიებისა და არჩევანის გადასინჯვის დაბალი და ალტერნატივების ძიების საშუალო ქულით. ნაადრევი იდენტობის სტატუსი ხასაითდებოდა არჩევანის გაკეთებისა და არჩევანთან იდენტიფიკაციის მაღალი, რეფლექსიური სიღრმისეული ძიების საშუალო და ალტერნატივების და მუდმივი ძიების, არჩევანის გადასიჯვის დაბალი ქულებით. მორატორიუმი ხასიათდებოდა მაღალი ქულებით ექვსივე განზომილებაზე. უდარდელი დუფუზია ხასიათდებოდა საშუალო ქულით მუდმივ ძიებაზე და საშუალოზე დაბალი ქულებით დანარჩენ განზომილებებზე. აღრეული დიფუზია ხასიათდებოდა დაბალი ქულებით არჩევანის გაკეთებისა და არჩევანთან იდენტიფიკაციის განზომილებებზე; საშუალო ქულებით ალტერნატივების ძიებასა და რეფლექსიურ ძიებაზე და მაღალი ქულებით მუდმივ ძიებასა და არჩევანის გადასინჯვაზე. და ბოლოს, არადიფერენცირებული კლასტერი ხასიათდებოდა საშუალო ქულებით ყველა განზომილებაზე.

კლასტერების შესაბამისი ადაპტურობის ცვლადების შესწავლის მიზნით, ჩავატარე მრავალფაქტორიული დისპერსიული ანალიზი (MANOVA) სადაც კლასტერის წევრობა იყო დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო ცხოვრებით კმაყოფილება, შფოთვა და დეპრესიის სიმპტომები - დამოკიდებული ცვლადები. უილკის ლამბდას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები (Wilks' Lambda, statistically significant multivariate cluster differences) იქნა აღმოჩენილი, $F(15, 748) = 3.35$, $p < .001$, $\eta^2 = .06$. ამის შემდეგ, ჩავატარე ერთგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზი. *F*-მნიშვნელობები, η^2 მნიშვნელობები და პოსტ-ჰოკ ანალიზი ტუკის კრიტერიუმის (Tukey's Honestly Significant Difference test) გამოყენებით მოცემულია ცხრილში 5. მიღწეული იდენტობის სტატუსი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტ ცხოვრებით კმაყოფილებას აჩვენებს, ვიდრე აღრეული დიფუზიის სტატუსი. ნაადრევი იდენტობის სტატუსი ნაკლებ შფოთვას ავლენს მორატორიუმთან და აღრეულ დიფუზიასთან შედარებით. აღრეული დიფუზიას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს დეპრესიულ სიმპტომებზე. ასაკის (ორი ჯგუფის სახით 17-20 და 21-29) და სქესის ინტერაქციის ანალიზმა იდენტობის სტატუსებთან არ აჩვენა მნიშვნელოვანი შედეგი, რაც ნიშნავს იმას, რომ იდენტობის სტატუსები შედეგის ცვლადებს მსგავსად წინასწარმეტყველებენ ასაკისა და სქესის მიუხედავად.

2.2. კვლევა 2

(თვისებრივი მიდგომა)

2.2.1 მეთოდი

მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 28 ახალგაზრდამ (25% ბიჭი, 75% - გოგონა) ყველა მონაწილე იყო სტუდენტი სოციალური და ჰუმანიტარული ფაკულტეტებიდან. მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 18-დან 25 წლამდე (საშუალო ასაკი 22.3). ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა უნივერსტეტში. ორი მათგანის ფასილიტაციას ახდენდა კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ხოლო ორს მაგისტრატურის ბოლო საფეხურის სტუდენტები. ფოკუს-ჯგუფში გამოყენებული იყო კითხვები იდენტობის ჩამოყალიბების თავისებურებების შესახებ (იხ.დანართი 2). შეხვედრების მიმდინარეობისას ხდებოდა აუდიო ფაილის ჩაწერა, რომლის მიხედვით მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტები.

2.2.2 ანალიზი და შედეგები

თავდაპირველად მთლიანი მასალიდან, ანუ, ყველა ინტერვიუს ტექსტიდან შევარჩიე ის ნაწილები, რომელიც პიროვნული იდენტობის პროცესებზე გარემოს გავლენას ასახავს. შემდეგ, ამ მონაცემების დამუშავება მოხდა თემატური ანალიზის მიდგომის გამოყენებით (Braun & Clarke 2006). პირველ ეტაპზე გავეცანი მონაცემების სრულ კორპუსს. ამგვარად, შერჩეული ნაწილისათვის დავიწყე პირველადი კოდების მინიჭება ნვივოს (Nvivo) ტექნიკური დახმარებით. შემდეგ

პოტენციური თემები განვსაზღვრე და მათში შესაბამისი კოდები დავაჯგუფე. მომდევნო ეტაპზე მოხდა თემების გადასინჯვა/დაზუსტება კოდებთან და მონაცემების მთელ კორპუსთან მიმართებაში. ბოლოს კი, მოხდა თემების საბოლოო განსაზღვრა. გარემოს ზეგავლენა პიროვნული იდენტობის პროცესზე სამი ძირითად თემაში გაერთიანდა: ოჯახისაგან დამოუკიდებლობა, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური სიტუაცია და საზოგადოებრივი ნორმების ზეგავლენა.

<u>ოჯახისაგან დამოუკიდებლობა</u>

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების თემასთან მიმართებაში დისკუსიისას გამოყვეს ახალგაზრდებმა , ოჯახის გავლენას უკავშირდება. საკითხზე მსჯელობისას მონაწილეებმა განიხილეს როგორც ამ გავლენის შესაძლო მიზეზები, ისე მისი შედეგები. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ მათი თანატოლების დიდი ნაწილი მშობლებზე დამოკიდებულია. ერთ-ერთი მონაწილის თანახმად:

„ჩვენ ვართ მუდმივად ჩამოკიდებულები [მშობლებზე].“

მონაწილეების მიხედვით, მშობლებისაგან ნაკლები დისტანცირების პირობებში ხშირია მშობლების მხრიდან ზე-მზრუნველი დამოკიდებულება:

„მე ვფიქრობ, რომ ქართული მენტალიტეტია ისეთი, რომ აი ბებიაჩემი დღემდე ზრუნავს მამაჩემის რაციონზე, რას ჭამს, ხომ კარგად ჭამს. მე ვფქირობ, რომ ეს არის ქართველი ქალის, მენტალიტეტის გამოვლინება....“

ზე-მზრუნველი დამოკიდებულება ხშირად ხდება ახალგაზრდის პასიურობის მიზეზი:

„ძალიან დიდი პრობლემა არის ის, რომ მშობლებზე ძალიან არიან დამოკიდებულები. დედა რომ იტყვის 40 წლის ბიჭზე, ჩემი ბავშვი და რაღაცა... მშობლებზე არიან ძალიან დამოკიდებულები, იმიტომ ვერ ახერხებენ რაღაცეებზე ფიქრს, იდენტიფიცირებას.“

ზე-მზრუნველობა ხშირ შემთხვევაში პირად დამოუკიდებლობასა და ავტონომიას ზღუდავს, როგორც მშობლების, ისე სხვა მნიშვნელოვანი ადამიანების მხრიდან:

„ყელში ამომიყვანეს უკვე სამსახურში, ვიყიდე მანქანა და რატომ არ დავდივარ მანქანით მარტო. იმიტომ რომ ჩემი მშობლები და ჩემი შეყვარებული არ მაძლევენ ამის უფლებას და ვერ გადავაბიჯე იმას, რომ დავჯდე ერთხელ მარტო, ბოდიში და ფეხებზე დავიკიდო იმათი აზრი.“

მშობლებთან ერთად ცხოვრება ხშირ შემთხვევებში გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდა ადამიანი ბევრ პასუხისმგებლობას თავს არიდებს:

„ხშირ შემთხვევაში დედებს სჭირთ დათვური სამსახურის გაწევა შვილების მიმართ, რის შედეგადაც შვილები მანიპულირებენ, აღარ ანძრევენ ხელს, სრულიად მიმღებები ხდებიან ამ ყველაფრის მიმართ.“

მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ახალგაზრდებს ფიზიკურად დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ, ეს მათ აუცილებელ

პირობას შეუქმნის რომ მეტი აქტიურობა გამოიჩინონ და მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ ცხოვრებაზე:

„ვიცი 25-27 წლის ადამიანები, რომლების მშობლებთან ცხოვრობენ და არაფერს არ აკეთებენ. მარტო რომ ცხოვრობდნენ, გაუჭირდებოდათ და მერე გააკეთებდა.“

ცალკე ცხოვრების აუცილებლობა ერთ-ერთ ჯგუფში საკამათო გახდა. ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დედის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. აღნიშნავენ, რომ მშობლებთან ცხოვრების ფიზიკური ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდა ფსიქოლოგიურად დამოკიდებული იქნება მასზე. აღინიშნა ისიც, რომ შესაძლებელია გარკვეულ პირობებში ახალგაზრდამ საკუთარი ნებით გაითვალისწინოს მშობლების აზრი, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობას მიაღწია:

„როცა 18 წლიდან და გარდატეხის ასაკიდან ადამიანი შეეჩვევა დამოუკიდებლობას, თავის პასუხისმგებლობის ქვეშ აიღებს ყველაფერს, მერე უკვე - შეიძლება ანგარიში დედას გაუწიო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენს პირადში იმ დონემდე ჩაერევა, როგორც ეს თანაცხოვრების მომენტში მოხდება. ანუ, ბევრ რაღაცას უკვე შენი პასუხისმგებლობის ქვეშ იღებ. შენ თავსაც უფრო სხვანაირად იცნობ და ყალიბდები როგორც ინდივიდი.“

ოჯახისაგან ნაკლები დისტანცირების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ერთ-ერთმა მონაწილემ დაასახელა ქვეყნის სოციო-გეოგრაფიული მოწყობა, ანუ

ის, რომ საქართველოში ყველაფერი დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული და ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ სჭირდება შორ დისტანციებზე გამგზავრება - სასწავლებლად თუ სამუშაოდ:

„ ეს ალბათ საქართველოს პრობლემაა. ამერიკაში რამდენი შტატია და სხვა შტატში რომ წახვალ სასწავლებლად, სამსახურს რომ იცვლი ქალაქიდან სხვა ქალაქში, ეს უფრო განაპირობებს. ... ეს ქვეყნის პრობლემაც არის. ხუთი დიდი ქალაქი მაინც რომ იყოს, სადაც რაღაცა ხდება, უფრო გადანაწილდებოდა ეს. შენ რომ ქუთაისში ცხოვრობდე, ხომ მოგიწევს, რომ მარტო იცხოვრო. აი თბილისში უკვე ვერ.“

რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებიც ოჯახისაგან დისტანცირებული არიან, ცალკე ცხოვრების გავლენით უფრო დამოუკიდებლები ხდებიან:

„მე ძალიან ბევრი მეგობარი ვიცი, რომელიც რაიონიდან ჩამოვიდა, აქ რომ ისწავლოს და ბევრად უფრო დამოუკიდებლები არიან.“

მეორე მიზეზი, რომელიც ოჯახიდან დისტანცირებას ხელს უშლის, არის საზოგადოებრივი ნორმა, რომელიც მიუღებლად განიხილავს მშობლებისაგან შვილების ფიზიკურ დაშორებას. ზოგჯერ ხდება, რომ ახალგაზრდას აქვს საკმარისი ფინანსური დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც ირჩევს მშობლებთან ცხოვრებას, რადგან, საზოგადოება ამას არ მიესალმება:

„ჩვენთან არ არის მოდაში, ბრჭყალებში, ცალკე ცხოვრება, გინდაც სრულწლოვანი რომ ხდება. ...ჩემს გარშემო არავინ არ არის, ვინც დამოუკიდებლად ცხოვრობს, ანუ ჩემხელა პიროვნება.“

აღინიშნა, რომ განსაკუთრებით განსაკუთრებით მშობლებისთვისაა შვილთან ფიზიკური დაშორება მიუღებელი:

„ბევრჯერ გადამიწყვეტია, რომ მე ჩემ მეგობართან გადავდივარ ქირით, მაგრამ ვიცი, რომ თუნდაც ვერ გავბედავ, რომ ჩემს მშობლებს ეს ვაკადრო. ცოტა ისეთი გამონათქვამია ეს კადრება, მაგრამ... და წავიდე მარტო საცხოვრებლად.“

ზოგადად, გარშემომყოფების აზრი და მისი გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ოჯახისაგან დისტანცირებისსაკითხის განხილვისას:

„რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტ ადამიანს ჩარევ შენს ცხოვრებაში, მით უფრო ჩაერევიან. უბრალოდ საქართველოს მენტალიტეტიდან გამომდინარე, არ ხდება ისე, რომ ვიღაცა ვიღაცას თავზე გადაახტეს.“

ზოგჯერ ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილების მიღება მხოლოდ სხვა ქვეყანაში გარკვეული პერიოდის ცხოვრების შემთხვევაში ხდება შესაძლებელი:

„საზღვარგარეთ რატომ მიდიან - რომ გამოსცადონ მარტო ცხოვრება. როცა თბილისში ცხოვრობ, უბნიდან უბანში ვერ გადახვალ საცხოვრებლად, იმიტომ რომ მარტო იცხოვრო.“

ხშირად, მშობლებთან ცხოვრების პირობები სირთულეს უქმნის ახლაგაზრდებს ჰქონდეთ საკუთარი სივრცე ურთიერთობებისათვის. მაგალითად, სოციალური ნორმები ქორწინებამდე წყვილის თანაცხოვრებას ეწინააღმდეგება, გარკვეული ურთიერთობების გამოცდილების მიღება იმ პირობებში, როდესაც ახალგაზრდა ოჯახთან ცხოვრობს, შეუძლებელია. ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც მშობლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობს, აღნიშნავს:

„მე ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ მჭირდებოდა მარტო ცხოვრება, არის 1000 მიზეზი. ნუ ეხლა მართალია, ცოლი არ მყავს, მაგრამ რადგან გულახდილი საუბრებია, იყოს გულახდილი საუბრები და ფსიქოლოგია, ადამიანს მოზარდობის დროს გჭირდება, იქ გოგოები არიან, იქ რაღაცა, იქ მეგობრები არიან, დალევა, გართობა. ნუ საქმე საქმეა, გართობა გართობაა, სახლში ვერ მიიყვან.“

ფიზიკური თვალსაზრისით დამოუკიდებლობის გარდა, მშობლების ზეგავლენა დიდია სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც ერთ-ერთი მონაწილის თანამხად, ავტორიტარული ხასიათისაა:

„მამას რომ ჰკითხავს ვიღაცა ტიპი, „მამა, ეს უნდა ავირჩიო“ „არა“ „რატომ?“ „იმიტომ““იმიტომ რომ მე შენზე მეტი მაქვს ნანახი.“

ოჯახი გავლენას ახდენს ხშირ შემთხვევაში იმაზე, თუ რა პროფესიას აირჩევს ახალგაზრდა:

„ჩემზე ვიტყვი, პროფესია რომ ავირჩიე, შემიძლია ვთქვა, რომ დიდწილად იყო ჩემი მშობლების დამსახურება, ბრჭყალებში, უბრალოდ პატივისცემის გამო მოვხვდი ასეთ გაუგებრობაში. აბსოლუტურად სხვა მიმართულებით ვარ, ვსწავლობ იურიდიულზე, მაგრამ ეს ჩემი არ არის. მაშინაც ვიცოდი და ეხლაც ვიცი.“

ხშირად მშობლები მიიჩნევენ, რომ ზუსტად იციან, რა ჯობია შვილისათვის, ხოლო შვილებმა (მათ შორის, ჩვენმა რესპონდენტებმა) ხშირად არ იციან, რა უნდათ მომავალში, არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა კარიერაზე:

„მამაჩემს ვეკითხებოდი. ანუ ცხოვრების რა გზაზე ვიარო. ეს იყო ჩაბარების პერიოდი, როდესაც პროფესიას ვირჩევდი. ძალიან რთული არჩევანის გაკეთება მომიწია, იმიტომ რომ ერთი მე მინდოდა, მეორე ჩემმა მშობლებმა მირჩიეს. არ მინდოდა რომ მშობლებისთვისაც მეწყენინებინა, მაგრამ ჩემ თავსაც ვერ ვთმობდი. გამოვიდა ისე, რომ ჩემი თავი დავთმე.“

ერთ-ერთი მონაწილის თანახმად, ხშირად, შვილები მშობლების პროფესიას ირჩევენ:

„საერთოდ, 90% შემთხვევაში ისეა, რომ მსახიობის შვილი მსახიობი ხდება, ექიმის შვილი ექიმი ხდება და ა.შ.“

ეს უკავშირდება იმას, რომ გარემო, რომელშიც იზრდებიან, იწვევს ინტერესს, და ასევე იმას, რომ გაკვალულ გზაზე სიარული უფრო ადვილია, განსაკუთრებით,

საქართველოში, სადაც დასაქმება რთულია. ზოგჯერ ეს ახალგაზრდები არ არიან კმაყოფილი ასეთი არჩევნით, ხვდებიან, რომ ეს არ შეესაბამება მათ, მაგრამ ვერ უძლებენ ოჯახის "ზეწოლას":

„იცით რა არის, ხდება ისეთი მომენტი ოჯახში, მაგალითად, ოჯახის წარმოამდგენელს აქვს კლინიკა, შესაბამისად, შენ გაყვები ამ გზას, იმიტომ რომ შენ შეძლებ აქ დასაქმებას, შეძლებ შენი ოჯახის თავისუფლად რჩენას, იმიტომ რომ, არის რესურსი საამისოდ. მაგრამ, შენ თუ გაყვები სხვა პროფესიას, არავინ არ მოგცემს იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად გამოიყენო შენი განათლება, ან ვიღაცამ დაგასაქმოს.“

პროფესიასთან ერთად პიროვნული იდენტობის ასპექტებიდან, მონაწილეთა მიხედვით, ღირებულებებისა და პირადი ურთიერთობების განსაზღვრა გადამწყვეტად უკავშირდება ოჯახის გავლენას:

„მეც ვთვლი, რომ ძირითადი ღირებულებები არ უნდა დათმო ჯგუფების და ვიღაცეების გამო. რაც მოგდევს იჯახიდან, ის უნდა შეინარჩუნო და გაამდიდრო.“

„რა ვიცი, მგონია, რომ ყველა ქალი პოტენციური დედაა და ყველა კაცი - პოტენციური მამა. არის რაღაც ჩონჩხი, რასაც 13-14 წლის ასაკში ვფიქრობდი, იგივეს ვფიქრობ დღესაც. ოჯახის პრინციპები გადმომეცა მე და გადაეცემა ჩემ შვილებსაც იმედია.“

<u>სოციო-ეკონომიკური ფაქტორები</u>

პროფესიული იდენტობის განვითარებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ეხება ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ კარიერის არჩევისას ხშირად არ არის საკმარისი ალტერნატივები და არჩევანის შესაძლებლობა:

„იცი რა ავღნიშნოთ, ჩვენთან არჩევანზე დიდად არ არის საქმე და ძალიან დიდია უმუშევართა რაოდენობა, რაღაც სამსახური რომ გამოჩნდება, მზად არიან ყველაფერი გააკეთონ იმ სამსახურისთვის.“

ხშირად ახალგაზრდა ადამიანის ინტერესი, მიდრეკილებები და გარემოში არსებული შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა:

„ზოგჯერ ისინი ირჩევენ იმას, რაც მოწოდებულია. ხშირად ეს წინააღმდეგობაში მოდის რეალურ ინტერესთან თუმცა, ამ კომპრომისზე წასვლა უწევთ.“

ამას თან ახლავს საქმიანობის მიმართ დაბალი მოტივაცია და ინტერესის სიმცირე, რაც უარყოფითი განცდების სახით გროვდება:

„ადამიანი მზად არის, დაიტანჯოს მთელი ცხოვრება, ოღონდ შემოსავალი ჰქონდეს.“

თუმცა, მატერიალური აუცილებლობა აიძულებს ახალგაზრდას უგულვებელყოს საკუთარი მიდრეკილებები და ინტერესი:

„ეს არის ჩემი, არ არის ჩემი, ამას აღარ ფიქრობენ.“

ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკური სიტუაცია უბიძგებს მათ, გააკეთონ აწმყოზე ორიენტირებული არჩევანი:

„მთლად უქმად ჯდომას კი უნდა იშრომოს, მეც ესე ვარ, ფსიქოლოგი ვარ, მაგრამ ფსიქოლოგად არ ვმუშაობ, მოსწავლეებს ვამზადებ, ამ ეტაპზე ესე არის და მომავალში რა იქნება, არ ვიცი.“

იგივე მიზეზით გაცილებით რთულია ხანგრძლივ დროით პერსპექტივაზე გათვლილი გეგმების შემუშავება:

„მე მიფიქრია ყველაფერზე, მაგრამ ორი წლის წინ სხვანაირად ვფიქრობდი და ორი წლის წინ დღევანდელი რაღაცა სხვანაირად წარმომედგინა, მაგრამ სულ სხვანაირად არის. დღეს მომდევნო ორ წელიწადზე სხვანაირად ვფიქრობ, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში კიდე რა შეიცვლება... ანუ, გარანტია არა მაქვს, რომ მომდევნო ორი წელი ისე იქნება, როგორც მე დავგეგმე, იმიტომ რომ სულ სხვადასხვა მიდის.

იმასთან ერთად, რომ ალტერნატივების სიმცირეა, მონაწილეთა თანახმად, ინდივიდუალური არჩევანის შანსს ამცირებს კულტურული ფაქტორი, რომელიც შესაძლებლობებზე ვიწრო სოციალური წრეების გავლენას გულისხმობს:

„ ჩვენ ქვეყანაში იმდენი ბარიერია, რომ განვითარდე და წინ წახვიდე და თუნდაც ეს რომ არასოდეს დასრულდება ახლობლობა-მეგობრობით საქმის კეთება, ასეთი

რაღაცა რომ შემხვედრია, მიფიქრია, რომ სხვა ქვეყანაში უფრო წარმატებული და კაი ტიპი ვიქნებოდი.“

დამოუკიდებლობის მიღწევისა და ძიების პროცესს ზოგჯერ ხელს უშლის სხვადასხვა დაბალკვალიფიციურ სამუშაოსთან (მაგ. დამლაგებელი, მიმტანი, ასეთი სამუშაო ადგილები კი საკმაოდ ბევრია) დაკავშირებული სტერეოტიპები, რის გამოც ახალგაზრდები ხშირად ამ სამუშაოებს თავს არიდებენ. ერთ-ერთი მონაწილის თანახმად:

„საქართველოში დაკნინებულია ისეთი საქმე რატომღაც, როგორიც არის დილით ქუჩების დალაგება, მიმტანობა განსაკუთრებით დაკნინებულია, არის რაღაცა სამუშაოები, რასაც საქართველოში თვლიან, რომ სირცხვილია, თაკილობენ, განსაკუთრებით გოგოსთვის. ანუ როდესაც შოულობ ასეთ სამსახურს, მშობელსაც აქვს პრეტენზია, რომ უნდა რომ შვილი იყოს დამოუკიდებელი. საქართველოში ბოლო პერიოდში უფრო მოდის ეს ტენდენცია, უნდათ თითქოს რომ დამოუკიდებელი და ფინანსურად უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ უნდათ, რომ თავიდანვე კარგად იყოს. არ უნდათ, რომ დაიწყოს ბოლო საფეხურიდან.

<u>საზოგადოებრივი ნორმების მნიშვნელობა</u>

საზოგადოების და საზოგადოებრივი ნორმების გავლენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე მსჯელობისას. ერთ-

ერთი მონაწილის თანახმად, მისი პიროვნული თვითგანსაზღვრის პროცესი პირველივე საფეხურზე გულისხმობდა გარშემომყოფთა მოლოდინების გათვალისწინებას:

„მე ზუსტად ასაკი არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ძალიან ადრეული, ნუ ადრეული რა, ალბათ 10 წლის მერე. ძირითადად, ეს იდენტობის ძიების პრობლემა „ვინ ვარ მე“ ძირითადად ეხებოდა იმას, ანუ ვარ თუ არა ის, რასაც ითხოვს სოციუმი, რომელშიც მე ვარ.“

ერთ-ერთი მონაწილის თანახმად, საზოგადოებრივი აზრისადმი ასეთი დიდი მნიშვნელობა კულტურული მახასიათებელია:

„საქართველოში ძალიან კამერული სიტუაციაა, მეტად ვუკვირდებით სხვის აზრს, ვინ რას ფიქრობს, ყალიბდება ჩვენი მე იმის მიხედვით, რადაც გვხედავენ სხვები. ჩემი მეგობარი ამერიკაში ცხოვრობს და ვიცი, რომ ძალიან დაფარული აქვს ეს პირადი, როგორ განვითარდება, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული, საერთოდ არ ამჟღავნებს თავის პირად ცხოვრებას. ...ჩვენთანდ მეტად პრობლემური არის ვიდრე იქ. და შეიძლება აქ მეტი გავლენის ქვეშ მოიქცე, ვიდრე სხვაგან.“

ზოგჯერ ადამიანები ინდივიდუალურად ცდილობენ თვითგამორკვევას და ინდივიდუალური ძიების გზით ახერხებენ პიროვნული იდენტობის თემებზე პასუხების გაცემას, თუმცა ეს მხოლოდ პიროვნების შიგნით მიმდინარე პროცესად რჩება და ქცევაში არ აისახება:

„შესაძლებელია ზოგჯერ ადამიანები ფიქრის და მსჯელობის დონეზე არიან ძიებაში ჩართული და რაღაც გადაწყვეტილებამდეც მიდიან, მაგრამ მოქმედებაში ეს არ გადადის, რადგან ქცევის დონეზე საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირება უჭირთ“

ზოგჯერ ძიების პროცესი სხვა ადამიანებთან დისკუსიის დროსაც მიმდინარეობს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მონაწილის თანახმად, ნაკლებად ხდება ნორმატიულად მოწოდებული ალტერნატივებისაგან გადახვევა იმის გამო, რომ სოციალური ნორმების ზეწოლა საკმაოდ ძლიერია.

„ჩემ გარმეოცვაში ძირითადად, ადამიანები ხვდებიან, რა უნდა მოძებნონ, რა არის მათთვის სასარგებლო, რა არის ჭეშმარიტება, ეძებენ ამ ჭეშმარიტებას და პოულობენ, სიმართლეებსაც პოულობენ, ყველაფერს თვაის სახელს არქმევენ, ყველაფერი იდეალურად არის, მაგრამ ეს როცა მესაუბრებიან. მაგრამ მერე ადგებიან, გადიან და ისევ ისე ცხოვრობენ, როგორც საზოგადოება სთვაზობს. ანუ, გადაწყვეტილებების დონეზე და ქმედებების დონეზე ვერ ჩამოჰყავთ. ანუ, ძიება მიმდინარეობს მუდმივად. მეუბნებიან, დამირეკავენ, მოდი ვისაუბროთ. ბევრს ვსაუბრობთ, მივაგნებთ და მერე გადაწყვეტილებას არ იღებენ რაღაცატომ. ვფიქრობ, რომ სოციალური ფაქტორია, იმიტომ რომ სოციალური სტიგმატიზაცია არ მისცემს ამის გაკეთების საშუალებას. თუმცა, მე მაინც ყოველთვის ვურჩევ, რაც წელან ვთქვი, ინდივიდების გარეშე საზოგადოება არ არსებობს. თუ საზოგადოება ითხოვს, არ იყო ინდივიდი, ეს არ არის საზოგადოება.“

ერთ-ერთი მონაწილე პირადი განცდების დონეზე აღწერს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარშემომყოფთა აზრი მისი მოქმედების და გადაწყვეტილებებისათვს

„[სხვისი აზრი] იმდენად ძალიან მაინტერესებს, რომ შეიძლება ამის გამო რაღაც ცუდ ხასიათზე დავდგე და ძალიან ბევრი რამე არ გამიკეთებია, იმიტომ რომ ვიღაცამ ჩემზე ცუდად არ იფიქროს. არა და შეიძლება ის რომ გამეკეთებინა, ყველაზე კარგი ყოფილიყო ცხოვრებაში. იმიტომ არ გავაკეთე, რომ იქ შეიძლება კუმ ფეხი გამოყოს და ჩემზე ცუდი თქვას და მერე ამას ჩემთვის ძაან... მოყვება ხოლმე რაღაცეები, ადამიანების შეხედულებები და განვიცდი.“

ერთ-ერთი სფერო, რომელსაც საზოგადოებრივი ნორმები მკაცრად არეგულირებს, რომანტიული ურთიერთობებია. თანაცხოვრება, წლების მანძილზე რამდენიმე პარტნიორთან ურთიერთობა ნეგატიურად განიხილება, განსაკუთრებით, გოგონების შემთხვევაში:

„საზოგადოებას მოსწონს პატიოსნება. ის რაც შენთვის გააკეთა, რაც გაწირა, ამ შემთხვევაში თავისუფლება გაწირა, გაიძულებს, რომ შენც გააკეთო იგივე. ამას შეიძლება არ აკეთებს აბსოლუტურად გაცნობიერებულად.“

ხშირია ჩარევა, დაინტერესება, ზეწოლა პირადი ცხოვრების საკითხებთან მიმართებაში:

„ჩემი აზრით, საქართველოში ადამიანები ძალიან ადრეულ ასაკში იღებენ გადაწყვეტილებას, საზოგადოება არის ისე მოწყობილი, ცხოვრება არის ისე მოწყობილი, რომ 23 წლის ასაკში ბიცოლები რომ გვიწყებენ, რატომ არ თხოვდებიო, ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადად ადამიანები თხოვდებიან 18-19 წლის ასაკში.“

ზოგჯერ, ზეწოლის გამო მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამება ახალგაზრდის ნამდვილ ინტერესს, ან, ინტერესი დროსთან ერთად იცვლება. მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას და ძიების თავიდან დაწყებას საზოგადოებრივი ნორმები ნაკლებად აღიარებს:

„კულტურა არის ასეთი, ეხლა ცოლს რომ მოიყვან 18 წლის ასაკში, 20 წლის ასაკში უკვე ფიქრობ, მოიცა ეს ჩემი ცოლი იმდენად არ მიყვარს, როგორც თავიდან. კულტურა არის ისეთი, რომ ვთქვა, ამას რომ ვფიქრობ და ალტერნატივების ძიება რომ დავიწყო, ისეთ რაღაცად ითვლება, ამიტომ კლავ შენ რაღაცას, არ ამბობ. პროფესიაზეც იგივე არის, რაღაცას რომ აირჩევ და 2 წელი სწავლობ, მერე ფიქრობ, მოიცა, ეს სამედიცინო რაღაც არ მომწონს, მაგრამ ვერ იტყვი, იმიტომ რომ ორი წელი ისწავლე, რა უნდა ქნა, აბა.“

3. შედეგების განხილვა, ინტერპრეტაცია

პიროვნული იდენტობის გასაგებად აუცილებელია იმ კონტექსტის შესწავლა, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს. კონტექსტი იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს გაზიარებული ღირებულებებით, იდეოლოგიითა თუ ნორმებით, რომლებიც სოციალურადაა კონსტრუირებული და მათი კომუნიკაცია ნიშნების, სიმბოლოების, მნიშვნელობებისა და მოლოდინების გზით ხდება (Adams & Marshall, 1996). მიუხედავად ამისა, ათწლეულების მანძილზე იდენტობის კვლევებში ნაკლებად იყო გათვალისწინებული კონტექსტის მნიშვნელობა და პიროვნული იდენტობა ძირითადად განიხილებოდა ინტრაპერსონალური პროცესების ჭრილში. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იდენტობის მკვლევრებს, ძირითადად ფსიქოლოგებს, აკლდათ ცოდნა კონტექსტის სისტემური აღწერისა და შესწავლისათვის (Beyers & Cok, 2008). მას შემდეგ, რაც ბრონფერბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია გაჩნდა, რომელმაც წინ წამოწია კონტექსტის სხვადასხვა შრის მნიშვნელობა ინდივიდის განვითარების პროცესში, დაიწყო იდენტობის ფორმირების შესწავლა კონტექსტის გათვალისწინებით. ბრონფერბრენერის განვითარების თეორიაში მოცემულია ოთხი ტიპის გარემოს სისტემა, რომელიც ზეგავლენას ახდენს პიროვნების განვითარებაზე: მიკროსისტემა (უშუალო გარემო, სადაც ინდივიდს აქვს ყოველდღიური კონტაქტები, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, მეზობლები და ა.შ), მეზოსისტემა (ორი ან მეტი მიკროსისტემის ინტერაქცია), ეგზოსისტემა (გარემო, რომელიც

არაპირდაპირ ახდენს გავლენას განვითარებაზე (მშობლის სამუშაო ადგილი, სამეზობლოს მახასიათებლები და ა.შ) და მაკროსისტემა (ფართო სოციო-კულტურული კონტექსტი. მაგალითად, რელიგია, სოციალური დისკრიმინაცია). მოგვიანებით, თავის თეორიაში ბრონფერბრენერმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ინდივიდსა და გარემოს სისტემებს შორის დინამიკურ ურთიერთობას, რომელსაც პროქსიმალური პროცესი უწოდა. პროქსიმალური პროცესების თვალსაზრისით, პიროვნება და გარემო სამი თვისებით ხასიათდებიან: დისპოზიციები - პროქსიმალური პროცესის აღმძვრელი განვითარების რომელიმე სფეროში; რესურსები ანუ უნარი, გამოცდილება თუ ცოდნა, რომელიც პროქსიმალური პროცესების ეფექტური ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი და მოთხოვნები - წამახალისებელი ან არაწამახალისებელი რეაქციები, რომელიც გარემოდან პროქსიმალურ პროცესებს მოჰყვება. აქვე ბრონფერბრენერი აღნიშნავს, რომ განვითარების თვალსაზრისით გარემოს მნიშვნელოვანი თავისებურებები მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე მის სუბიექტურად აღქმულ თავისებურებებს.

კონტექსტის სხვადასხვა შრე იდენტობის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვაგვარად შეიძლება მოქმედებდეს. ის შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც ბარიერი, რომელიც ქმნის შეზღუდვებს ალტერნატივების შესწავლისას (Yoder, 2000) ან პირიქით, წარმოადგენდეს რესურსს. იდენტობის სფეროს კვლევებმაც სწორედ ეს აჩვენა: იდენტობის სტრუქტურა განსხვავებულია დასავლურ და აღმოსავლურ კონტექსტებში (Berman და სხვ., 2011).

წინამდებარე სადისერტაციო კვლევის მთავარი მიზანი სწორედ იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის ადეკვატური შესწავლისათვის პიროვნული და სოციალური ასპექტების გაერთიანებაა. ამ მიზანს ემსახურება სწორედ აქ მოყვანილი ორი დამოუკიდებელი კვლევის გაერთიანება და მათი შედეგების ერთობლივად გაანალიზება/განხილვა. პიროვნულ ასპექტებს სწავლობს პირველი, რაოდენობრივი კვლევა, ხოლო სოციალურს - მეორე, თვისებრივი კვლევა. მონაცემები ორივე კვლევისათვის საქართველოში, ქართველ ახალგაზრდებზე შეგროვდა, რაც სიახლეა საქართველოში. ამავე დროს, ეს მონაცემები ამდიდრებს დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში შემუშავებულ მოდელებსა და თეორიას და სიახლეა პიროვნებისა და განვითარების ფსიქოლოგიაში.

პირველი კვლევის მიზანი იყო შემესწავლა, როგორ მიმდინაროებს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესები ქართულ კონტექსტში და რამდენად მუშაობს ლუქსისა და სხვების იდენტობის მოდელის სტრუტურა და საზომი საქართველოში. რადგან პირველმა კვლევამ აჩვენა, რომ იდენტობის ჩამოყაალიბების პროცესები საქართველოში განსხვავებულად მიმდინარეობს, ჩავატარე მეორე, თვისებრივი კვლევა, რათა, პასუხი გამეცა პირველი კვლევის შედეგად გაჩენილი კითხვებისათვის. კერძოდ, თუ იდენტობის ჩამოყალიბება საქრთველოში განსხვავებულია, რომელი ფაქტოროები თამაშობს როლს ამ განსხვავებაში?

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ლუქსისა და სხვების (2008) მიერ ბელგიაში შექმნილი ხუთ-განზომილებიანი მოდელი არ შეესაბამებოდა

ქართულ მონაცემებს. ხოლო ექვს-ფაქტორიანმა მოდელი, რომელიც ციმერმანისა და სხვების (2013) ნაშრომში იყო წარმოდგენილი, თავსებადი აღმოჩნდა ქართულ მონაცემებთან. ექვს-განზომილებიან მოდელში სიღრმისეული ძეიების განზომილების ნაცვლად გამოიყო ორი დამოუკიდებელი პროცესი, რომელიც განვმარტე, როგორც „რეფლექსიური სიღრმისეული ძიება“ და „არჩევანის გადასინჯვა“. ქართულ მონაცემებში რეფლექსიური სიღრმისეული ძიება პოზიტიურ კორელაციაში იყო არჩევანის გაკეთებისა და არჩევანთან იდენტიფიკაციის განზომილებებთან, ხოლო არჩევანის გადასინჯვა ნეგატიურ კორელაციაში იყო არჩევანთან იდენტიფიკაიასთან და პოზიტიურ კორელაციაში ალტერნატივების ძიებასა და მუდმივ ძიებასთან. კორელაციების ეს პატერნი ციმერმანისა და სხვების (2013) შრომაში აღმოჩენილი შვეიცარული და ფრანგული შედეგების მსგავსია. ამასთან, ქართულ შედეგებში ეს ორი განზომილება არ კორელირებს ერთმანეთთან და შედეგის ცვლადებთანაც მიმართების სხვადასხვა პატერნს აჩვენებს. კერძოდ, რეფლექსიური სიღრმისეული ძიება ნეგატიურადაა დაკავშირებული დეპრესიის სიმპტომებთან და პოზიტიურად ცხოვრებით კმაყოფილებასთან, მაშინ როდესაც არჩევანის გადასინჯვა პოზიტიურად კორელირებს დეპრესიის სიმპტომებთან და შფოთვასთან და ნეგატიურად ცხოვრებით კმაყოფილებასთან. რეფელქსიური სიღრმისეული ძიება გულისხმობს ფიქრს იმ არჩევანზე, რომელიც ინდივიდს მოცემულ მომენტში აქვს, მაშინ როდესაც არჩევანის გადასინჯვა უფრო ფოკუსირებულია ეჭვებსა და დაურწმუნებლობაზე ამჟამად არსებულ არჩევანში. მართლაც, არჩევანის

გაასინჯვის პროცესი, იმის გათვალისწინებით რომ ის აღარაა კმაყოფილების მომტანი და ფუნქციური, შეიძლება დაკავშირებული იყოს დეპრესიისა და შფოთვის თანმდევ სიმპტომებთან (Schwartz, Klimstra, Luyckx, Hale, & Meeus, 2012).

მარშას საწყის შრომაში (1966) და მის შემდგომ განვითარებებში (მაგ ლუქსის და სხვ., 2008) ალტერნატივების ძიება განიხილებოდა როგორც პროცესი, რომელიც აუცილებელია განვითარებული პიროვნული იდენტობის სტრუქტურისათვის. დასავლეთში ჩატარებულ კვლევებში ალტერნატივების ძიება პოზიტიურად კორელირებს არჩევანის გაკეთებასა და არჩევანთან იდენტიფიკაციასთან (Luyckx, Vansteenkiste, Goosens, & Duriez, 2009; Ritchie და სხვ., 2013; Zimmermann და სხვ., 2013). საქართველოში ასე არ აღმოჩნდა. ამასთან, დასავლური შედეგებისაგან განსხვავებით, ალტერნატივების ძიებამ მაღალი კორელაცია აჩვება მუდმივ ძიებასთან.

ასაკი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მოდერატორი მუდმივ ძიებასა და შფოთვას შორის, რაც თანხმობაშია სხვა კვლევების შედეგებთან, რომელიც უჩვენებს, რომ ძიებასა და დეპრესიულ სიმპტომებს შორის კავშირი ასაკთან ერთად ძლიერდება (Luyckx, Klimstra, Duriez, Van Petegem, & Beyers, 2013). გოგონებთან შედარებით ბიჭებთან არჩევანთან იდენტიფიკაციას ცხოვრებით კმაყოფილებისა და შფოთვის კუთხით მოჰყვება უფრო ადაპტური ფუნქციონირება. მუდმივი ძიება გოგონებთან დაკავშირებულია უფრო მეტ დერესიულ სიმპტომთან, ვიდრე ბიჭებთან, ხოლო ალტერნატივების ძიებას ბიჭების შემთხვევაში მოჰყვება მეტი ცხოვრებით კმაყოფილება, ვიდრე გოგონების შემთხვევაში. ამ შედეგების მიხედვით შეიძლება

ვიფიქროთ, რომ ალტერნატივების ძიება და მუდმივი ძიება, რომელიც ერთმანეთთან მაღალ კორელაციაშია, გოგონების შემთხვევაში ბიჭებთან შედარებით ჩვენს კონტექსტში ნაკლებად ადაპტურია. ეს სურათი შეესაბამება საქართველოში არსებულ გენდერული დისბალანსის სიტუაციას: გოგონებისაგან განსხვავებით ბიჭებისაგან ელიან და წაახალისებენ მეტ აქტიურობასა და დამოუკიდებლობას, მათ შორის, საკუთარი კარიერის დაგეგმვაში, რაც შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მომავალში ბიჭებს ოჯახის ფინანსური უზრუნველმყოფელის როლში მოიაზრებენ (გაეროს ერთობლივი პროგრამის კვლევის ანგარიში, 2013).

კლასტერული ანალიზით მიღებულმა ტიპოლოგიურმა შედეგებმა არ გამოავლინა ნავარაუდევი განსხვავება იდენტობის პროფილების რაოდენობრივ გადანაწილებაში ქართულ და დასავალურ მონაცემებში, თუმცა, მაინც აღმოჩნდა გარკვეული სხვაობები ქართულ კონტექსტსა და იმ კონტექსტებს შორის, სადაც მანამდე იქნა გამოყენებული იდენტობის განზომილებების სკალა. მიღწეული იდენტობის კლასტერი ჩვენს შერჩევაში ყველაზე ადაპტურია ცხოვრების კმაყოფილების ყველაზე მაღალი და დეპრესიული სიმპტომების ყველაზე დაბალი ქულებით. თუმცა, მიღწეული იდენტობის სტატუსი განსხვავდება იგივე სტატუსისაგან, რომელიც ბელგიურ (Luyckx და სხვ., 2008) და ამერიკულ (Schwartz და სხვ., 2011) შერჩევებში იყო. კერძოდ, მიღწეული სტატუსი მოცემულ კვლევაში ხასიათდებოდა ალტერნატივების ძიების საშუალო და არა მაღალი ქულებით. იმის გათვალისწინებით, რომ ალტერნატივების ძიება ნაკლებად შესაძლებელია ქართულ კონტექსტში, მიღწეული იდენტობის მქონე ჯგუფი იდენტობის

ჩამოყალიებისას ნაკლებად იკვლევს სხვადასხვა შესაძლებლობას (ან ნაკლებად შეუძლია ეს). ამასთან, მიღწეული იდენტობის კლასტერი ალტერნატივების ძიების უფრო მაღალ ქულებს აჩვენებს, ვიდრე ნაადრევი იდენტობის კლასტერი. ნაადრევი იდენტობის კლასტერი იდენტობის განზიმილებების ისეთივე თავისებურებით ხასიათდება, როგორც ეს სხვა კვლევებშია. ნაადრევი იდენტობის ჯგუფი ადაპტაციის იგივე ხარისხს აჩვენებდა, როგორც მიღწეული იდენტობის მქონე ჯგუფი. სხვა კვლევებში მიღწეული იდენტობის მქონე ინდივიდები უკეთეს ფსიქოლოგიური ადაპტაციას აჩვენებენ (Luyckx, Vansteenkiste, Duriez, & Goossens, 2009; Schwartz და სხვ., 2011).

სხვა კვლევებისაგან გასხვავებით, უდარდელი დიფუზიის კლასტერი მუდმივი ძიების საშუალო დონით ხასიათდებოდა (Luyckx და სხვ., 2008, Schwartz და სხვ., 2011). ადაპტაციის თვალსაზრისით ის საშუალო პოზიციას იკავებს, რაც მის შედარებით ადაპტირებულობაზე მიანიშნებს.

აღრეული დიფუზიის კლასტერი ალტერნატივების ძიების უფრო მაღალი დონით ხასიათდება, ვიდრე იგივე კლასტერი ბელგიურ შედეგებში (Luyckx და სხვ., 2008). ამასთან, მოცემულ კვლევაში ამ კლასტერს ახასიათებს ინტერნალიზებული სიმპტომების უფრო მაღალი დონე. აღრეული დიფუზიის სტატუსის მქონე ინდივიდები ყველაზე მოწყვლადი არიან იდენტობის დისტრესის მიმართ და შესაძლებელია საჭიროებდნენ გარკვეული სახის ინტერვენციას.

მაძიებელი მორატორიუმის კლასტერი თანხვედრაშია ევროპულ და ამერიკულ შედეგებთან. ეს ნიშნავს, რომ ეს ინდივიდები აქტიურად არიან ჩართული იდენტობის დაკავშირებულ პროცესებში და ხასიათდებიან შფოთვის აწეული დონით. მათი წარმატება იდენტობის განვითარების პროცესში დამოკიდებული იქნება უნარზე გაუმკლავდნენ შფოთვას, რომელიც თან ახლავს ძიებას, მიიღონ გადაწყვეტილება და ძიების შედეგად გააკეთონ არჩევანი. არადიფერენცირებული კლასტერი შეიძლება აერთიანდებდეს ინდივიდებს, რომლებიც ახლა იწყებენ პიროვნული იდენტობის ფორმირებას.

პიროვნული იდენტობის ძიებისათვის ოპტიმალური გარემო შეიძლება იყოს ის, რომელიც ინდივიდს სთავაზობს ბალანსს საზოგადოებაში არსებულ სტრუქტურას (როლური მოდელებისა და მიმართულების უზრუნველყოფის ფორმით) და იდენტობის შესაძლებლობებთან ექსპერიმენტირების თავისუფალ სივრცეს შორის (Erikson, 1968). რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, როგორც ცვლადების, ისე პიროვნულ დონეზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალტერნატივების ძიება გარკვეულ წინააღმდეგობაშია ქართული კონტექსტის რიგ თავისებურებასთან. ფოკუს ჯგუფების შედეგებზე დაყრდნობით გამოიყო კონტექსტუალური გავლენის სამი ასპექტი, რომელთაც ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ოჯახური ურთიერთობები

კვლევებით დადგენილია, რომ ოჯახური აღზრდის თავისებურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე (Berzonsky, 2004, 2011; Beyers & Goossens, 2008). ორი კონსტრუქტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური გარემოს განხილვისას, არის ინდივიდუაცია და სეპარაცია. ინდივიდუაციას ბლოსისა და კროგერის კლასიკური თეორიები განსაზღვრავენ, როგორც მშობლებისაგან გამოცალკევების/სეპარაციის პროცესს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოზარდმა მოახერხოს საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბება. ამ თეორიების მიხედვით „აჯანყება“ მშობლების წინააღმდეგ ინდივიდუაციის აუცილებელი პირობაა. თუმცა, სხვა ავტორები სეპარაციას არ მიიჩნევენ იდენტობის შეძენის აუცილებელ პირობად, არამედ თვლიან, რომ მშობლებთან სტაბილური ურთიერთობის კონტექსტი იდენტობის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. ემპირიული კვლევის შედეგად ეს თვალსაზრისი დადასტურდა (Meeus, Iedema, Maassen, & Engels, 2005).

ოჯახურ კონტექსტში იდენტობის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენციაციის ცნება, რომელიც ოჯახური სისტემის დონეზე ასახავს დისტანციას ოჯახის წევრებს შორის. იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს ოჯახი, როგორც სისტემა. დიფერენციაციის პროცესი დიალექტურია, რომელის დროსაც ოჯახის წევრები განცალკევდებიან ერთმანეთისაგან და ამავე დროს ემოციურად დაკავშირებული რჩებიან. ოჯახური გარემოს პირობა, რომელმაც შესაძლებელია სირთულე შეუქმნას პიროვნული იდენტობის ავტონომიურ ჩამოყალიბებას, არის ოჯახურ ურთიერთობებში

საზღვრების წაშლა (family enmeshment). საზღვრები ასახავს პატივისცემის ხარისხს ოჯახის თითოეული წევრის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის (განცდების, შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების) მიმართ. მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ოჯახურ ურთერთობებში საზღვრების წაშლისა და ოჯახის შეკრულობის კონსტრუქტები. თუ ოჯახურ ურთიერთობებში საზღვრების წაშლა ნიშნავს ურთიერთობებში პირადი სივრცის დარღვევას, ოჯახური შეკრულობა ნიშნავს სითბოსა და მზრუნველობას. ადაპტური ოჯახური გარემო გულისხმობს პირველის დაბალ და მეორის მაღალ ხარისხს. დადასტურებულია, რომ ოჯახური გარემოს ამ ორი განზომილების მნიშვნელობასა და ურთიერთობაზე დიდ გავლენას ახდენს კულტურა (Scabini & Manzi, 2011).

მკვლევრებმა შეისწავლეს ოჯახურ ურთიერთობებში საზღვრების წაშლის სხვადასხვა განზომილება და მათი ზეგავლენა სხვადასხვა კულტურის კონტექსტში. კერძოდ, გამოყვეს ოთხი განზომილება: 1) ავტონომიური ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს იმას, თუ რამდენად აძლევენ მშობლები შესაძლებლობას შვილებს მიიღონ ავტონომიური გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ და არ მიმართავენ მანიპულაციასა და ჩარევას. 2) დამოუკიდებლობის ხელშეწყობა გულისხმობს პირვნული ინდივიდუალობის ხელშეწყობას, ან, პირიქით, მის კონგნიტურ სივრცეში ჩარევას შეხედულებების, ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის თავზე მოხვევის ფორმით. 3) ოჯახისაგან გამოყოფა ასახავს, თუ რამდენად უწყობს ხელს ოჯახური ურთიერთობები ოჯახის წევრების ფიზიკურ დისტანცირებას. 4)

ოჯახის ფსიქოლოგიური კონტროლი გულისხმობს წევრების ემოციური მდგომარეობაზე მუდმივ ნეგატიურ ზეგავლენას დანაშაულის, სირცხვილის განცდების გამოწვევითა და პირობების შემცველი პოზიტიური დამოკიდებულებით (conditional positive regard). ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში (იტალია, ბელგია, აშშ და ჩინეთი) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ოთხი განზომილება განსხვავებულად ფუნქციონირებს სხვადასხვა კულტურაში. მხოლოდ ფსიქოლოგიური კონტროლი აღმოჩნდა განზომილება, რომელიც ოთხივე კულტურაში დაკავშირებული იყო დეპრესიასთან. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მხოლოდ იტალიელი, ბელგიელი და ამერიკელი მონაწილეებისათვის და არა ჩინელი მონაწილეებისთვის. ხოლო დაშორება, ნეგატიურად უკავშირდებოდა დეპრესიას ბელგიელებისა და ამერიკელებისთვის, პოზიტიურად იტალიელებისთვის და არ იყო დაკავშირებული ჩინელ მონაწილეთა შემთხვევაში (Manzi და სხვ. 2012).

როგორც ზემოთ აღწერილი კვლევაც ადასტურებს, კულტურები განსხვავდებიან ოჯახური ურთიერთობებისა და აღზრდის თავისებურებებით. ქართულ კულტურულ კონტექსტში გავრცელებულია ავტორიტარული აღზრდის პრაქტიკა განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებში, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. კულტურული ნორმები, რომლებიც ანდაზებსა და გამონათქვამებშია გამოხატული, ექსპლიციტურად მოითხოვს მშობლების მოლოდინების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სუმბაძე, 2011;

სურმანიძე, 2002). ფოკუს-ჯგუფების ანალიზმა გამოავლინა, რომ ოჯახისაგან/მშობლებისაგან დამოუკიდებლობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომელსაც ახალგაზრდები იდენტობის ჩამოყალიბების პროცესთან მიმართებაში განიხილავენ. ნათელია, რომ ოჯახი არ წარმოადგენს ნეიტრალურ გარემოს, რომელშიც იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, ის მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. ორი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელიც ქართული შედეგების თანახმად, ოჯახურ კონტექსტს ახასიათებს, არის ზე-მზრუნველობა მშობლების მხრიდან და შეზღუდული ავტონომია, რომელიც ფიზიკური განცალკევებულობის სირთულესა და გადაწყვეტილების მიღებისას ნაკლებ დამოუკიდებლობაში გამოიხატება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული შედეგების შემთხვევაში მშობლების მხრიდან ჩარევა შვილების ავტონომიურ ფუნქციონირებაში (მაგ. ჩარევა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საკუთარი აზრის თავზე მოხვევა) ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ფსიქოსოციალურ ადაპტაციაზე და, მათ შორის, იდენტობის ჩამოყალიბებაზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოშიც იტალიის მსგავსად ფიზიკური დაშორება თავისთავად შეიძლება არ იყოს ცალსახად დაკავშირებული ნაკლებ ადაპტაციასთან. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ კონტროლს, სავარაუდოდ მას ქართულ კონტექსტშიც ნეგატიურ შედეგებთან მივყავართ.

აღზრდის განზომილებების ფუნქციონირების შესახებ პირველი კვლევა საქართველოში (Skhirtladze, Javakhishvili, Schwartz & Luyckx, პუბლიკაცია

მომზადების პროცესშია) აჩვენებს, რომ მშობელი-შვილის ურთიერთობებში ქცევის კონტროლის განზომილება, რომელიც ზოგადად განიხილება, როგორც ადაპტური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა (Grolnick, 2012) მაღალ კორელაციაშია ფსიქოლოგიურ კონტროლთან, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მშობლები შვილების ქცევის რეგულაციისას გარკვეული მოლოდინების, ნორმების, დისციპლინის უზრუნველყოფასთან ერთად იყენებენ ფსიქოლოგიური კონტროლის ელემენტებს. ფსიქოლოგიური კონტროლი გულისხმობს მშობლების მიერ შვილის ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დანაშაულისა და სირცხვილის განცდების გამოწვევა, პირობების შემცველი პოზიტიური დამოკიდებულება. ფსიქოლოგიური კონტროლი უკავშირდება ბევრ ნეგატიურ შედეგს განვითრების კუთხით, როგორიცაა დეპრესია, ანტისოციალური ქცევა და დაბალი აკადემიური მოსწრება (Barber, 2005; Soenens & Beyers, 2012). რაც შეეხება იდენტობის პროცესებს, კვლევებით დადასტურებულია, რომ ფსიქოლოგიური კონტროლი მშობლების მხრიდან იწვევს არჩევანის პროცესების შემცირებას, ხოლო ალტერნატივების ძიება შვილში აძლიერებს ფსიქოლოგიურ კონტროლს (Luyckx, Soenens, Vansteenkiste, Berzonsky, & Goossens, 2007). ამასთან, ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავებულია დედისა და მამის აღზრდის კავშირი ახალგაზრდა ადამიანის მიერ გამოყენებული იდენტობის სტილებთან. ამგვარად, აღზრდის პროცესებისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ქართულ კონტექსტში მათი

თავისებურებებისა და კავშირის შესწავლა სამომავლო კვლევების მიმართულება შეიძლება გახდეს.

კულტურა-სოციალური ჯგუფებისა და ნორმების მნიშვნელობა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც კონტექსტს უკავშირდება იდენტობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არის კულტურა, კონკრეტულად კი სოციალური ჯგუფებისა და სოციალური ნორმების მნიშვნელობა. კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესწავლილი გამოხატულება კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმია. კოლექტივისტურ კულტურაში სოციალური ქცევა განისაზღვრება ნორმებით და აღქმული ვალდებულებებით, მაშინ, როდესაც ინდივიდუალისტურ კულტურაში ის ეყრდნობა ინდივიდის საკუთარ დამოკიდებულებებს. კოლექტივისტურ კოლტურაში ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობები, მაშინაც კი, როდესაც ისინი პიროვნების ინდივიდუალურ ინტერესთან წინააღმდეგობაშია. კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლებს ინდივიდუალისტურისაგან განსხვევბით აქვთ მიზნები, რომელიც მათი ჯგუფის მიზნებთან თავსებადია, თუმცა, როდესაც თავსებადობა პრობლემურია, ჯგუფის მიზნებს ენიჭება პროირიტეტი. (Singelis, Triandis, Bhawuk & Gelfand, 1995).

კვლევები კულტურებს შორის განსხვავებებზე სამი ასპექტის გარშემოა კონცენტრირებული: სელფის (სელფის რეპრეზენტაციის) საკითხი,

შეხედულებების და ღირებულებების. ამაგვარად, ფოკუსირება ხდება ფსიქოლოგიის სამ მთავარ სფეროზე: მე-კონცეფცია, კოგნიცია და მოტივაცია.

სელფის დამოუკიდებლობა-ურთიერთდამოკიდებულების (independence-interdependence) განზომილების კვლევა მარკუსისა და კიტაიამას შრომით დაიწყო. თუმცა მრავალი საზომი შეიქმნა და მრავალი კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით, შედეგები ხშირად წინააღმდეგობრივია და ბევრ კითხვას ბადებს. მარკუსისა და კიტაიამას მიხედვით, ინდივიდუალისტურ კულტურებში სელფის განვითარება ნიშნავს სოციალური კონტექსტიდან გამოცალკევებას, შინაგანი თავისებურებებისა, საკუთარი უნიკალურობისა და თვითმყოფადობის მიღწევას. კოლექტივისტურ კულტურებში აქცენტი კეთდება კავშირებზე, გარეგან როლებზე და საკუთარ ინტერესებზე უარის თქმაზე სხვების სასარგებლოდ. კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმის დიქოტომიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ამ დაყოფაში არსებულ მრავალფეროვნებას და გლობალიზაციის თანდათან უფრო მზარდ ზეგავლენას. კაგიჩიბაშიმ (2005) შემოიტანა მესამე ორიენტაცია, რომელიც ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს აკავშირებს. ეს არის სელფი, რომელიც ავტონომიური (agentic) და ამავდროულად ურთიერთობაზე ორიენტირებულია (relational). მისი აზრით, ეს ორიენტაცია გავრცელებულია კოლექტივისტურ საზოგადოებებში, სადაც ინდუსტრიალიზაცია-ურბანიზაციის პროცესი მძლავრია და ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების (interdependence) ხარისხი მაღალია. შეიძლება

ვივარაუდოთ, რომ ეს ორიენტაცია საქართველოშიცაა გავრცელებული, თუმცა ეს სამომავლო კვლევის საკითხია.

სელფის/მე-კონცეფციის თავისებურებებთან ერთად, ფართოდაა გავრცელებული კულტურის შესწავლა ღირებულებების ჭრილში. მრავალი ემპირიული კვლევა ეხება ჰოფსტედესა თუ შვარცის ღირებულებითი განზომილებების შესწავლას სხვადასხა კულტურაში. რაც შეეხება შეხედულებების ასპექტს, აქ კვლევები შედარებით მცირეა.

მთლიანობაში კროს-კულტურული ფსიქოლოგიის ექსპერტები მიუთითებენ, რომ მნიშვნელოვანია კულტურის შესწავლის განზომილებების გამრავალფეროვნება, რაც შესაძლებელს გახდის მათ სირღმისეულ შესწავლას (Smith, 2011).

ბოლო პერიოდში შექმნილი კონსტრუქტებიდან, რომელიც კულტურათა შორის გასხვავებებს აღწერს, პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ კულტურის ორი განზომილება: კულტურის სიმკაცრე ლმობიერება (tightness-looseness) და კონტექსტუალიზმი.

კულტურის სიმკაცრე-ლმობიერების ცნებას ორი კომპონენტი აქვს: სოციალური ნორმების სიძლიერე, რომელიც გამოიხატება იმაში, თუ რამდენად მკაფიო და ყოვლისმომცველია სოციალური ნორმებისა და სანქციების სიძლიერე, რომელიც აისახება საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხში ნორმისაგან გადახვევის მიმართ. სოციალური ინსტიტუტები მჭიდრო კულტურებში ხელს

უწყობენ ვიწრო სოციალიზაციას, რაც გულიხმობს იმას, რომ მშობლები და მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მორჩილებას, აკონტროლებენ ბავშვის ქცევას და აქვთ უფრო მკაცრი მიდგომა სოციალიზაციის პროცესში, ვიდრე უფრო თავისუფალ კულტურებს. ამასთან, მჭიდრო საზოგადობებეში ინდივიდუალურ, სუბიექტურ დონეზე უფრო მაღალია ანგარიშვალდებულების განცდა. ანგარიშვალდებულების განცდა გულისხმობს სუბიექტურ გამოცდილებას იმისა, რომ ინდივიდის მოქმედება შეფასების საგანი გახდება და ამ შეფასებას პოტენციურად შესაძლოა მოჰყვეს სასჯელი. ამასთან, მჭიდრო კულტურაში ინდივიდის ფუნქციონირებისას წინა ხაზზეა „უნდა მე“-ს ნიშნული და არა „იდეალური მე"-ს ნიშნულები. მაღალი განცდილი ანგარიშვალდებულების პირობებში თვითრეგულაცია ეყრდნობა უნდა-მეს მუდმივ აქტივობას და პრევენციულ ფოკუსს (ანუ ფოკუსს, რომ არ მოხდეს შეცდომის დაშვება). ჯერ-ჯერობით კულტურის ამ განზომილების შესახებ კვლევები საწყის სტადიაშია, საქართველოში კი არ ჩატარებულა. თუმცა, ზემოთ აღწერილი კვლევის შედეგები გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ საქართველო სიმჭიდროვე-თავისუფლების განზომილებაზე უფრო სიმჭიდროვისაკენ იხრება. ეს აისახება იდენტობის ჩამოყალიბებაზე. იმ პირობებში, როდესაც კულტურული ნორმები ძლიერია და მათგან გადახვევას მკვეთრი უარყოფითი უკუკავშირი მოსდევს გარემოს მხრიდან, სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ, მაგალითად მიღებულისაგან განსხვავებული ღირებულებების, შეხედულებების განხილვა და პოტენციურად მათი მიღება უარყოფით უკუკავშირს მოუტანს ინდივიდს

საკუთარი გარემოცვისგან (Gelfand, Raven, Nishii, 2006). ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები საუბრობდნენ იმაზე, რომ ხშირად მსჯელობის დონეზე განიხილავენ ცხოვრების სტილთან თუ სამომავლო მიზნებთან დაკავშირებულ ალტერნატივებსა და შესაძლებლობებს, თუმცა, იმის გამო, რომ სოციალური ნორმების ზეწოლა დიდია, რეალობაში მათი განხორციელებას ნაკლებად მიმართავენ.

მეორე მნიშვნელოვანი განზომილება არის შეხედულებები კონტექსტუალიზმის შესახებ. ეს კონსტრუქტი კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმის ერთ-ერთ ასპექტად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც კონცენტრირებულია შეხედულებებზე. კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმის შეხედულებებზე კონცენტრირებულ განზომილებას (განსხვევბით სელფისა და ღირებულებებისაგან) შედარებით ნაკლები ემპირიული კვლევა ეხება. თუ გადავხედავთ სხვადასხვა კულტურაში არსებულ შეხედულებებს პიროვნების შესახებ, დავინახავთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი პიროვნებას განიხილავს მისი როლისა და პოზიციის მიხედვით საზოგადოებასა და კონტექსტში, ხოლო მეორე ნაწილი მას განიხილავს როგორც კონტესტისაგან თავისუფალსა და ავტონომიურს. კროს-კულტურული განსხვევბები შეხედულებებში გამოვლინდა კვლევებში ქცევის მიზეზების შესახებ. მაშინ, როდესაც კვლევის ამერიკელი მონაწილეები ქცევის მიზეზად ძირითადად პიროვნულ ფაქტორებს განიხილავდნენ, ჩინელი და ინდოელი მონაწილეები მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონტექსტს. მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევებში კონტექსტის მნიშვნელობის შესახებ

კონტექსტი დაპირისპირებულია დისპოზიციებთან. კონტექსტუალიზმი მოცემული განმარტებით ეხება კონტექსტს, როგორც ფაქტორს რომელიც მნიშვნელოვანია პიროვნების განსაზღვრისას (Owe et al., 2013). როდესაც პიროვნების შეხედულებები მაღალი კონტექსტუალიზმით ხასიათდება, ანუ, როცა ის საკუთარი პიროვნების განსაზღვრისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარ კონტექსტს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იდენტობის ჩამოყალიბებისას ძიების პროცესს ნაკლებად მიმართავს და მისთვის მთავარი საყრდენი ამ პროცესში საკუთარი ოჯახი, მეგობრები, და სხვა გარემოცვა იქნება.

ფოკუს-ჯგუფის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებზე სოციალური ჯგუფები (ოჯახი, მეგობრები და ა.შ) ახდენს, რაც, სავარაუდოდ, ინდივიდუალურ და კულტურის დონეზე კონტექსტუალიზმის მაღალ ხარისხს უკავშირდება. რამდენად კავშირშია იდენტობის ჩამოყალიბებისას სხვადასხვა ალტერნატივის ძიების პროცესი და კონტექსტალური შეხედულებები, მომავალი კვლევის საკითხია.

სოციო-ეკონომიკური პირობები

კონტექსტთან დაკავშირებული კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც, შესაძლოა, ძიების პროცესში ბარიერს წარმოადგენდეს, არის სოციო-ეკონომიკური პირობები. მართლაც, ეს პირობები გავლენას ახდებს კარიერასთან დაკავშირებულ იდენტობის სფეროებსა და მომავლის მიზნებზე (მაგ., Phillips & Pittman, 2003;

Yoder, 2000). იტალიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მიღწეული იდენტობის სტატუსში მყოფი ინდივიდები ხასიათდებიან მუდმივი ძიების საშუალო დონით ალტერნატივების ძიების მაღალ დონესთან ერთად, განსხვავებით მათი ამერიკელი და ბელგიელი თანატოლებისაგან (Crocetti და სხვები ., 2011; Luyckx და სხვები al., 2008, 2009; Schwartz და სხვები., 2011). კროჩეტიმ და ავტორებმა ეს შედეგები კონტექსტის სოციო-ეკონომიკური შეზღუდვებით ახსნეს.

საქართველო ბოლო 25 წლის მანძილზე გარდამავალი სოციო ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით ხასიათდება. დასაქმების შესაძლებლობები, რომელიც ახალგაზრდა ადამიანის ფინანსურ დაცულობას უზრუნველყოფს, საკმაოდ შეზღუდულია. ხშირ შემთხვევაში, ახალაგაზრდებს არ აქვს არჩევანი მისდიოს სასურველ კარიერას, რადგან ფინანსური საჭიროება და სამუშაო ადგილების სიმცირე ზღუდავს მის მისწრაფებებს (სუმბაძე, 2011; წულაძე, 2003, 2010). ამ პირობებში არჩევანის გაკეთება არსებული შესაძლებლობებიდან იქნება უფრო „უსაფრთხო“ და ადაპტური სტრატეგია (რომელიც დაიცავს ახალგაზრდას ფინანსური პრობლემებისაგან) ვიდრე ძიება, რომელიც პოტენციურად უკეთეს ადაპტაციას შეუწყობს ხელს, მაგრამ შეიცავს არასტაბილურობისა და გაურკვევლობის რისკს (Scholer & Higgins, 2012). პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ კარიერული განვითარების საწყის ეტაპზე (როდესაც ახლად განათლება მიღებული ახალგაზრდა ეძებს სამსახურს) ოჯახური გარემო და განათლება არ არის წარმატების გადამწყვეტი პრედიქტორები. ამ დროს მთავარია საჭირო კავშირები, უბრალოდ გამართლება,

საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა. მას შემდეგ, რაც ახალაგაზრდა მოხვდება შრომის ბაზარზე, იქ უკვე თავად წარმართავს საკუთარ წარმატებას (Roberts, 2006).

იდენტობის მოდელი, რომელიც ჩვენს კვლევაშია გამოყენებული გულისხმობს ინდივიდუალურ აგენტობას, რომელიც ძიების პროცესის მთავარი მახასიათებელია. თუმცა, მნიშვნელოვანია სიციო-ისტორიული პირობების გავლენის გათვალისწინებაც, განსაკუთრებით, თუ ეს კარიერული განვითარების საკითხს ეხება. ინგრიდ შუნი მიუთითებს, რომ კარიერული არჩევანის და ინდივიდუალური ცხოვრების დაგეგმვის საკითხი უნდა განიხილებოდეს როგორც ინტერაქტიული და დიალექტიკური პროცესი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინდივიდსა და მის სოციო-ისტორიულ პირობებს. ამ დიალექტიკურ პროცესში ცვალებადი შესაძლებლობები განსაზღვრავს ინდივიდის არჩევანსა და ქცევას, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ახალ ისტორიულ კონტექსტს შემდეგი თაობებისათვის (Schoon, 2012). ემპირიული კვლევის შედეგად, რომელიც ახალგაზრდების სასწავლო გარემოდან სამუშაო ბაზარზე გადასვლას სწავლობდა სხვადახვა სოციალურ კონეტქსტში შეიქმნა, „შეზღუდული აგენტობის“ (bounded agency) ცნება; ეს არის სოციალურად განპირობებული აგენტობა, რომელიც არ არის სრულად დეტერმინირებული გარემოსგან, თუმცა გარემო ზეგავლენას ახდენს მასზე. ამავე კვლევაში გამოიყო ოთხი ქცევითი პატერნი, რომელიც ახალგაზრდების შრომის ბაზარზე გასვლის სფეროში ვლინდება: სტრატეგიული, ნაბიჯ-ნაბიჯ, შესაძლებლობის გამოყენება და ლოდინი (Evans, 2007). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძიება, რომელიც გულისხმობს ინდივიდისათვის ყველაზე

მისაღები ალტერნატივის ძიებისაკენ მიმართულ პროცესს, სტრატეგიული მიდგომის მაგალითია. თუმცა, გარკვეულ სოციალურ პირობებში შესაძლებლობის გამოყენება შეიძლება უფრო ადაპტური მიდგომა აღმჩნდეს. ცვალებად და გარდამავალ სოციალურ კონეტქსტში ადაპტაცია შესაძლებელია ინდივიდისაგან მოითხოვს მეტ მოქნილობას საკუთარი მიზნებისა და ცხოვრების გეგემის განსაზღვრისას. ერთ-ერთი კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ ინდივიდში არსებული თვით-რეგულაციის რესურსი შესაძლებლობას აძლევს მას ჰქონდეს ბედნიერი და კმაყოფილებით სავსე ცხოვრება იმ შემთხვევებშიც, როდესაც სიტუაცია შესაძლებლობების თვალსაზრისით შეზღუდულია. ამ კვლევის მონაცემების მიხედვით, შეზღუდული გარემო შესაძლებლობების პირობებში ადამიანების უნარი უარი თქვან მიუღწეველ მიზნებზე და სხვა მიმართულებით გადართონ საკუთარი ენერგია, განაპირობებდა მათ მეტ კმაყოფილებას საკუთარი ცხოვრებით. ამგვარად, კვლევით დადასტურდა, რომ განვითარების რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს გარემოში არსებულ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის ადაპტაციასა და განვითარებაში (Tomasik, 2010). სხვადასხვა ალტერნატივის ძიების პროცესი, რომელიც იდენტობის მოდელებში განვითარებული იდენტობის მთავარ მექანიზმად ითვლება, შესაძლებელია სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით და იდენტობის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებაში არ აღმოჩნდეს ადაპტური. შეზღუდული შესაძლებლობების პირობები ქართულ კონეტქსტში, რომელიც ფოკუს-ჯგუფების შედეგების თანახმად, ზეგავლენას ახდენს იდენტობის

ჩამოყალიბების პროცესებზე, გვიბიძგებს ვფიქროთ, რომ ამ სიტუაციაში სტრატეგიულ ქცევაზე მეტად შესაძლებლობის გამოყენების ქცევა იქნება ადაპტური. ეს ახალგაზრდას შესაძლებლობას მისცემს გააგრძელოს საკუთარი შესაძლებლობების განვითარება განათლების მიღების შემდეგ. შემდგომი ადაპტაციისათვის, სავარაუდოდ, დიდი მნიშვნელობა ექნება რეფლექსური სიღრმისეული ძიების პროცესს გაკეთებულ არჩევანთან მიმართებაში და ასევე ღიაობის შენარჩუნებას სხვა, ახალი ალტერნატივებისა და შესაძლებლობების მიმართ.

4. დასკვნა და რეკომენდაციები

რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მექანიზმი - ალტერნატივების ძიება, ქართულ კონტექსტში განსხვავებულად ფუნქციონირებს. შედეგები ლოგიკურია თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ერიკსონის თავდაპირველ განმარტებას, რომლის თანახმად პიროვნული იდენტობის ჩამოყალიებება წარმოადგენს ინდივიდისა და გარემოს ინტერაქციის პროდუქტს. თვისებრივი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ გარემო კონტექსტის თავისებურებებს განსხვავებული როლი აქვს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში: მიკრო-დონე, რომლის მაგალითად ოჯახური ცხოვრების თავისებურებები შეიძლება განვიხილოთ, მაკრო-დონე, რომლის მაგალითი ქვეყნოს სოციო-ეკონომიკური პირობებია. ამგვარად, პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება რთული და მრავალი ფაქტორით განპირობებული პროცესია და მასზე სრული და დასაბუთებული წარმოდგენის შესაქნმელად საკმარისი არ არის პიროვნების შიგნით მიმდინარე პროცესების კვლევა, მნიშვნელოვანია მათი ინტერაქციის შესწავლა კონეტქსტის სხვადასხვა მახასიათებელთან.

იდენტობის ჩამოყალიბება ადრეული ახალგაზრდა ასაკის ცენტრალური ამოცანაა. ამ ამოცანის დაძლევისას სავარაუდოდ ბევრი ახალგაზრდა განიცდის სირთულეებს, რომელიც სხვადასხვა სახის ინტერვენციას მოითხოვს. ზემოთ აღწერილი კვლევის საფუძლელზე შეიძლება გამოვყოთ ზოგადი რეკომენდაციები

კლინიკური პრაქტიკისათვის, რომელიც მიმართული იქნება ინდივიდზე ან გარემოზე, რომელშიც ის ცხოვრობს (Josselson, 1994). შედეგებმა აჩვენა, რომ ალტერნატივების ძიება, რომელიც განვითარების არსებულ თეორიებში პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მთავარ მექანიზმად ითვლება, საქართველოში ნეგატიურ ემოციებთანაა (განსაკუთრებით მუდმივ ძიებასთან) დაკავშირებული. ქართული კონტექსტის ზემოთ განხილული თავისებურებები, როგორიცაა კარიერის განვითარების მწირი შესაძლებლობები, მკაცრად სტრუქტურურებული კულტურული ნორმები, შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ძიება არ არის ყველაზე ადაპტური მექანიზმი პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისას და ნაადრევი იდენტობა უფრო უკეთეს ადაპტაციასთან მიგვიყვანს, ვიდრე მიღწეული იდენტობის სტატუსი. თუმცა, იდენტობის სტატუსების შესწავლამ ქართულ შედეგებში გვაჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიღწეული იდენტობის სტატუსი შედარებით დაბალი ქულებით ხასიათდება ალტერნატივების ძიების განზომილებაზე (რაც კონტექსტის თავისებურებებით შეიძლებ ავხსნათ), მიღწეული და ნაადრევი იდენტობის სტატუსები მსგავს შედეგებს აჩვენებენ ადაპტაციის კუთხით. მიღწეული იდენტობის სტატუსი უფრო მაღალ (თუმცა სტატისტიკურად არამნიშვნელოვან) შედეგებს აჩვენებს. როგორც ჩანს ახლაგაზრდების გარკვეული ნაწილი მაინც ახერხებს სხვადასხვა ალტერნატივის შესწავლას და ამ პროცესში თვითდეტერმინაციის და აგენტობას განიცდის, რაც უკეთეს ადაპტაციას იწვევს. თუმცა, არჩევანის გაკეთება ძიების გარეშეც, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში ასევე

შეიძლება იყოს პიროვნების ავტონომიური გადაწყვეტილება. კონტექსტი, რომელიც სოციო-ეკონომიკური არასტაბილურობით და ხშირად წინააღმდეგობრივი კულტურული ღირებულებებით ხასიათდება, შესაძლოა ხელს უწყობდეს დაძაბულობასა და შფოთვის წარმოქმნას იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. ის ალბათ განსაკუთრებით მოითხოვს ისეთ პიროვნულ რესურსებს, როგორიცაა შინაგანი კონტროლის ლოკუსი, მაღალი თვით-შეფასება და ცხოვრების მიზანი. ამ უნარებს მეცნიერები იდენტობის კაპიტალს უწოდებენ (Côté, 2005; Schwartz, Côté, & Arnett, 2005). ინტერვენციები ახალგაზრდებთან, რომლებიც იდენტობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ დისტრესს განიცდიან, შეიძლება მიმართული იყოს იდენტობის კაპიტალის გაძლიერებაზე და ამგვარად ახალგაზრდებში ავტონომიური ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებაზე, რომელიც იდენტობის ჩამოყალიბებისთვისაა აუცილებელი.

ქართული კულტურული კონტექსტის იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ხელს უშლის ახალგაზრდა ადამიანს, მიაღწიოს მშობლებისაგან ავტონომიურ ფუნქციონირებას, ინტერვენცია ასევე შეიძლება მიმართული იყოს ოჯახურ ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციო-ეკონომიკური პირობები რომელიც ხელს უშლის მშობლებისაგან ფიზიკურ გამოცალკევებას, დაკავშორებული მაკრო-დონის ასპექტებთან, როგორიცაა ეკონომიკური უზრინველყოფის საკითხები, ინტერვენცია შეიძლება შეეხოს მიკრო-დონის გარემოს, კერძოდ აღზრდის თავისებურებებს. კოლექტივისტური კულტურები, როგორიც საქართველოა, აფასებენ ურთიერთდამოკიდებულებას და

მშობლებსა და შვილებს შორის ახლო ურთიერთობები ამ ურთიერთდამკიდებულების ორგანული ნაწილია. კვლევები აჩვენებს, რომ მშობლების მხრიდან შვილის ავტონომიის მხარდაჭერა და არა უბრალოდ დამოუკიდებლობა მათგან, კოლექტივისტურ კულტურებში ოპტიმალური განვითარების წინაპირობაა (Chen, Vansteenkiste, Beyers, Soenens, & Van Petegem, 2013). ავტონომია, რომელიც განიმარტება, როგორც ნებაყოფლობითი (volitional) ფუნქციონირება, რომელიც ზეწოლისა და კონტროლის გარეშე მიმდინარეობს, არ ეწინააღმდეგება ურთიერთდამოკიდებულების ღირებულებას (Kağitçibaşi, 2013; Van Petegem, Beyers, Vansteenkiste, & Soenens, 2012). აღზრდის მეთოდები, რომელიც ზღუდავს ახალგაზრდების ავტონომიას, ასევე ხელს უშლის იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებს (Luyckx, Soenens, Vansteenkiste, Berzonsky, & Goossens, 2007). ინტერვენცია შეიძლება მიმართული იყოს მშობლების მხრიდან ნაკლები ზეწოლის გამოყენებაზე და ისეთი მიდგომების ფასილიტაციაზე, რომელიც ახალგაზრდა ადამიანის ინიციატივასა და თვით-გამოხატვას შეუწყობს ხელს. ამგვარი ინტერვენციები განავითარებს მათ მგრძნობელობას შვილის მოთხოვილებებისა და ინტერესების მიმართ და ამგვარად შექმნის პირობებს თვით-დეტერმინირებული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის.

5. კველვის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

მნიშვნელოვანია განვიხილოთ სადისერტაციო დაშრომში მოცემული კვლევის შეზღუდვები. რაოდენობრივი, ისევე როგორც თვისებრივი კველვის შერჩევა შედარებით მცირე ზომის იყო და ნაკლებად იყო მასში წარმოდგენილი სოციო-დემოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებული ჯგუფები (მაგ. ოჯახური სტატუსით), რის გამოც არ მქონდა შესაძლებლობა შემესწავლა პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ამ ცვლადებთან კავშირში. ამასთან, გენდერული გადანაწილება არ იყო დაბალანსებული. სქესი, ასაკი და ზოგიერთი სოციო-დემოგრაფიული ფაქტორი (ოჯახური სტატუსი, დასაქმება) შესაძლებელია გავლენას ახდენდეს იდენტობის ფორმირებაზე. გარდა ამისა, რაოდენობრივი კვლევა არ მოიცავდა კონტექსტუალურ ცვლადებს (მაგალითად აღზრდის, კულტურული ორიენტაციის, დასაქმების შესაძლებლობების). ბოლოს, კვლევის კროს-სექციული და არა ლონგიტუდური დიზაინი ზღუდავს ჩვენს შესაძლებლობას გავაკეთოთ დასკვნები განვითარებასთან დაკავშირებით.

გამოკვეთილია სამომავლო კვლევის მიზნებიც. იდენტობის განზომილებების კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა მოიცავს ექვს ფაქტორს ხუთის ნაცვლად. იმის გამო, რომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნა რეფლექსიური სიღრმისსეული ძიება და არჩევანის გადასინჯვა, საჭიროა ახალი დებულებების შემუშავება, განსაკუთრებით რეფლექსიური სიღრმისეული ძიების სკალისათვის (Beyers & Luyckx, 2014). მოცემული კვლევის რაოდენობრივი ნაწილი ფოკუსირებული იყო მომავალი მიზნებისა და

ცხოვრების სტილი სფეროზე. მომავალში მნიშვნელოვანი იქნება იდენტობის სხვა სფეროების შესწავლაც რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით (რომანტიული ურთიერთობები, ღირებულებები და პროფესია), რამაც შეიძლება განსხვავებული შედეგები გვაჩვენოს.

6. ბიბლიოგრაფია

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ კვლევის ანგარიში (2013). საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში

ნიჟარაძე, გ. (2001). პოლიტიკური ქცევა საქართველოში. სამეცნიერო პერიოდული გამოცემა ეპოქა, 1, 6-16

სურმანიძე, ლ. (2002). ქართული კულტურის ორიენტაციები. თბილისი: ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი. 1-35.

სურმანიძე, ლ. (2001). ინდივიდულისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (ემპირიული კვლევის თეორიული მოდელები). თბილისი: ნეკერი

წულაძე, ლ. (2003). ავტონომია და სანქციები სოციალიზაციისას ქართული კულტურის კონტექსტში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Adams, A., & Marshall, S. K. (1996). A developmental social psychology of identity: Understanding the person-in-context. *Journal of Adolescence, 19,* 429-442. doi: 10.1006/jado.1996.0041

Arnett, J. (2012). *Human development: A cultural approach*. Pearson Education.

Arnett, J. J. (2008). The neglected 95%: Why American psychology needs to become less American. *American Psychologist*, *63*, 602–614. doi: 10.1037/0003-066X.63.7.602

Arnett J. (2002).The psychology of globalization. *American Psychologist*, *57*, 774-783. doi: 10.1037//0003-066X.57.10.774

Arnett, J.J. (2000). Emerging adulthood: A theory of development from the late teens through the twenties. American Psychologist, 55, 469-480. Reprinted in K. Jones (Ed.), Readings in Human Behavior (2003). Everett, MA: Thomson Learning.

Baumeister, R. F., & Muraven, M. (1996). Identity as adaptation to social, cultural, and historical context. *Journal of Adolescence*, *19*, 405-416. doi: 10.1006/jado.1996.0039

Berman, S. L., Yu, Y.-F., Schwartz, S. J., Teo, G., & Mochizuki, K. (2011). Asian identity formation: A cross national investigation of the validity of the identity status and distress constructs in China, Taiwan, Japan, and the United States. *Child and Youth Care Forum*, *40*, 65–75. doi: 10.1080/15298868.2010.512748

Beyers, W., & Goossens, L. (2008). Dynamics of perceived parenting and identity formation in late adolescence. *Journal of Adolescence, 31,* 165-184. doi: 10.1016/j.adolescence. 2007.04.003

Beyers, W., & Luyckx, K. (2014). Ruminative exploration and reconsideration of commitment as risk factors for suboptimal identity development in adolescence and emerging adulthood. Paper presented on 14th conference of European Association of Research on Adolescence, Çeşme, Turkey. Presentation retrieved from: www.vopspsy.ugent.be

Bosma, H. A., & Kunnen, E. S. (2001). Determinants and mechanisms in ego identity development: A review and synthesis. *Developmental Review, 21,* 39–66. doi: 10.1006/drev.2000.0514

Chen, B., Beyers, W., Vansteenkiste, M., Soenens, B., & Van Petegem, S. (2013). Autonomy in family decision-making for Chinese adolescents: Disentangling the dual meaning of autonomy in a crosscultural context. *Journal of Cross-Cultural Psychology*, *44,* 1184–1209. doi : 10.1177/0022022113480038

Côté, J. E. (2000). Arrested adulthood: the changing nature of identity and maturity in the late-modern world. New York, New York University Press.

Côté, J. E. (2005). Identity capital, social capital and the wider benefits of learning: generating

resources facilitative of social cohesion. London Review of Education, 3, 221–237. doi : 10.1080/14748460500372382

Côté, J. E., & Levine, C. G. (2014). *Identity formation, agency, and culture: A social psychological synthesis* (2nd ed.). Philadelphia, PA: Psychology Press.

Crocetti, E., Hale, W. W. III, Dimitrova, R., Abubakar, A., Gao, C. H., & Pesigan, I. J. A. (2015). Generalized anxiety symptoms and identity processes in cross-cultural samples of adolescents from the general population. *Child & Youth Care Forum*, *44*, 159-174. doi: 10.1007/s10566-014-9275-9

Crocetti, E,. Luyckx K., Scrignaro M., & Sica S. L. (2011) Identity formation in Italian emerging adults: A cluster-analytic approach and associations with psychosocial

functioning. *European Journal of Developmental Psychology*, *8:5*, 558-572. doi:10.1080/17405629.2011.576858

Crocetti, E., Rubini, M., Luyckx, K., & Meeus, W. (2008). Identity formation in early and middle adolescents from various ethnic groups: From three dimensions to five statuses. *Journal of Youth and Adolescence, 37,* 983-996. doi: 10.1007/s10964-007-9222-2

Crocetti, E., Rubini, M., & Meeus, W. (2008). Capturing the dynamics of identity formation in various ethnic groups: Development and validation of a three-dimensional model. *Journal of Adolescence.* 31, 207-222. doi:10.1016/j.adolescence.2007.09.002

Crocetti, E., Schwartz, S., Fermani, A., & Meeus, W. (2010). The Utrecht Management of Identity Commitment Scale (U-MICS): Italian validation and cross national comparisons. European Journal of Psychological Assessment, 26, 169–183.

Crocetti, E., Schwartz, S. J., Fermani, A., Klimstra, T., & Meeus, W. (2012). A cross-national study of identity status in Dutch and Italian adolescents: Status distributions and correlates. European Psychologist, 17, 171-181

Erikson, E. H. (1968). *Identity: Youth and Crises.* New-York: Norton.

Evans, K. (2007). Concepts of bounded agency in education, work, and the personal lives of young adults. Internaltional Journal of Psychology, 42 (2), 85-93

Georgas, J. (2006). Families and family change. In J. Georgas, J.W. Berry, F. G. R. van de Vijver, Ç. Kagitçibasi, Y. P, Poortinga. (eds) Families across Cultures. (pp. 4-50)

Goossens, L., & Phinney J.S. (1996). Identity, Context and Development. *Journal of Adolescence, 19,* 491-496. doi:10.1006/jado.1996.0046

Gore PA Jr. (2000). Cluster analysis. In: Tinsley HEA, Brown SD, eds. *Handbook of Applied Multivariate Statistics and Mathematical Modeling.* San Diego, CA: Academic Press; 297–321.

Grolnick, W.S. (2012). The relations among parental power assertion, control, and structure: A reply to Baumrind. Invited commentary for paper by Diana Baumrind entitled, "Differentiating between confrontive and coercive kinds of parental power-assertive disciplinary practices. *Human Development*, 55, 57-64.

Grotevant, H. D. (1987). Toward a process model of identity formation. *Journal of Adolescent Research, 2*, 203–222. doi:10.1177/074355488723003.

Harrington J. R., Gelfand M. (2014) Tightness–looseness across the 50 united states. Proceedings of the National Academy o Sciences of the United Stated of America. vol 111 number 22. 7990–7995, doi: 10.1073/pnas.1317937111

Henrich J., Heine S.J., & Norenzayan A. (2010). The weirdest people on the world? *Behavioural and Brain Sciences, 33,* 61-135. doi:10.1017/S0140525X0999152X

Jensen, A.L. (2003). Coming of Age in a Multicultural World: Globalization and Adolescent Cultural Identity Formation. *Applied Developmental Science,* 7, 189-196. doi:10.1207/S1532480XADS0703_10

Jensen, L. A., Arnett, J. J., & McKenzie, J. (2011). Globalization and cultural identity. In S. J. Schwartz, K. Luyckx, & V. L. & Vignoles (Eds.), *Handbook of identity theory and research*. New York, NY: Springer Publishing Company.

Josselson, R. (1994). Intervention for Identity: An Introduction. in S. Archer, (ed.) *Interventions for Adolescent Identity Development.* Thousand Oaks, Ca. Sage Publications.

Kagitcibasi, C. (2013). Adolescent autonomy-relatedness and the family in cultural context: What is optimal? *Journal of Research on Adolescence*, *23(2),* 223-235. doi: 10.1111/jora.12041

Kalleberg, A. L. (2009). Precarious work, insecure workers: Employment relations in transition. *American Sociological Review*, *74*, 1–22. doi:10.1177/000312240907400101

Klimstra, T. A., Luyckx, K., Germeijs, V., Meeus, W., & Goossens, L. (2012). Personality traits and educational identity formation in late adolescents: longitudinal associations and academic progress. Journal of Youth and Adolescence, 41, 346-361.

Kline, R. B. (2010). Principles and practice of structural equation modeling (3rd ed.). New York: Guilford Press.

Kroger, J., & Marcia, J. (2011). The Identity Statuses: Origins, Meanings, and Interpretations. In Schwartz S.J., Luyckx K., & Vignoles V.L., (eds) *Handbook of Identity Theory and Research.* Springer.

Luyckx, K., Duriez, B., Klimstra, T. A., & De Witte, H. (2010).Identity statuses in young adult employees: Prospective relations with work engagement and burnout. Journal of Vocational Behavior, 77, 339-349.

Luyckx, K., Goossens L., & Soenens B. (2006). A developmental contextual perspective on identity construction in emerging adulthood: Change dynamics in commitment formation and commitment evaluation. *Developmental Psychology*, *42*, 366–380. doi:10.1037/0012-1649.42.2.366

Luyckx, K., Goossens, L., Soenens, B., Beyers, W., & Vansteenkiste, M. (2005). Identity statuses based upon four rather than two identity dimensions: Extending and refining Marcia's paradigm. *Journal of Youth and Adolescence*, 34, 605–618. doi: 10.1007/s10964-005-8949-x

Luyckx, K., Klimstra, T. A., Duriez, B., Schwartz, S. J., & Vanhalst, J. (2012). Identity processes and coping strategies in college students: short-term longitudinal dynamics and the role of personality. *Journal of Youth and Adolescence*, 41, 1226-1239. doi: 10.1007/s10964-012-9753-z

Luyckx, K., Klimstra, T. A., Duriez, B., Van Petegem, S., & Beyers, W. (2013). Personal identity processes from adolescence through the late twenties: age trends,

functionality, and depressive symptoms. *Social Development, 22*, 701e721. doi: 10.1111/sode.12027

Luyckx K., Klimstra T.A., Duriez B., Van Petegem S., Beyers W., Teppers E., & Goossens L. (2013) Personal identity processes and self-esteem: Temporal sequences in high school and college students. *Journal of Research in Personality*, *47*, 159-170. doi:10.1016/j.jrp.2012.10.005

Luyckx, K., Klimstra, T. A., Schwartz, S. J., & Duriez, B. (2013). Personal identity in college and the work context: Developmental trajectories and psychosocial functioning. European Journal of Personality, 27, 222-237.

Luyckx, K., Schwartz S.J., Berzonsky M., Soenens B., Vansteenkiste M., Smits I., & Goossens L. (2008). Capturing ruminative exploration: Extending the four-dimensional model of identity formation in late adolescence. *Journal of research in Personality*, *42*, 58-82. doi:10.1016/j.jrp.2007.04.004

Luyckx, K., Soenens, B., & Goossens, L. (2006). The personality-identity interplay in emerging adult women: Convergent findings from complementary analyses. European Journal of Personality, 20, 195–215.

Luyckx, K., Soenens, B., Goossens, L., Beckx, K., & Wouters, S. (2008). Identity exploration and commitment in late adolescence: correlates of perfectionism and mediating mechanisms on the pathway to well-being. *Journal of social and clinical psychology, 27*(4), 333-361. doi:10.1521/jscp.2008.27.4.336

Luyckx, K., Soenens, B., Vansteenkiste, M., Goossens, L., & Berzonsky, M. (2007). Parental psychological control and dimensions of identity formation in emerging adulthood. *Journal of family psychology, 21* (3), 546-550. doi:10.1037/0893-3200.21.3.546

Luyckx, K., Vansteenkiste, M., Duriez, B., & Goossens, L. (2009). Basic need satisfaction and identity formation: Bridging self-determination theory and process-oriented identity research. *Journal of Counseling Psychology, 56* (2), 276-288. doi:10.1037/a0015349

Macek, P., Jezek, S., & Vazsonyi, A.T. (2013). Adolescents During and After Times of Social Change: The Case of the Czech Republic. *Journal of Early Adolescence, 33(8),* 1029–1047. doi:10.1177/0272431613507758

Marcia, J. (1966). Development and validation of ego identity status. *Journal of Personality and Social Psychology*, 3, 551–558. doi:10.1037/h0023281

Martinussen M., & Kroger, J. (2013). Meta-Analytic Studies of Identity Status and Personality:Introduction and Overview. *Identity: An International Journal of Theory and Research. 13*, 189–200. doi: 10.1080/15283488.2013.799474

Meeus, W., Iedema, J., Maassen, G. & Engels, R. (2005). Separation–individuation revisited: On the interplay of parent–adolescent relations, identity and emotional adjustment in adolescence. *Journal of Adolescence, 28,* 89–106.

Morsünbül, Ü., Crocetti, E., Cok, F., & Meeus, W. (2014). Brief Report: The Utrecht-Management of Identity Commitments Scale (U-MICS): Gender and Age

Measurement Invariance and Convergent Validity of the Turkish Version. *Journal of Adolescence, 37,* 799-805. doi: 10.1016/j.adolescence.2014.05.008

Muthén, L. K., & Muthén, B. O. (1998-2011). Mplus user's guide (Sixth ed.). Los Angeles, CA: Muthén & Muthén.

Nichol, J. (2013). Georgia [Republic]: Recent Developments and U.S. Interests. Retrieved from: http://fas.org/sgp/crs/row/97-727.pdf

Orlofsky, J. L. and Roades, L. A. (1993). Intimacy Status Interview and rating scales. In Ego Identity: A Handbook for Psychological Research, J. E. Marcia (Ed.). New York: Springer-Verlag, pp. 334–358

Owe, E., Vignoles, V. L., Becker, M., Brown, R., Smith, P. B., Lee, S. W. S., . . . Jalal, B. (in press). Contextualism as an important facet of individualism– collectivism: Personhood beliefs across 37 national groups. Journal of Cross-Cultural Psychology. doi:10.1177/ 00220022111430255

Pesigan, I.J.A., Luyckx K., & Alampay, L.P. (2014) Brief report: Identity processes in Filipino late adolescents and young adults: Parental influences and mental health outcomes. Journal of Adolescence, 37, 599-604. doi:10.1016.j.adolescence.2014.04.012

Phillips, T.M., & Pittman, J.F. (2003). Identity processes in poor adolescents: Exploring the linkages between the developmental milieu of poverty and the primary task of adolescence. *Identity*, *3*, 115-129. doi:10.1207/S1532706XID030202

Phinney, J. S., & Baldelomar, O. A. (2011). Identity development in multiple cultural contexts. In Lene A. Jensen (Ed.), *Bridging cultural and developmental approaches to psychology: New syntheses in theory, research, and policy.* 161–186.

Pleines, H. (2014). Economy-Related Country Rankings. *Caucasus Analytical Digest*, 59. Retrived from:http://www.isn.ethz.ch/Digital-Library/Publications/Detail/?ots591=0c54e3b3-1e9c-be1e-2c24-a6a8c7060233&lng=en&id=178431

Ritchie, R. A., Meca, A., Madrazo, V. L., Schwartz, S. J., Hardy, S. A., Zamboanga, B. L., Weisskirch, R. S., Kim, S. Y., Whitbourne, S. K., Ham, L. S., & Lee, R. M. (2013). Identity dimensions and related processes in emerging adulthood: Helpful or harmful? *Journal of Clinical Psychology, 69*, 415-432. doi:10.1002/jclp.21960

Rudaz, P. (2012). Entrepreneurship in Georgia. *Caucasus Analytical Digest*, 45, 2-9. Retrieved from: http://www.laender-analysen.de/cad/pdf/CAD-45.pdf

Scabini, E., & Manzi, C. (2011). Family processes and identity. In Schwartz S.J., Luyckx K., & Vignoles V.L., (eds) *Handbook of Identity Theory and Research.* Springer.

Manzi, C., Regaia, C., Pelucchi, S., & Fincham, F. D., (2012). Documenting different domains of promotion of autonomy in families. Joural of Adolescence, 35, 289-298.

Scholer, A. A**.,** & Higgins, E.T. (2012). Too much of a good thing? Trade-offs in promotion and prevention focus. In R. Ryan (Ed.) *Oxford Handbook of Motivation. Oxford: Oxford University Press.* 65-84.

Schoon, I. (2012). Planning for the Future in Times of Social Change. *Child Developmental Perspectives, 6 (4)*, 335-341.

Schwartz, S. J. (2001). The evolution of Eriksonian and neo-Eriksonian identity theory and research: A review and integration. *Identity: An International Journal of Theory and Research, 1*, 7-58. doi:10.1207/S1532706XSCHWARTZ

Schwartz, S. J., Beyers, W., Luyckx, K., Soenens, B., Zamboanga, B. L., Forthun, L. F., Hardy, S. A., Vazsonyi, A. T., Ham, L. S., Kim, S. Y., Whitbourne, S. K., & Waterman, A. S. (2011). Examining the light and dark sides of emerging adults' identity: A study of identity status differences in positive and negative psychosocial functioning. *Journal of Youth and Adolescence, 40*, 839-859. doi:10.1007/s10964-010-9606-6

Schwartz, S. J., Côté, J. E., & Arnett, J. J. (2005). Identity and agency in emerging adulthood: Two developmental routes in the individualization process. Youth and Society, 37, 201–229. doi: 10.1177/0044118X05275965

Schwartz, S. J., Klimstra, T. A., Luyckx, K., Hale, W. W., III, & Meeus, W. H. J. (2012). Characterizing the self-system over time in adolescence: Internal structure and associations with internalizing symptoms. *Journal of Youth and Adolescence, 41*, 1208-1225. doi:10.1007/s10964-012-9751-1

Schwartz, S. J., Kurtines, W. M., & Montgomery, M. J. (2005). A comparison of two strategies for facilitating identity formation processes in emerging adults: An

exploratory study. *Journal of Adolescent Research 20*, 309-345. doi: 10.1177/0743558404273119

Schwartz, S. J., Luyckx, K., & Crocetti, E. (2015). What Have We Learned Since Schwartz (2001)? A Reappraisal of the Field of Identity Development. In McLean , K.C. & Moin Syed, M. (Eds.), *Oxford Handbook of Identity Development*. Oxford, UK: Oxford University Press.

Schwartz, S. J., Luyckx, K., & Vignoles, V. L. (Eds.) (2011). Handbook of identity theory and research. New York: Springer

Schwartz, S. J., Zamboanga B., & Meca, A. (2012). Identity Around the World: An Overview. *New Directions for Child and Adolescent Development, 138,* 1-14. doi:10.1002/cad.20019

Selin, H. (2014). Parenting across Cultures-Childrearing, Motherhood and Fatherhood across Cultures. Springer. Dordrecht Heidelberg New York London

Singelis, T, M., Triandis, H.C., Bhawuk, D. P. S & Gelfand, M. (1995). Horizontal and vertical dimensions of individualism and collectivism. Cross-Cultural Research, 29, 240–275.

Smith, P. B. (2011). Cross-cultural perspectives on identity. In S. J. Schwartz, K. Luyckx, & V. L. Vignoles (Eds.), Handbook of identity theory and research (pp. 249–265). doi:10.1007/978-1-4419-7988-9_11

Soenens, B., Vansteenkiste, M., & Sierens, E. (2009). How are parental psychological control and autonomy-support related? Naturally occurring profiles of psychological control and two types of autonomy-support. *Journal of Marriage and Family, 71,* 187–202. doi: 10.1111/j.1741-3737.2008.00589.x

Spielberger, C. D. (1989). *State-Trait Anxiety Inventory: Bibliography* (2nd ed.). Palo Alto, CA: Consulting Psychologists Press.

Steinley, D., & Brusco, M. J. (2007). Initializing K-means batch clustering: A critical evaluation of several techniques. *Journal of Classification*, 24(1), 99-121. doi:10.1016/j.proeng.2011.11.2650

Sumbadze, N. (2011) Generations and Values. Retrieved from: http://www.ipseng.techtone.info/files/9213/4245/8172/Taobebi_da_Girebulebebi_-_Book_1.pdf

Surmanidze, L., & Tsuladze, L. (2008). The Formation of Nation-State and Cultural Identity: A Georgian Perspective. *IBSU Scientific Journal*. 87-102. http://journal.ibsu.edu.ge/ index.php/ibsusj/article/download/89/49.

Tomasik, M.J., Silbereisen, R.K., & Heckhausen, J. (2010). Is it adaptive to disengage from demands of social change? Adjustment to developmental barriers in opportunity-deprived regions. *Motivation and Emotion, 34*, 384-398

Tsuladze, L. (2007, March). Individualist Trends in Collectivist Societies. Paper presented at the International Conference "Women of the Mountains" Orem, Utah: Utah

Valley State College. Retrived from: http://womenofthemountains.org/files/Microsoft%20Word%20-%2007-03-03-Tsuladze-Conference_paper.pdf

van Hoof, A. (1999). The identity status field re-reviewed: An update of unresolved and neglected issues with a view on some alternative approaches. Developmental Review, 19, 497–556.

Van Petegem, S., Beyers, W., Vansteenkiste, M., & Soenens, B. (2012). On the associations between adolescent autonomy and psychosocial functioning: Examining decisional independence from a Self-Dete0rmination Theory perspective. *Developmental Psychology*, 48, 76-88. doi: 10.1037/a0025307

Von Eye, A., & Bergman, L. R. (2003). Research strategies in developmental psychopathology: Dimensional identity and the person-oriented approach. Development and Psychopathology, 15, 553–580

Waterman, A. S., Schwartz, S. J., Hardy, S. A. Kim, S. Y., Lee, R. M., Armenta, B. E. (2013). Good choices, poor choices: Relationship between the quality of identity commitments and psychosocial functioning. Emerging Adulthood. 1(3) 163-174

West, S. G., Taylor, A. B., & Wu, W. (2012). Model fit and model selection in structural equation modeling. In R. H. Hoyle (Ed.), *Handbook of structural equation modelling,* 209-231. New York: Guilford.

Yoder, A. E. (2000). Barriers to ego identity status formation: A contextual qualification of Marcia's identity status paradigm. *Journal of Adolescence*, 23, 95–106. doi: 10.1006/jado.1999.0298

Zimmermann G., Lannegrand-Willems L., Safont-Mottay C., & Cannard C. (2013) Testing New Identity Models and Processes in French-speaking Adolescents and Emerging Adults Students. *Journal of Youth and Adolescence, 8,* 1-15. doi:10.1007/s10964-013-0005-7

7. ცხრილები

ცხრილი 1

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის სხვადასხვა ნაბიჯის შესაბამისობის ინდიკატორები

ნაბიჯი	აღწერა	შესაბამისობის ინდიკატორი		
			RMSEA (90% C.I.)	CFI
მოდელი 1	ხუთ-ფაქტორიანი მოდელი: არჩევანის გაკეთება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება, მუდმივი ძიება.	Did not converge		
მოდელი 2	ექვს-ფაქტორიანი მოდელი: არჩევანის გაკეთება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება, რეფლექსური სიღრმისეული ძიება, მუდმივი ძიება, არჩევანის გადასინჯვა.	553.02 (259)	.06 (.067-.081)	.90
მოდელი 3	ოთხ-ფაქტორიანი მოდელი: გაერთიანებული არჩევანის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია, გაერთიანებული ალტერნატივების ძიება და მუდმივი ძიება, არჩევანის გადასინჯვა, რეფლექსური სიღრმისეული ძიება.	969.83 (268)	.09 (.087-.099)	.77
მოდელი 4	ოთხ-ფაქტორიანი მოდელი: გაერთიანებული არჩევანის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება, მუდმივი ძიება, გაერთიანებული არჩევანის გადასინჯვა და რეფლექსური სიღრმისეული ძიება.	824.71 (267)	.08 (.077-.090)	.81

ცხრილი 2

ექვსი იდენტობის განზომილების აღწერითი მაჩვენებლები და მათ შორის კორელაციები

	საშუალო (*SD*)	1	2	3	4	5
1. არჩევანის გაკეთება	3.70 (.75)					
2. არჩევანთან იდენტიფიკაცია	3.81 (.67)	.63***				
3. ალტერნატივების ძიება	3.61 (.73)	-.03	.03			
4. რეფლექსიური სიღრმისეული ძიება	3.54 (.72)	.43***	.51***	.04		
5. არჩევანის გადასინჯვა	2.93 (.82)	-.25***	-.19**	.36***	.11	
6. მუდმივი ძიება	2.97 (.88)	-.50***	-.34***	.52***	-.18**	.51***

**$p < .01$, ***$p < .001$.

ცხრილი 3

კორელაციები იდენტობის განზომილებებსა და გარეგან ცვლადებს შორის

	დეპრესიის სიმპტომები	შფოთვა	ცხოვრებით კმაყოფილება
არჩევანის გაკეთება	-.35***	-.18**	.21***
არჩევანთან იდენტიფიკაცია	-.28***	-.12*	.26***
ალტერნატივების ძიება	.13*	.19***	.09
რეფლექსიური სიღრმისეული ძიება	-.21***	.04	.25**
არჩევანის გადასინჯვა	.12*	.19**	-.13*
მუდმივი ძიება	.52***	.31***	-.24***

*$p < .05$, **$p < .01$, ***$p < .001$.

ცხრილი 4

სტანდარტიზებული რეგრესიის (path) კოეფიციენტები, რომლებიც აღწერენ მიმართებას ასაკს, სქესს და იდენტობის განზომილებებსა და ადაპტაციის ცვლადებს შორის

	დეპრესიის სიმპტომები	შფოთვა	ცხოვრებით კმაყოფილება
ასაკი	-.16*	-.05	.12*
სქესი[a]	.01	.13*	.18**
არჩევანის გაკეთება	-.17	.07	-.06
არჩევანთან იდენტიფიკაცია	-.19	-.04	.36**
ალტერნატივების ძიება	-.01	.03	.01
რეფლექსიური სიღრმისეული ძიება	.13	.17	-.13
არჩევანის გადასინჯვა	-.20	-.02	.11
მუდმივი ძიება	.37**	.37*	-.27

[a] 0 = ბიჭი, 1 = გოგონა.

*$p < .05$, **$p < .01$; ***$p < .001$.

ცხრილი 5

ექვსი იდენტობის კლასტერის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ადაპტაციის/შედეგების ცვლადებზე

	მიღწეული იდენტობა (n = 34, 12%)	ნაადრევი იდენტობა (n = 39, 14%)	მაძიებელი მორატორიუმი (n = 54, 19%)	აღრეული დიფუზია (n = 53, 19%)	უდარდელი დიფუზია (n = 33, 12%)	არადიფერ ენცირებული (n = 66, 24%)	*F*- value	η^2
ცხოვრებით კმაყოფილება	4.74[a] (1.03)	4.46 (1.36)	4.28 (1.29)	3.76[b] (1.19)	4.00 (1.23)	4.29 (1.20)	3.42**	.06
შფოთვა	2.29[ab] (0.38)	2.28[a] (0.34)	2.49[bd] (0.33)	2.50[d] (0.32)	2.34 (0.37)	2.33 (0.28)	4.12**	.07
დეპრესიის სიმპრომები	0.37[a] (0.28)	0.45[a] (0.46)	0.50[a] (0.33)	0.70[b] (0.35)	0.59 (0.36)	0.46[a] (0.24)	5.80***	.09

შენიშვნა. კლასტერის საშუალო მნიშვნელოვნადაა განსხვავებული სხვა კლასტერის საშუალოსგან თუ სხვადასხვა ლათინური ასოთია აღნიშნული. საშუალო ასოს გარეშე მნიშვნელოვნად არ გასხვავდება სხვა არცერთი საშუალოსაგან.

8. გრაფიკები











გრაფიკი 1. ასაკისა და სქესის ინტერაქცია იდენტობის განზომილებებთან შედეგის ცვლადების პრედიქციისას



გრაფიკი 2. Z-ქულები იდენტობის ექვსი განზომილებისათვის 6-კლასტერიანი გადაწყვეტისთვის.

9. დანართები

დანართი 1. იდენტობის განზომილებების კითხვარის ქართული ვერსია

1	2	3	4	5
სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები/არც არ ვეთანხმები/ნეიტრალური ვარ	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

1. გადაწყვეტილი მაქვს, რა მიმართულებას გავყვები ცხოვრებაში	1	2	3	4	5
2. მაქვს გეგმები იმასთან დაკავშირებით, რასაც მომავალში გავაკეთებ	1	2	3	4	5
3. ვიცი, რომელ გზას/ მიმართულებას გავყვები ჩემს ცხოვრებაში	1	2	3	4	5
4. წარმოდგენილი მაქვს, რას გავაკეთებ მომავალში	1	2	3	4	5
5. გაკეთებული მაქვს არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ რას გავაკეთებ ჩემს ცხოვრებაში	1	2	3	4	5
6. აქტიურად ვფიქრობ სხვადასხვა მიმართულებაზე, რომელსაც შეიძლება გავყვე ჩემს ცხოვრებაში	1	2	3	4	5
7. ვფიქრობ სხვადასხვა რამეზე, რაც შეიძლება მომავალში გავაკეთო	1	2	3	4	5
8. განვიხილავ რამდენიმე სხვადასხვა ცხოვრების სტილს, რომელიც შეიძლება ჩემთვის შესაფერისი იყოს	1	2	3	4	5

9. ვფიქრობ სხვადასხვა მიზანზე, რომელსაც შეიძლება მივდიო	1	2	3	4	5
10. ვფიქრობ სხვადასხვა ცხოვრების სტილზე, რომელიც შეიძლება კარგი იყოს ჩემთვის	1	2	3	4	5
11. ვყოყმანობ/ეჭვი მეპარება იმასთან დაკავშირებით, თუ რისი მიღწევა მინდა ცხოვრებაში	1	2	3	4	5
12. ვღელავ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მინდა გავაკეთო მომავალში	1	2	3	4	5
13. ვაგრძელებ იმ მიმართულების ძებნას, რომელსაც ცხოვრებაში მინდა გავყვე	1	2	3	4	5
14. სულ ვფიქრობ, რომელი მიმართულება უნდა მიიღოს ჩემმა ცხოვრებამ	1	2	3	4	5
15. რთულია არ ვიფიქრო იმაზე, თუ რა მიმართულებას მინდა გავყვე ცხოვრებაში.	1	2	3	4	5
16. ჩემი სამომავლო გეგმები ჩემს ნამდვილ ინტერესებსა და ღირებულებებს შეესაბამება.	1	2	3	4	5
17. სამომავლო გეგმები თავდაჯერებულობას მძენს	1	2	3	4	5
18. სამომავლო გეგმების გამო საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ	1	2	3	4	5
19. მაქვს განცდა, რომ ის მიმართულება რომელსაც მინდა გავყვე ცხოვრებაში ნამდვილად შემეფერება	1	2	3	4	5
20. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სამომავლო გეგმები შემეფერება	1	2	3	4	5

21. ვფიქრობ მომავლის გეგმებზე, რომლებიც უკვე დავისახე	1	2	3	4	5
22. სხვა ადამიანებს ველაპარაკები ჩემი მომავლის გეგმების შესახებ.	1	2	3	4	5
23. ვფიქრობ იმაზე, ნამდვილად შემეფერება თუ არა ის მიზნები, რომლებიც უკვე მაქვს	1	2	3	4	5
24. ვცდილობ გავარკვიო, თუ რას ფიქრობენ სხვები იმ კონკრეტულ მიმართულებაზე, რომელსაც გადავწყვიტე გავყვე ცხოვრებაში	1	2	3	4	5
25. ვფიქრობ, შეესაბამება თუ არა ჩემი სამომავლო გეგმები იმას, რაც ნამდვილად მინდა	1	2	3	4	5

დანართი 2. ფოკუს ჯგუფში გამოყენებული კითხვები

1. დაგისვამთ თუ არა საკუთარი თავისთვის კითხვა „ვინ ვარ მე“?
2. სად არის ჩემი ადგილი ცხოვრებაში?
3. რა არის ჩემთვის მთავარი ღირებულებები და შეხედულებები?
4. გიფიქრიათ მომავალზე? წარმოდგენილი გაქვთ, როგორი იქნება ის?
5. შეგიძლიათ ისაუბროთ ამ მიზნების, შეხედულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესზე? როგორ მიმდინარეობდა ის? რა თანმიმდევრობით?
6. ცხოვრების რა სფეროები გამოიყოფა როგორც მნიშვნელოვანი, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?
7. როგორ შეიძლება „ვინ ვარ მე?“ კითხვაზე პასუხის გაცემა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში?
8. მაგალითად, გიფიქრიათ პროფესიაზე?
9. პირად ცხოვრებაზე?
10. ქვეყანაზე?
11. რელიგიაზე?
12. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ამ პროცესში ორი შემადგენელი ნაწილია: ძიება და არჩევანის გაკეთება - ეთანხმებით? თქვენც გაიარეთ/გადიხართ ამ პროცესებს?
13. რა თანმიმდევრობით?

14. თქვენს თანატოლებზე რას იტყვით? ისინიც მსგავსად გადიან ამ პროცესებს?

15. საქართველოში მთლიანად? რა სახით ხდება ეს?

16. როგორ ფიქრობთ, განსხვავებულად იქნება ეს პროცესები სხვა ქვეყნების ახლგაზრდებთან?

17. თანმიმდევრობაზე რას იტყვით?